საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგია

2023–2025 წლების სამოქმედო გეგმის 2025 წლის წლიური ანგარიში

თებერვალი, 2026 წელი

სარჩევი

აბრევიატურა *4*

მოკლე შეჯამება *5*

შესავალი *13*

ზოგადი პროგრესი *16*

დეტალური პროგრესი *17*

პრიორიტეტი 1. საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება *40*

ამოცანა 1.1. ევროკავშირისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს საკანონმდებლო ბაზის დახვეწა მცირე და საშუალო მეწარმეობასთან მიმართებით **40**

ამოცანა 1.2. მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის ინსტიტუციური გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა **43**

ამოცანა 1.3. მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობის სტატისტიკური აღრიცხვის გაუმჯობესება **46**

ამოცანა 1.4. კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა **46**

ამოცანა 1.5. ბიზნეს დავების სწრაფი და ეფექტიანი გადაწყვეტა **50**

ამოცანა 1.6. სახელმწიფო ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა **54**

ამოცანა 1.7. გაკოტრების და რეაბილიტაციის სისტემის განვითარება **56**

ამოცანა 1.8. მცირე და საშუალო მეწარმეთა ცნობიერების ამაღლება რეგულაციების ცვლილებებთან დაკავშირებით და საჯარო-კერძო დიალოგის განვითარება **56**

პრიორიტეტი2.მცირედასაშუალომეწარმეობისუნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა *60*

ამოცანა 2.1. შრომის ბაზრის სფეროში მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობა **61**

ამოცანა 2.2. უსაფრთხო შრომითი გარემოს საჭიროების შესახებ ცნობიერების ამაღლება ... **61**

ამოცანა 2.3. სამეწარმეო უნარების გაძლიერება რეგულარული ტრენინგების გზით **64**

ამოცანა 2.4. მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარება **68**

ამოცანა 2.5. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის (LMIS), შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემისა (WORKNET) და შესაბამისი სერვისების განვითარება **71**

ამოცანა 2.6 ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის პოპულარიზაცია **77**

ამოცანა 2.7. ფართოზოლოვანი ინტერნეტის საშუალებით ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობა **79**

პრიორიტეტი 3: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება *80*

ამოცანა 3.1. სახელმწიფო დაფინანსების პროგრამების განვითარება **80**

ამოცანა 3.2. დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმების განვითარება **85**

ამოცანა 3.3. ფინანსური განათლების შემდგომი გაუმჯობესება **86**

ამოცანა 3.4. გირავნობის საგნის გაფართოება **88**

ამოცანა 3.5. მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხარისხის ზრდა **88**

ამოცანა 3.6. „VENTURE CAPITAL" (VC) და „BUSINESS ANGELS" ეკოსისტემის შემდგომი

განვითარება **91**

* პრიორიტეტი 4: მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა* *93*

ამოცანა 4.1. საექსპორტო შესაძლებლობების გამოყენების ხელშეწყობა **94**

ამოცანა 4.2. DCFTA-ის შესაძლებლობების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება **96**

ამოცანა 4.3 ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის, მათ შორის შესაბამისი ინსტიტუტების (აკრედიტაცია, მეტროლოგია, სტანდარტიზაცია და ა.შ.) განვითარება საერთასრისო და/ან ევროპულ პრაქტიკასთან შემდგომი დაახლოების მიზნით **100**

ამოცანა 4.4. ინვესტიციების და SME-ების კავშირების გაძლიერება **107**

პრიორიტეტი 5. ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა *109*

ამოცანა 5.1. ინოვაციური დაფინანსების განვითარება **109**

ამოცანა 5.2. ელექტრონული კომერციის განვითარების ხელშეწყობა **111**

ამოცანა 5.3. საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა **111**

ამოცანა 5.4. ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება **114**

ამოცანა 5.5 მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების განვითარება **115**

ამოცანა 5.6. კვლევასა და ინდუსტრიას შორის კავშირების გაღრმავება **117**

პრიორიტეტი 6.ქალთამეწარმეობისგანვითარების ხელშეწყობა *118*

ამოცანა 6.3. სახელმწიფო პროგრამებში ქალთა მონაწილეობის წახალისება **121**

ამოცანა 6.4. ქალებში ციფრული უნარ-ჩვევების გაძლიერება **123**

ამოცანა 6.5. სახელმწიფო სტრუქტურების შესაძლებლობების გაზრდა გენდერული მიდგომების განვითარებისთვის **124**

პრიორიტეტი7. მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა *126*

ამოცანა 7.3. მწვანე დაფინანსების განვითარება **129**

ამოცანა 7.4. საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარება **132**

ამოცანა 7.5. ეკოტურიზმის განვითარება **133**

ამოცანა 7.6. გარემოსდაცვით საკითხებზე მცირე და საშუალო მეწარმეების ცნობიერების ამაღლება **135**

რისკები და გამოწვევები *139*

2025 წლისსამოქმედოგეგმისშესრულება *142*

დანართი - კონსოლიდირებული სტატუსანგარიში *142*

აბრევიატურა

DCFTA	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება
EaP	აღმოსავლეთ პარტნიორობა
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
Un GCNG	გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი
ISET	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
RBC	ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევა
RIA	რეგულირების ზეგავლენის შეფასება
SBA	მცირე ბიზნესის აქტი
SME	მცირე და საშუალო საწარმოები
WEPs	ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპები

მოკლე შეჯამება

საქართველოს მთავრობის მიერ, 2021 წელს დამტკიცდა საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის, რომლის ფარგლებში დამტკიცდა ჯერ 2021-2022 წლების და შემდეგ, 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმები.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის 2025 წლის მდგომარეობით სამოქმედო გეგმის წლიურ ანგარიშს.

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია სრულ შესაბამისობაშია ევროპული მცირე ბიზნესის აქტის (SBA)[1] ძირითად პრინციპებთან და მასში გათვალისწინებულია ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პოლიტიკის კუთხით.

სტრატეგიის მთავარი მიზანია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, მათი კონკურენტუნარიანობის და ინოვაციების შესაძლებლობებისამაღლება, რის შედეგადაც მოხდება შემოსავლების და სამუშაო ადგილების ზრდა და შესაბამისად, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ეფექტიანი იმპლემენტაციის შედეგად 2025 წლისთვის მისაღწევი **სამიზნე მაჩვენებლები**[2] (საბაზისო წელი - 2019წ.):

- მცირე და საშუალო საწარმოების დამატებული ღირებულების ზრდა **20%-ით**;
- მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა **10%-ით;**
- მცირე და საშუალო საწარმოთა მწარმოებლურობის ზრდა **20%-ით.**

2024 წლის მდგომარეობით, მცირე და საშუალო საწარმოების დამატებული ღირებულება საბაზისო 2019 წელთან შედარებით 76.2%-ით გაიზარდა და 24,3 მლრდ. ლარი შეადგინა.[3]

2024 წლის მდგომარეობით, მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულები საბაზისო 2019 წელთან შედარებით 6.8%-ით გაიზარდა და 524 890 შეადგინა.[4] 2025 წლის მე-3 კვარტლის მდგომარეობით, მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რიცხვმა 471 813 შეადგინა, რაც 6.4%-ით აღემატება 2019 წლის მე-3 კვარტლის ანალოგიურ მონაცემს.

---

[1] ევროპის მცირე ბიზნესის აქტი („Small Business Act for Europe"), 2008

[2] აღნიშნული სამიზნე მაჩვენებლების შეფასება შესაძლებელი იქნება საქსტატის მიერ მონაცემების გამოქვეყნების კალენდრის გათვალისწინებით.

[3] საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის 2025 წლის მაჩვენებლები, საქსტატის მონაცემების გამოქვეყნების კალენდრის შესაბამისად, ხელმისაწვდომი იქნება 2026 წლის 6 მარტს.

[4] საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის 2025 წლის მაჩვენებლები, საქსტატის მონაცემების გამოქვეყნების კალენდრის შესაბამისად, ხელმისაწვდომი იქნება 2026 წლის 6 მარტს.

2024 წლის მდგომარეობით, მცირე და საშუალო საწარმოების მწარმოებლურობა 2019 წელთან შედარებით 29,5%-ით გაიზარდა და 24,3 მლრდ. ლარი შეადგინა.[5]

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის 2021-2025 წლების სტრატეგიის 7 პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს 7 გავლენის ინდიკატორს[6], 42 ამოცანას და 84 ამოცანის შედეგის ინდიკატორს. თავის მხრივ, სტრატეგიის **2023-2025 წლების სამოქმედო გეგმა,** 7 პრიორიტეტული მიმართულების და 42 ამოცანის ფარგლებში ითვალისწინებს **145 აქტივობას**.

პირველი პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს ევროკავშირისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს საკანონმდებლო ბაზის დახვეწას მცირე და საშუალო მეწარმეობასთან მიმართებით. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის და OECD-ის გაიდლაინების შესაბამისად, მომზადდა RIA SME Test-ის მეთოდოლოგია და პრაქტიკული სახელმძღვანელო ქართულ და ინგლისურ ენებზე. საჯარო მოხელეებისთვის ჩატარდა RIA SME Test-ის თაობაზე ტრენინგები. მომზადდა RIA-SME ტესტი 3 ნორმატიულ აქტზე.

მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის ინსტიტუციური გაძლიერების ფარგლებში, უზრუნველყოფილია მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის საბიუჯეტო დაფინანსების მდგრადობა. 2025 წელს, მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის საბიუჯეტო დაფინანსებამ 496 მლნ. ლარი შეადგინა, რაც საბაზისო წელთან შედარებით გასამმაგებული მაჩვენებელია (საბაზისო - 164.9 მლნ.ლარი). ამასთან, განხორციელდა სააგენტოების „აწარმოე საქართველოში", „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" და „სოფლის განვითარების სააგენტოს" თანამშრომელთა ტრენინგები. განხორციელდა სსიპ „აწარმოე საქართველოში" სააგენტოს 6 პროგრამის გავლენის შეფასების ანგარიში.

მომხმარებელთათვის სტატისტიკურ მაჩვენებლებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების და დამატებითი მაჩვენებლების წარმოების მიზნით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე, სხვადასხვა ჭრილში, განთავსდა სტატისტიკური მაჩვენებლები ექსელის ფორმატში, მათ შორის, საწარმოთა ზომის მიხედვით.

2025 წელს, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს ორგანიზებით გაიმართა 45 ტრენინგი/ღონისძიება და 1 კონფერენცია. დავების

[5] ეროვნული ანგარიშების, მათ შორის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლები, საქსტატის მონაცემების გამოქვეყნების კალენდრის შესაბამისად, ხელმისაწვდომი იქნება 2026 წლის 20 მარტს.

[6] 1-ელი, მე-3 და მე-4 პრიორიტეტული მიმართულების გავლენის ინდიკატორების შეფასება შესაძლებელი იქნება საქსტატის მიერ მონაცემების გამოქვეყნების კალენდრის შესაბამისად; მე-2 პრიორიტეტული მიმართულების გავლენის ინდიკატორის შეფასება - განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ პროფესიული საგანმანათლებო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის (Tracer Study) განხორციელების შესაბამისად, 2025 წლის მე-2 კვარტალში.

ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმებზე ცნობადობის ამაღლების მიზნით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები/სემინარი.

საბაჟო და საგადასახადო სერვისების გამოყენებაზე შემუშავებულია სერვისების გამოყენების სახელმძღვანელოები/ვიდეო გიდები. საქართველოს კანონმდებლობა დაუახლოვდა დამატებით ევროკავშირის 11 საკანონმდებლო აქტს.

დასრულდა სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს დაკვეთით, კვლევითი კომპანია "ACT"-ის მერ ჩატარებული კვლევა - "სახელმწიფო ელექტრონული სერვისების შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება". კვლევის თანახმად, პორტალ my.gov.ge-ის სერვისებით სარგებლობის გამოცდილების მქონე რესპონდენტთაგან, 93% კმაყოფილი/ძალიან კმაყოფილია პორტალით.

საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერების მიზნით, კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში, ყოველკვარტალურად ჩატარდა შეხვედრები.

მეორე პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობას. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში, შრომის ბაზრის სფეროში მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ განხორციელდა მრეწველობის სექტორში უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა. კვლევის შედეგები წარედგინა ფართო აუდიტორიას და მომზადდა კვლევის ნარატიული ანგარიში, რომელიც განთავსდა შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ვებ-გვერდზე. შრომით ნორმებზე საზოგადოების, მათ შორის, განსაკუთრებულად დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლების ფარგლებში, განხორციელდა საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები. 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, შრომით ნორმებზე საზოგადოების, განსაკუთრებით კი დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლების ფარგლებში განხორციელდა 3824 საინფორმაციო შეხვედრა. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, სსიპ „შრომის ინსპექციის“ მიერ 4 312 (პირველადი და შემდგომი, დარღვევების აღმოფხვრამდე) ინსპექტირება, რომლის შედეგადაც პირველადად შემოწმდა 2 045 ობიექტი. სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ რეგიონულ საკონსულტაციო ცენტრებში ჩატარდა მიზნობრივი ტრენინგები. მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის (მიკრო გრანტების პროგრამა) ფარგლებში ჩატარებული ტრენინგების 1330 ბენეფიციარიდან, საშუალოდ 94% თვლის, რომ ძალიან სასარგებლო/სასარგებლო იყო მათ მიერ გავლილი ტრენინგ(ებ)ი.

სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს” ორგანიზებით STEAM მიმართულებით ჩატარდა ტრენინგები. აღნიშნული ტრენინგებით ხელი შეეწყო განათლების დონის ამაღლებას. ამასთან, მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცათ

ტრენინგების დასრულების შემდგომ დასაქმდნენ კონკრეტული მიმართულებით და შეასრულონ პროექტები. 2025 წელს, პრე-აქსელერატორის პროგრამა განხორციელდა საქართველოს 10 რეგიონში, 11 ლოკაციაზე. პროგრამა სულ 157-მა გუნდმა დაასრულა.

სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ ჩატარდა ტრენინგები მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის. 2025 წელს გაგრძელდა მუშაობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში (პსდ) სამეწარმეო კულტურის დანერგვის მიმართულებით. მათ შორის, განხორციელდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამეწარმეო კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები, რომელშიც ჩაერთო პროფესიული განათლების 55-ზე მეტი მასწავლებელი. 2025 წლისთვის, 4 პროფესიულ საგანმანათებლო დაწესებულებაში დანერგილია მეწარმეობრივი კულტურის კონცეფცია. 2025 წელს, პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების კურსდამთავრებულთა რაოდენობა აღემატება 10500-ს. 2025 წელს, სისტემაში დამატებით შეიქმნა 3 ახალი დუალური პროგრამა. ჯამში, სისტემაში დანერგილია 57 დუალური პროგრამა. საანგარიშო პერიოდში, პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის ჩართულობის გაზრდის მიმართულებით ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ უზრუნველყოფილი იყო შეხვედრები და კონსულტაციები თბილისსა და რეგიონებში.

2025 წლის საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით სერვისების მიმღებთა რაოდენობამ 14,258 შეადგინა, მათ შორის, 10 058 ქალი. ასევე, სააგენტოს ორგანიზებით გამართულ საინფორმაციო შეხვედრებს დაესწრო 7 000-მდე პირი (1 500 მოსწავლე, 1 600 სტუდენტი, 3 841 სამუშაოს მაძიებელი). დასაქმებულია 6269 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის, 4562 ქალი. საბაზისო წელთან შედარებით, დასაქმების მაჩვენებელი 6.9-ჯერ გაიზარდა.

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამის მხარდაჭერით მომზადდა შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის განვითარების კონცეფცია.

2025 წელს, ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის პოპულარიზაციის ფარგლებში, დატრენინგდა 169 კომპანიის წარმომადგენელი.

წარმატებით განხორციელდა „ციფრული მხარდაჭერის პროგრამა“ და პროგრამით დაიფარა 300 სოფელი/დასახლება, ჯამში, ჩატარდა 800-მდე ტრენინგი და გადამზადდა 10 000-ზე მეტი ადგილობრივი ბენეფიციარი.

მესამე პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, სააგენტოების „აწარმოე საქართველოში“, „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ და „სოფლის განვითარების სააგენტოს“ მიერ, შეიქმნა 5 ახალი პროგრამა და 9 პროგრამაში შევიდა ცვლილება. 2025 წელს, ახალი რეგიონული საკონსულტაციო ცენტრები გაიხსნა

იმერეთში, თბილისსა და სამცხე-ჯავახეთში. სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსების მიზნით, დადასტურებულია 502 პროექტი. საკრედიტო-საგარანტიო სქემის ფარგლებში დადასტურებულია 331 პროექტი.

2025 წელს განხორციელებული კვლევის მიხედვით, პროგრამის მიმდინარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში (2018 წლიდან) დაფინანსებული სტარტაპების მიერ მოზიდული ინვესტიციების საერთო მოცულობამ 345 მლნ ლარი შეადგინა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, განხორციელდა სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პროგრამები.

ფინანსური განათლების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, ეროვნული ბანკის მიერ ჩატარდა რიგი აქტივობები, მათ შორის, ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2022 წლის 1 იანვრიდან განხორციელებული მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმა 2025 წლის 31 დეკემბერს წარმატებით დასრულდა.

2025 წლისთვის, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობა საბაზისო წელთან მიმართებით (19.1 ლრდ ლარი) 140%-ით გაიზარდა და 45.9 მილიარდი ლარი შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა მიმოიხილა საწარმოთა 40 ფინანსური ანგარიშება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (IFRS) - ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

2025 წელს, სააგენტოს მიერ „500 Georgia, LLC“-ის ვენჩურულ ფონდში გადაირიცხა 3,084,053 ლარი. ჯამურად, 2023-2025 წლებში, ფონდში გადარიცხული თანხა 9,254,962 ლარს შეადგენს.

მეოთხე პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას. პრიორიტეტის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ განახორციელა რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება და წლის ჭრილში საერთაშორისო ღონისძიებებზე მონაწილე კომპანიებმა გამართეს 2000 შეხვედრა.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ მეწარმეებისთვის 270 ინდივიდუალური კონსულტაცია იქნა გაწეული ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საანგარიშო პერიოდში, პალატის მიერ ორგანიზებული იქნა ბიზნეს ფორუმი საქართველოსა და სომხეთის, საქართველოსა და უზბეკეთის ბიზნეს, საქართველოსა და ჩინეთის, საქართველოსა და თურქეთის ბიზნეს წრეებს შორის. ამასთან, სავაჭრო პალატის მიერ გავრცელებული იქნა ინფორმაცია სხვადასხვა გამოფენების შესახებ, მათ შორის,

თბილისში უზბეკური პროდუქციის სამდღიანი გამოფენის "Made in Uzbekistan“ შესახებ.

სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს” მიერ ჩატარდა შეხვედრა/ტრენინგები DCFTA-თან დაკავშირებულ საკითხებზე. 2025 წელს, სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ უზრუნველყო ექსპორტის მენეჯერთა 2 კურსის ჩატარება. 2025 წლის განმავლობაში, ბიზნეს ასოციაციებთან კონსულტაციების საფუძველზე, შეიქმნა ადგილობრივი მიმწოდებლების ბაზა, რომელიც გაზიარდა დაინტერესებულ ინვესტორებთან.

2025 წლის განმავლობაში, სტანდარტების დეპარტამენტის მიერ სულ დარეგისტრირდა 3 390 სტანდარტი, სულ გაცემულია 636 სტანდარტი, მათ შორის: 194 საერთაშორისო და 384 ევროპული.

სააგენტოს მეტროლოგიის ინსიტიტუტის წარმომადგენლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ტრენინგებში/სემინარებში.

მეხუთე პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობას. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში, ინოვაციური სტარტაპების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის, ინოვაციური პროდუქტების განვითარებისა და კომერციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა სტარტაპებისთვის თანადაფინანსების გრანტების და ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების გაცემა. შედეგად, სტატაპებს გააჩნიათ ინოვაციურ ფინანსებზე წვდომის შესაძლებლობა. ახალი საგრანტო პროექტი „ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის“, განხორციელდა საქართველოს 10 რეგიონში და დაფინანსდა 39 სტარტაპი, საბოლოო კომერციალიზაციისთვისშერჩეულია 13 კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე პროექტი. ელექტრონული კომერციის მიმართულებით 500-ზე მეტი მეწარმე დატრენინგდა, ცნობიერების ამაღლების მიზნით სხვადასხვა მიმართულებით ჩატარდა ტრენინგები, მათ შორის, ელექტრონული კომერციის საკითხებსა და სხვადასხვა ციფრულ სერვისთან, ასევე, ციფრულ უნარებთან დაკავშირებით.

სამუშაოები დასრულდა 600 კმ მონაკვეთზე და 2025 წლისთვის აშენებულია 1850 კმ ფართოზოლოვანი ოპტიკური მაგისტრალი. მიმდინარეობს მშენებლობა დამატებით 1600 კმ-ის მონაკვეთზე, დასრულებული და მიმდინარე მშენებლობების ჯამური მოცულობა შეადგენს 3450 კმ-ს. 2025 წელს, ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა 115 დასახლებული პუნქტის ჩართვა და 2025 წლის მდგომარეობით, ჩართულია 390 დასახლებული პუნქტი მიმდინარეობს მშენებლობა კიდევ 240 დასახლებულ პუნქტში.

მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით, დაიწყო საკონსულტაციო მომსახურება „საქართველოში უნივერსალური ფართოზოლოვანი წვდომის უზრუნველყოფისათვის საინვესტიციო საჭიროებების განსაზღვრა“. საკონსულტაციო მომსახურების მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში უნივერსალური წვდომის უზრუნველყოფას მაღალსიჩქარიან ფართოზოლოვან ინტერნეტზე.

განხორციელდა შეხვედრები მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების ასოციაციასთან, მათი პრობლემების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრაში დახმარების კუთხით. მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორებისთვის განხორციელდა სხვადასხვა პრობლემური საკითხის გადაწყვეტა.

მეექვსე პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობას. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში, განხორციელდა ღონისძიებები ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით, მათ შორის, მოეწყო საინფორმაციო შეხვედრები „ქალთა გაძლიერების პრინციპების" (WEPs) პოპულარიზაციის მიზნით, ქალ მეწარმეთა მხარდაჭერისა და ეკონომიკური გაძლიერების მიზნით, საანგარიშო წელს, „აწარმოე საქართველოში" სააგენტოს მიერ, სხვადასხვა დონორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, განხორციელდა 17 საინფორმაციო სესია (810 მონაწილე), ასევე, ფორუმი - Ring the Bell: AI AND GENDER EQUALITY: A FAIR FUTURE FOR ALL. (4 სესია, 71 მონაწილე) და მრგვალი მაგიდის დისკუსია - Women in IT Sector. 2025 წელს დატრენინგებული 80 კომპანიის წარმომადგენელების 98% ადასტურებს, რომ ტრენინგებმა ხელი შეუწყო მათ საქმიანობაში გენდერული თანასწორობის მიმართულებით შესაბამისი სტანდარტების დანერგვის პროცესს.

ჩატარდა ტრენინგები ქალი მეწარმეებისთვის, მათ შორის, ელექტრონული კომერციის საკითხებთან დაკავშირებით. ასევე, ჩატარდა შეხვედრები მეწარმე ქალებისთვის სახელმწიფო მხარდამჭერი პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით. უზრუნველყოფილი იქნა ინფორმაციის მიწოდება საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებთან დაკავშირებით და ხელი შეეწყო მათ მონაწილეობას ბიზნეს ფორუმებში.

პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სახელმწიფო მხარდამჭერ ინსტრუმენტებში გენდერული მიდგომების ინტეგრირების კუთხით, კერძოდ, გაუმჯობესდა სახელმწიფო პროგრამებში გენდერული სტატისტიკის წარმოება, გენდერული ასპექტების გათვალისწინება და პროგრამების გენდერულ ჭრილში შეფასება.

2024 წელს დამტიცდა მიკრომეწარმეობის მხარდაჭერის ახალი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მეწარმე ქალთა პრიორიტეტიზაციას. 2025 წელს, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დამტკიცებულია 1217 სესხი, მათ შორის, 766 სესხი (63%) გაცემულია ქალ მეწარმეებზე.

მეშვიდე პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობას. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში, მსოფლიო ბანკთან აქტიური თანამშრომლობით მიმდინარეობდა მწვანე ზრდის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი. წარმოდგენილია სტრატეგიის დოკუმენტის საბოლოო ვერსია. ეკო-ინოვაციური მიდგომების პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის მიმართულებით, 5 შეხვედრა/სესია ჩატარდა, რომელშიც 115-მა კომპანიამ (135

მსმენელი) მიიღო მონაწილეობა. ჩატარდა მდგრადი განვითარების მიზნების ხელშეწყობისადმი მიძღვნილი 5 საინფორმაციო სესია, ხოლო რეგიონებში, მდგრად დაფინანსებასთან და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებით, ჩატარდა 3 შეხვედრა. 2025 წლისთვის, ეკო-ინოვაციური მიდგომა დანერგილია 40-მდე კომპანიაში.

საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც ქვეყნის ცენტრალური ბანკი, ქვეყნის მდგრად განვითარებაში ფინანსური სექტორის როლის გაძლიერების მიზნით განაგრძობს მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარებას და „მწვანე“ ფინანსური პროდუქტების შექმნის ხელშეწყობას. ეროვნული ბანკმა მოამზადა ანგარიში, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილია მდგრადი დაფინანსების მიმართულებით საქართველოში არსებული ტენდენციები და გატარებული პოლიტიკა, გაანალიზებულია კომერციული ბანკების მიერ ESG ფორმებში წარმოდგენილი ინფორმაცია.

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულებითა და ენერგეტიკული გაერთიანების წევრობით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში მიღებული საკანონმდებლო აქტების შესაბამისად (საქართველოს კანონები - „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“, „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“), მიმდინარეობდა დარჩენილი კანონქვემდებარე აქტების შემუშავების და დამტკიცების პროცესი.

ეკოტურიზმის განვითარების მიმართულების ფარგლებში, მოეწყო საგანმანათლებლო და საფეხმავლო ბილიკები, შეიქმნა ახალი დაცული ტერიტორია. გარემოსდაცვით საკითხებზე განხორციელდა მცირე და საშუალო მეწარმეების ცნობიერების ამაღლება. ასევე, გარემოსდაცვითი მიმართულებით მიღებული ახალი საკანონმდებლო რეგულაციების გაცნობის მიზნით. მწვანე მიდგომების საკითხებზე გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები, ჩატარდა ტრენინგები. იმ პირთა წილი, რომელიც თვლის, რომ გარემოსდაცვით საკითხებზე შეძენილი ცოდნა დაეხმარება გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებაში 75%-ს შეადგენს.

სტრატეგიის ლოგიკური ჩარჩოს შესაბამისად, 2025 წლის სამიზნე მაჩვენებლებად განსაზღვრული ამოცანების შედეგის ინდიკატორების შესრულება **დადებითი ტენდენციით ხასიათდება** - 2025 წლისთვის მისაღწევი მაჩვენებლების შესრულება **95%-მდეა.** საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიით და 2023-2025 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული 7-ვე პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში გათვალისწინებული 145 აქტივობიდან, 2025 წლის მდგომარეობით **113 აქტივობა - განხორციელდა სრულად, 17 აქტივობა - შესრულდა მეტწილად, 9 აქტივობა - შესრულდა ნაწილობრივ, 3 აქტივობის შესრულება - არ დაწყებულა, 1 აქტივობა - გაუქმებულია, 2 აქტივობა - შეჩერებულია.**

შესავალი

საქართველოს 2021-2025 წლების მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია წარმოადგენს აღნიშნულ სფეროში ქვეყნის რიგით მეორე სტრატეგიულ დოკუმენტს. სტრატეგიის გრძელვადიანი ხედვა ეფუძნება ევროპული მცირე ბიზნესის აქტის უმთავრეს პრინციპს „უპირველესად იფიქრე მცირეზე“.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია ხელსაყრელი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს შექმნაზე, ბიზნეს სექტორის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობაზე, შესაბამისი ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებასა და შედეგად, მათი მდგრადი განვითარების მყარი საფუძვლების შექმნაზე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, პარტნიორ უწყებებთან თანამშრომლობით მომზადდა და საქართველოს მთავრობის მიერ, 2021 წელს დამტკიცდა საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის და 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა (13.07.2021; N351). აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში, 2022 წელს კი დამტკიცდა სტრატეგიის 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმა (21.11.2022; N532). სტრატეგია სრულ შესაბამისობაშია ევროპული მცირე ბიზნესის აქტის 10-ვე პრინციპთან და მასში გათვალისწინებულია ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პოლიტიკის კუთხით.

2025 წლისთვის სტრატეგიით განისაზღვრა სამიზნე მაჩვენებლები (საბაზისო წელი - 2019 წ):

- ✓ მცირე და საშუალო საწარმოების დამატებული ღირებულების ზრდა 20%-ით;
- ✓ მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 10%-ით;
- ✓ მცირე და საშუალო საწარმოთა მწარმოებლურობის ზრდა 20%-ით.

2024 წლის მდგომარეობით, მცირე და საშუალო საწარმოების დამატებული ღირებულება საბაზისო 2019 წელთან შედარებით 76.2%-ით გაიზარდა და 24,3 მლრდ. ლარი შეადგინა.[7]

2024 წლის მდგომარეობით, მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულები საბაზისო 2019 წელთან შედარებით 6.8%-ით გაიზარდა და 524 890 შეადგინა.[8] 2025 წლის მე-3 კვარტლის მდგომარეობით, მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რიცხვმა 471 813 შეადგინა, რაც 6.4%-ით აღემატება 2019 წლის მე-3 კვარტლის ანალოგიურ მონაცემს.

2024 წლის მდგომარეობით, მცირე და საშუალო საწარმოების მწარმოებლურობა 2019

[7] საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის 2025 წლის მაჩვენებლები, საქსტატის მონაცემების გამოქვეყნების კალენდრის შესაბამისად, ხელმისაწვდომი იქნება 2026 წლის 6 მარტს.

[8] საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის 2025 წლის მაჩვენებლები, საქსტატის მონაცემების გამოქვეყნების კალენდრის შესაბამისად, ხელმისაწვდომი იქნება 2026 წლის 6 მარტს.

წელთან შედარებით 29,5%-ით გაიზარდა და 24,3 მლრდ. ლარი შეადგინა.[9]

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგია მოიცავს 7 ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებას:

პრიორიტეტი 1. საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის;

პრიორიტეტი 2. მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარებისა და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;

პრიორიტეტი 3: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

პრიორიტეტი 4: მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;

პრიორიტეტი 5: ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის;

პრიორიტეტი 6: ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა;

პრიორიტეტი 7: მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებზე, ჯამში, 26 პასუხისმგებელი უწყება განისაზღვრა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია უწყებები და თითოეული უწყების მიერ განსახორციელებელი აქტივობების რაოდენობა.

[9] ეროვნული ანგარიშების, მათ შორის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლები, საქსტატის მონაცემების გამოქვეყნების კალენდრის შესაბამისად, ხელმისაწვდომი იქნება 2026 წლის 20 მარტს.

დიაგრამა 1. პასუხისმგებელი უწყებები და აქტივობები



სტრატეგიის თანახმად, საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიაში წარმოდგენილი ამოცანების შედეგების მიღწევის და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების პროგრესის დადგენის მიზნით, განსაზღვრულია სამოქმედო გეგმის რეგულარული მონიტორინგი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ.

შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის 2023-2025 წლების 2025 წლის მდგომარეობით სამოქმედო გეგმის წლიურ ანგარიშს, რომელიც მომზადებულია მაკოორდინირებელი ორგანოს - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებების/დეპარტამენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

ზოგადი პროგრესი

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის 2021-2025 წლების სტრატეგიის 7 პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში, 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს **42 ამოცანას, 84 ამოცანის შედეგის ინდიკატორს და 145 აქტივობას.**

სტრატეგიის ლოგიკური ჩარჩოს შესაბამისად, 2025 წლის სამიზნე მაჩვენებლებად განსაზღვრული ამოცანების შედეგის ინდიკატორების შესრულება დადებითი ტენდენციით ხასიათდება.

სტრატეგიის შვიდივე პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში, 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმის შესრულება **დადებითი ტენდენციით** ხასიათდება. კერძოდ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული **145 აქტივობიდან**, 2025 წლის ჭრილში მდგომარეობით **113 აქტივობა - განხორციელდა სრულად, 17 აქტივობა - შესრულდა მეტწილად, 9 აქტივობა - შესრულდა ნაწილობრივ, 3 აქტივობის შესრულება - არ დაწყებულა, 1 აქტივობა - გაუქმებულია, 2 აქტივობა - შეჩერებულია.**

დეტალური პროგრესი

პრიორიტეტი 1. საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება					
ამოცანა 1.1. ევროკავშირისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს საკანონმდებლო ბაზის დახვეწა მცირე და საშუალო მეწარმეობასთან					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
1.1.1	OECD „SME Policy Index" კვლევაში „ინსტიტუციური და მარეგულირებელი ჩარჩო" კომპონენტის ქულა				
1.1.2	კანონმდებლობის ცვლილებისას ხორციელდება RIA SME ტესტი				
1.1.3	საბაჟო კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და საბაჟო პროცედურები გამარტივებულია				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
1.1.1	ნორმატიული აქტის პროექტზე RIA SME Test-ის პილოტის განხორციელება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
1.1.2	RIA SME Test-ის ტექნიკური სახელმძღვანელოს/ მეთოდოლოგიის პროექტის შემუშავება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
1.1.3	RIA SME Test-ის თაობაზე ტრენინგების ჩატარება საჯარო მოხელეებისთვის	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ამოცანა 1.2: მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის ინსტიტუციური გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
1.2.1	გადამზადებული იმ პერსონალის პროცენტული მაჩვენებელი, ვინც ადასტურებს, რომ ტრენინგზე მიღებულ ცოდნას და უნარებს ყოველდღიურ მუშაობაში გამოიყენებს				
1.2.2	მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის საბიუჯეტო დაფინანსება				
1.2.3	შერჩეული სახელმწიფო პროგრამების გავლენის შეფასების განხორციელება				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
1.2.1	სსიპ „აწარმოე საქართველოში" სააგენტოს თანამშრომელთა გადამზადება	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში"
1.2.2	სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" თანამშრომელთა გადამზადება	განხორციელდა	100%		სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო"
1.2.3	ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს" თანამშრომელთა გადამზადება	განხორციელდა	100%		ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო"

1.2.4	სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს პროგრამების და მხარდამჭერი მექანიზმების შეფასების ჩატარება	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში”
ამოცანა 1.3. მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობის სტატისტიკური აღრიცხვის გაუმჯობესება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
1.3.1	მიმართულების რაოდენობა, სადაც ხელმისაწვდომია მცირე და საშუალო მეწარმეობის დეტალური სტატისტიკა				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
1.3.1	მომხმარებელთათვის საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის შედეგების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, დამატებითი ცხრილების ექსელის ფორმატში ხელმისაწვდომობა	განხორციელდა	100%		საქსტატი
1.3.2	სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის პორტალზე, რეპორტების ნაწილში დამატებითი მონაცემების ხელმისაწვდომობა საწარმოთა ზომის ჭრილში	განხორციელდა	100%		საქსტატი
1.3.3	საწარმოთა ინოვაციური აქტივობის გამოკვლევის ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშება საწარმოთა ზომის	განხორციელდა	100%		საქსტატი
ამოცანა 1.4. კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
1.4.1	კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებების მიხედვით, შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტების რაოდენობის ზრდა				
1.4.2.	ტრენინგები კონკურენციის კანონმდებლობაზე				
1.4.3.	კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებების მიხედვით, შესაბამის ბაზარზე სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
1.4.1	სავარაუდო კანონდარღვევის შესახებ კონკურენციის სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის ჩატარება და ბაზრის მონიტორინგის განხორციელება	განხორციელდა	100%		საქართველოს კონკურენციის და მომხმარებლის დაცვის სააგენტო
1.4.2	კონკურენციის სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასება და ბაზრის მონიტორინგის განხორციელება	განხორციელდა	100%		საქართველოს კონკურენციის და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

1.4.3	კერძო და საჯარო სექტორისთვის (ბიზნესი, საკონსულტაციო კომპანიები, ადვოკატთა ასოციაცია, ადმინისტრაციული ორგანოები, მარეგულირებელი ორგანოები, მოსამართლეები) კონკურენციის ან/და მომხმარებლის უფლებების დაცვის კანონმდებლობის შესახებ ტრენინგების ჩატარება	განხორციელდა	100%		საქართველოს კონკურენციის და მომხმარებლის დაცვის სააგენტო
ამოცანა 1.5. ბიზნეს დავების სწრაფი და ეფექტიანი გადაწყვეტა					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
1.5.1.	არბიტრაჟის დასრულებული საქმეების რაოდენობა წლიურად				
1.5.2.	მედიაციის დასრულებული საქმეების რაოდენობა წლიურად				
1.5.3.	ბიზნესომბუდსმენისადმი მომართვების რაოდენობა				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
1.5.1	საარბიტრაჟო დავების და მედიაციის პროცესის ადმინისტრირების განხორციელება	განხორციელდა	100%		საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა / საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი
1.5.2	დავების ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმებზე ცნობადობის ამაღლების მიზნით, საარბიტრაჟო დავებზე სემინარების / ვოკშოფების, საერთაშორისო კონფერენციის და კურსების ჩატარება	განხორციელდა	100%		საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა/ საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი
1.5.3	ბიზნეს ომბუდსმენის აპარატში ბიზნესებისთვის განკუთვნილი „საკონსულტაციო ხაზის“ ფუნქციონირება	განხორციელდა	100%		საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი
1.5.4	მცირე და საშუალო მეწარმეებთან, წარმომადგენლებთან, თბილისში და რეგიონებში, საინფორმაციო საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარება	განხორციელდა	100%		საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი
1.5.5	დავის ალტერნატიული მექანიზმების (მედიაციის) გაძლიერებისა და ცნობიერების ამაღლების თაობაზე ფორუმის ჩატარება	განხორციელდა	100%		საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი
1.5.6	მცირე და საშუალო ბიზნესზე საქართველოს კანონმდებლობის ზეგავლენის შესწავლა და რეკომენდაციების შემუშავება	განხორციელდა	100%		საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი
ამოცანა 1.6. სახელმწიფო ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
1.6.1.	მეწარმეებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების რაოდენობა my.gov.ge-ზე				

1.6.2.	მომხმარებელთა პროცენტული წილი, რომელთაც ელექტრონული სერვისი მიიჩნიეს 1) სასარგებლოდ, 2) მარტივად მოსახმარად				
1.6.3.	მომხმარებლის მიერ ელექტრონულად დარეგისტრირებული განცხადებების რაოდენობა მთლიან განცხადებებში				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
1.6.1	ელექტრონული სერვისების გამოყენების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ვიდეო გიდების და მომხმარებლის დამატებითი სახელმძღვანელოების შემუშავება	მეტწილად	86%		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო/ შემოსავლების სამსახური
1.6.2	ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (My.gov.ge) მოხმარების შესახებ მეწარმე სუბიექტების დატრენინგება	ნაწილობრივ	20%		საქართველოს იუსტიციის სამინისტრო/ სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტო
1.6.3	ელექტრონული სერვისების ერთიან პორტალზე My.gov.ge უკუგების მექანიზმის დამატება	ნაწილობრივ	20%		საქართველოს იუსტიციის სამინისტრო/ სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტო
ამოცანა 1.7. გაკოტრების და რეაბილიტაციის სისტემის განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
1.7.1.	გადახდისუუნარობის საქმეთა მთლიან რაოდენობაში ლიკვიდაციის ნაცვლად საწარმოს რეაბილიტაციით დასრულებულ გადახდისუუნარობის საქმეთა წილი				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
1.7.1	გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა კატეგორიების (რომლებიც დაშვებული იქნებიან სხვადასხვა ტიპის გადახდისუუნარობის საქმეებზე, მათი სირთულის გათვალისწინებით) განსაზღვრის მიზნით სამართლებრივი ბაზის	არ დაწყებულა	0%		საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
ამოცანა 1.8. მცირე და საშუალო მეწარმეთა ცნობიერების ამაღლება რეგულაციების ცვლილებებთან და საჯარო-კერძო დიალოგის განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
1.8.1	კერძო სექტორის განვითარების საკონსულტაციო საბჭოს სხდომების რაოდენობა				
1.8.2	სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს და DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის სხდომების რაოდენობა				
.8.3	DCFTA-ით გათვალისწინებული ევროკავშირის საკანონმდებლო აქტების რაოდენობა, რომელთან დაახლოების მიზნით მომზადებული საკანონმდებლო პროექტები კომენტარებისთვის განთავსებულია dcfta.gov.ge-ზე				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
1.8.1	კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

1.8.2	სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს და DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრების ორგანიზება	შეჩერებულია	0%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
1.8.3	DCFTA-ით გათვალისწინებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან დაახლოების პროცესში კერძო-საჯარო დიალოგის უზრუნველყოფა	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

პრიორიტეტი 2. მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა

ამოცანა 2.1 შრომის ბაზრის სფეროში მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობა

N	ამოცანის შედეგის ინდიკატორი
2.1.1.	შრომის ბაზრის საჭიროებების შესახებ ჩატარებული კვლევების შედეგების პრეზენტაცია/განხილვის რაოდენობა

N	აქტივობა	სტატუსი	პროგრესი	ფერი	პასუხისმგებელი
2.1.1	ეკონომიკის სექტორების სრულად მოცვით უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის განხორციელება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
2.1.2	უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის სექტორული კვლევის განხორციელება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
2.1.3	შრომის ბაზრის წლიური ანალიზის მომზადება	განხორციელდა	1000%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
2.1.4	უნარების პროგნოზირების მაკროეკონომიკური მოდელის შემუშავება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
2.1.5	თანამშრომელთა გადამზადება უნარების პროგნოზირების მაკროეკონომიკური მოდელთან მიმართებით	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ამოცანა 2.2. უსაფრთხო შრომითი გარემოს საჭიროების შესახებ ცნობიერების ამაღლება

N	ამოცანის შედეგის ინდიკატორი
2.2.1.	ჩატარებული ტრენინგების/შეხვედრების რაოდენობა წლიურად
2.2.2.	ტრენინგების / შეხვედრების მონაწილეთა %-ული წილი, რომელიც აცხადებს, რომ ტრენინგზე მიღებული უნარები მათ დაეხმარება გაუმჯობესონ შრომის უსაფრთხოების დაცვის სტანდარტი ან შრომის უსაფრთხოების რეგულაციებთან შესაბამისობის ხარისხი

N	აქტივობა	სტატუსი	პროგრესი	ფერი	პასუხისმგებელი

2.2.1	„შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად პირველადი და განმეორებითი ინსპექტირებების განხორციელება და შესაბამისი მითითებების გაცემა	განხორციელდა	100%		საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო/ სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური
2.2.2	უსაფრთხო შრომითი გარემოს შესახებ ტრენინგების/საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრების განხორციელება	განხორციელდა	100%		საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო/ სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური
2.2.3	შრომის უსაფრთხოების ნორმების ეფექტურად აღსრულების მიზნით საინფორმაციო მასალების მომზადება	განხორციელდა	100%		საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო/ სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური
ამოცანა 2.3. სამეწარმეო უნარების გაძლიერება რეგულარული ტრეინინგების გზით					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
2.3.1.	დატრენინგებულ მეწარმეთა პროცენტული წილი, რომლებიც თვლიან, რომ ტრენინგის განმავლობაში მიღებული უნარები და ცოდნა გამოადგებათ საკუთარი ბიზნესის გაუმჯობესებაში				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
2.3.1	მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, მიკრო და მცირე მეწარმეთა ტრენინგი ზოგადი მეწარმეობის საკითხებში და გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებში	მეტწილად	93%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/ სსიპ „აწარმოე საქართველოში
2.3.2	სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" რეგიონლურ ინოვაციურ ცენტრებში ტექნოლოგიურ უნარებთან მიმართებით ტრენინგების ჩატარება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/ სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო"
2.3.3	მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის ტრენინგების ჩატარება სამეწარმეო უნარებთან მიმართებით	განხორციელდა	100%		სსკ „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა"
ამოცანა 2.4. მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				

2.4.1.	პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების (პსდ-ები) რაოდენობა, სადაც დანერგილია მეწარმეობრივი კულტურის კონცეფცია
2.4.2.	მოკლევადიანი პროფესიული მომზადება - გადამზადების პროგრამების კურსდამთავრებულთა რაოდენობა
2.4.3.	დანერგილი დუალური მიდგომის პროფესიული პროგრამების რაოდენობა

N	აქტივობა	სტატუსი	პროგრესი	ფერი	პასუხისმგებელი
2.4.1	დუალური მიდგომით პროფესული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება	მეტწილად	70%		საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგზარდობის სამინისტრო
2.4.2	სახელმწიფოს ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის კონსულტაციების გაწევა და ტრენინგების ჩატარება ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით	განხორციელდა	100%		პროფესიული უნარების სააგენტო
2.4.3	პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება სამეწარმეო კომპეტენციების მიმართულებით	განხორციელდა	100%		პროფესიული უნარების სააგენტო
2.4.4	პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელება	განხორციელდა	100%		პროფესიული უნარების სააგენტო
2.4.5	შერჩეულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მეწარმეობრივი კულტურის კონცეფციის დანერგვა	მეტწილად	80%		პროფესიული უნარების სააგენტო
2.4.6	ევროპის სამეწარმეო კომპეტენციების (Entrecomp) ჩარჩოს დანერგვა პროფესიული სტუდენტების სამეწარმეო კომპეტენციების გაძლიერების მიზნით	განხორციელდა	100%		პროფესიული უნარების სააგენტო

ამოცანა 2.5. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის (LMIS), შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემისა (WORKNET) და შესაბამისი სერვისების განვითარება

N	ამოცანის შედეგის ინდიკატორი
2.5.1.	სერვისების მიმღებთა რაოდენობა
2.5.2.	სერვისების მიმღებთა რაოდენობა, რომელიც დასაქმდება

N	აქტივობა	სტატუსი	პროგრესი	ფერი	პასუხისმგებელი
2.5.1	„უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის“ გაციფრულება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
2.5.2	შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ვებგვერდის (lmis.gov.ge)	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების

	მომხმარებელზე ორიენტირებულობის გაზრდისა და გასავითარებლად, ახალი კონცეფციის შემუშავება				სამინისტრო
2.5.3	დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების ქვეპროგრამის აქტივობები: შრომის ბაზარზე ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირების გაწევა; საშუამავლო მომსახურება; მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშემწყობა (შრომის ანაზღაურების სუბსიდირება); დასაქმების ფორუმების მოწყობა; ვაკანსიების მონიტორინგი და თვისებრივი კვლევების განხორციელება მინიმუმ წელიწადში ერთხელ; სააგენტოს საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლება; სოციალურ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობა.	განხორციელდა	100%		საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო / სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო
2.5.4	შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის (WORKNET) განვითარება/განახლება	მეტწილად	85%		საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო / სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო
2.5.5	სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ქვეპროგრამის სერვისები: პროფესიული კონსულტაციისა (პროფკონსულტაცია) და კარიერის დაგეგმვის მომსახურებება; საკვანძო კომპეტენციების განვითარება; სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება, პროფესიული გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება (სტაჟირება).	განხორციელდა	100%		საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო / სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო

ამოცანა 2.6 ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის პოპულარიზაცია					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
2.6.1.	დატრენინგებულ კომპანიათა რაოდენობა				
2.6.2	შემუშავებული ESG სახელმძღვანელო				
2.6.3.	დატრენინგებულ კომპანიათა რაოდენობა, რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი უნარები დაეხმარება RBC / ESG პრინციპების იმპლემენტაციაში				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
2.6.1	მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის სახელძღვანელოს	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების

	შექმნა ESG (გარემოსდაცვის, სოციალური და მმართველობითი) მიმართულებით				სამინისტრო/ სსიპ „აწარმოე საქართველოში“
2.6.2	პასუხისმგებლიანი ბიზნეს ქცევის მიმართულებით საუკეთესო მაგალითების ყოველწლიური პუბლიკაციის შექმნა	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/ სსიპ „აწარმოე საქართველოში“
2.6.3	ESG სახელმძღვანელოს შესახებ ცნობიერების ამაღლება მცირე და საშუალო ზომის საწარმოებთან საინფორმაციო სესიების საშუალებით	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/ სსიპ „აწარმოე საქართველოში“
2.6.4	ექსპორტის მენეჯერთა კურსის მხარდაჭერა თანადაფინანსების გზით და მასში მდგრადი განვითარების მიზნებისა და ნარჩენების მართვის საკითხების ინტეგრირება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/ სსიპ „აწარმოე საქართველოში“

ამოცანა 2.7. ფართოზოლოვანი ინტერნეტის საშუალებით ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობა

N	ამოცანის შედეგის ინდიკატორი
2.7.1.	ციფრული წიგნიერების (მათ შორის ციფრული უნარების) ხელშემწობი პროგრამებით მოცული დასახლებების რაოდენობა

N	აქტივობა	სტატუსი	პროგრესი	ფერი	პასუხისმგებელი
2.7.1	Log-in Georgia პროექტის მეორე კომპონენტის “ციფრული მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, პროექტის სამიზნე დასახლებების მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობისა და მათ ციფრულ საჭიროებებზე მორგებული ტრენინგ პროგრამებისა და საინფორმაციო შეხვედრების უზრუნველყოფა	მეტწილად	60%		საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

პრიორიტეტი 3: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ამოცანა 3.1. სახელმწიფო დაფინანსების პროგრამების განვითარება

N	ამოცანის შედეგის ინდიკატორი
3.1.1.	შექმნილი ახალი პროდუქტები ან განახლებული არსებული პროდუქტები
3.1.2.	სახელმწიფო დაფინანსების პროგრამებში მონაწილე კომპანიების % მაჩვენებელი, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა მიიღონ დაფინანსება არასახელმწიფო წყაროებიდან სახელმწიფო დაფინანსების პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ

N	აქტივობა	სტატუსი	პროგრესი	ფერი	პასუხისმგებელი
3.1.1	სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ არსებული პროგრამების განახლება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/ სსიპ „აწარმოე საქართველოში“

3.1.2	სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსება სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/ სსიპ „აწარმოე საქართველოში“
3.1.3	საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში სესხების გარანტიის გაცემა	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/ სსიპ „აწარმოე საქართველოში“
3.1.4	მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მიკრო გრანტების გაცემა	მეტწილად	70%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/ სსიპ „აწარმოე საქართველოში“
3.1.5	აგროკრედიტების საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება	განხორციელდა	100%		საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო /ა(ა)იპ „სოფლის
3.1.6	სადაზღვევო პრემიის სუბსიდირება	მეტწილად	56%		საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ „სოფლის განვითარების
3.1.7	თანამედროვე ხეხილის ბაღების გაშენების ხელშეწყობა „დანერგე მომავალი“ პროგრამის ფარგლებში	მეტწილად	69%		საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ „სოფლის განვითარების
3.1.8	ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია	განხორციელდა	100%		საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ „სოფლის განვითარების
3.1.9	სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის განხორციელება	განხორციელდა	100%		საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ „სოფლის განვითარების
3.1.10	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურის დაფინანსება	მეტწილად	53%		საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ „სოფლის განვითარების
3.1.11	ფერმერებისთვის მოსავლის ამღები	განხორციელდა	100%		საქართველოს გარემოს

	ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება მოსავლის ამღები ტექნიკის თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში				დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო“
3.1.12	სოფლის განვითარების სააგენტოს ბენეფიციარებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა ბიზნესის განვითარებაში, პროექტების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში	მეტწილად	70%		საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო“
3.1.13	ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების პროგრამის განხორციელება	გაუქმებულია	0%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“

ამოცანა 3.2. დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმების განვითარება

N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
3.2.1.	ლიზინგის პორტფელის მოცულობა
3.2.2.	ფაქტორინგის სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო

N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
3.2.1	ფაქტორინგის შესახებ კანონის პროექტის შემუშავება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
3.2.2	უზრუნველყოფილი ტრანზაქციების რეფორმის სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
3.2.3	კერძო/ვენჩერული კაპიტალის ფონდების მასტიმულირებელი მექანიზმების დანერგვა და შემოყვანა	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
3.2.4	SAFE ინსტრუმენტის დანერგვა (მომავალი წილის მარტივი შეთანხმება)	ნაწილობრივ	20%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
3.2.5	ლიზინგთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესების მიზნით ცვლილებების პროექტის შემუშავება	შეჩერებულია	0%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
3.2.6	სახალხო დაფინანსების სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება	ნაწილობრივ	30%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
3.2.7	მოძრავი ქონების გირავნობის რეესტრის მოდერნიზება და შეტყობინებაზე დაფუძნებული რეესტრის სისტემის შექმნა	განხორციელდა	100%		საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამოცანა 3.3. ფინანსური განათლების შემდგომი გაუმჯობესება

N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

3.3.1.	ტრენინგის მონაწილეთა %-ული წილი, რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე მიღებული უნარები და ცოდნა დაეხმარება მათ უკეთესად წარმართონ თავიანთი კომპანიის ფინანსები				
3.3.2.	საგანმანათლებლო პოსტები ფინანსური განათლების პორტალის სოციალური ქსელით				
3.3.3.	მეწარმეთა ფინანსური განათლების არსებული ქულა				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
3.3.1	საინფორმაციო ვიდეო შეხვედრების ჩატარება, ფინანსური განათლების პორტალის (ფინედუს) ფეისბუქის პირდაპირი (LIVE) ჩართვების სერია - „საუბრები ბიზნესზე“.	განხორციელდა	100%		საქართველოს ეროვნული ბანკი
3.3.2	საგანმანათლებლო პოსტები ფინანსური განათლების პორტალის (ფინედუს) სოციალური ქსელით	განხორციელდა	100%		საქართველოს ეროვნული ბანკი
ამოცანა 3.4. გირავნობის საგნის გაფართოება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
3.4.1.	რეგისტრირებული მიწების ფართობი				
3.4.2.	სესხები უძრავი ქონების უზრუნველყოფით				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
3.4.1	საინფორმაციო კამპანიის განხორციელება მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში დადგენილ შეღავათებსა და მიწის სისტემური რეგისტრაციის თაობაზე	განხორციელდა	100%		საქართველოს იუსტიციის სამინისტრო/ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
3.4.2	მიწის სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში აგეგმილი/აზომილ მიწებზე უფლების რეგისტრაციის განხორციელება	განხორციელდა	100%		საქართველოს იუსტიციის სამინისტრო/ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
ამოცანა 3.5 მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხარისხის ზრდა					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
3.5.1.	ანგარიშგების წარდგენის მაჩვენებელი				
3.5.2.	ტრენინგების და გადამზადებული პირების რაოდენობა				
3.5.3.	გადამზადებული ბუღალტერების %-ული წილი, რომელთა მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არის გაუმჯობესებული ხარისხის				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
3.5.1	ანგარიშგების წარდგენის მაჩვენებლის გაუმჯობესების მიზნით, საწარმოთათვის ანგარიშგების წარდგენის პროცესთან, მათ შორის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესახებ ცნობადობის ამაღლების აქტივობების ჩატარება	განხორციელდა	100%		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო/ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

3.5.2	ანგარიშგებების ფინანსური ანგარიშგების შემოწმებების განხორციელება, მათი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის ხარისხის ზრდის მიზნით	განხორციელდა	100%		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო/ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური
3.5.3	ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის ჩატარება	განხორციელდა	100%		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო/ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური
3.5.4	ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დანერგვაში მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის მიზნით ფასს ფონდის მიერ გამოშვებული განახლებული მსს ფასს სტანდარტის თარგმნა, შესაბამისი განახლებული სასწავლო/სატრენინგო მასალების თარგმნა/მომზადება და ტრენინგების ჩატარება	ნაწილობრივ	50%		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო/ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

ამოცანა 3.6 Venture Capital (VC) და „business angels" ეკოსისტემის შემდგომი განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
3.6.1.	ინვესტიციები "VC" და „business angels" ფონდებიდან წლიურად				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
3.6.1	საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძიებების საქართველოში ჩატარების და საზღვარგარეთ სააგენტოს და სტარტაპების ანალოგიურ ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო"

პრიორიტეტი 4. მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

ამოცანა 4.1 საექსპორტო შესაძლებლობების გამოყენების ხელშეწყობა	
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
4.1.1.	ჩატარებულ ღონისძიებებთან მიმართებით კომპანიების კვლევის საფუძველზე გამოვლენილი კომპანიების დადებითი უკუკავშირი

4.1.2.	b2b შეხვედრების რაოდენობა, რომელიც ჩატარდა მხარდაჭერილი კომპანიებსა და საერთაშორისო მყიდველებს შორის				
4.1.3.	იდენტიფიცირებული საექსპორტო პოტენციალის მქონე ახალი პროდუქტის/მომსახურების რაოდენობა				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
4.1.1	ქართული კომპანიების საერთაშორისო გამოფენებში/ღონისძიებებში მონაწილეობის ორგანიზებაში მხარდაჭერა და თანადაფინანსება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/ სსიპ "აწარმოე საქართველოში"
4.1.2	ქართული კომპანიების საერთაშორისო გამოფენებში/ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით მხარდაჭერილი კომპანიების უკუკავშირის კვლევის ჩატარება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/ სსიპ „აწარმოე საქართველოში“
4.1.3	ექსპორტის სტიმულირების ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში კომპანიათა თანადაფინანსება	მეტწილად	77%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/ სსიპ „აწარმოე საქართველოში“
4.1.4	ექსპორტ/იმპორტის საკითხებზე ინდივიდულური კონსულტაცია; პარტნიორის მოძიებაში მხარდაჭერა; სავაჭრო პარტნიორებს შორის პრობლემური ქეისების განხილვაში დახმარება; საერთაშორისო პროექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და დახმარება; მსოფლიო მასშტაბით საერთაშორისო გამოფენების და ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება	განხორციელდა	100%		საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
ამოცანა 4.2. DCFTA-ის შესაძლებლობების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
4.2.1.	ევროკავშირის ბაზარზე აქცენტირებული ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი, რომელიც თვლის, რომ DCFTA– ს შესახებ მიღებულ ცოდნას გამოიყენებს ყოველდღიურ მუშაობაში				
4.2.2.	DCFTA.gov.ge ვებგვერდის ვიზიტორთა რაოდენობა				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
4.2.1	შეხვედრების და ტრენინგების მოწყობა DCFTA-თან დაკავშირებულ საკითხებზე	განხორციელდა	100%		საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
4.2.2	DCFTA-ს შესახებ ვებ - გვერდის ეფექტიანი ფუნქციონირება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
4.2.3	ექსპორტის მენეჯერთა გადამზადების კურსის ჩატარება	განხორციელდა	100%		სსიპ „აწარმოე საქართველოში“

ამოცანა 4.3. ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის, მათ შორის შესაბამისი ინსტიტუტების (აკრედიტაცია, მეტროლოგია, სტანდარტიზაცია და ა.შ.) განვითარება საერთაშორისო და/ან ევროპულ პრაქტიკასთან შემდგომი დაახლოების მიზნით					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
4.3.1.	საერთაშორისო და ევროკავშირის ხარისხის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების მიერ აღიარებული აკრედიტაციის სფეროები				
4.3.2.	დაინტერესებული მხარეებისათვის ხელმისაწვდომი საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტების რაოდენობა				
4.3.3.	მეტროლოგიის სფეროში დაინტერესებული პირებისათვის გაწეული სერვისების გაზრდილი დიაპაზონი და/ან სფერო, მათ შორის საერთაშორისო დონეზე აღიარებული სერვისები				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
4.3.1	ევროპული აკრედიტაციის ორგანიზაციის EA-ს აღიარების გაფართოება საკვალიფიკაციო ტესტირების მიმწოდებელი ორგანოების სფეროში	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო აკრედიტაციის ცენტრი
4.3.2	მენეჯმენტისა და აუდიტის სისტემების სერტიფიკაციის ორგანოების აკრედიტაციის აღიარების მიზნით EA-თვის შესაბამისი მიმართვა, შეფასების ორგანიზებისათვის	ნაწილობრივ	20%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო აკრედიტაციის ცენტრი
4.3.3	მენეჯმენტის და და აუდიტის სისტემების სერტიფიცირების სფეროში EA-განმიღებული აღიარების საფუძველზე საერთაშორისო აღიარების გაფართოება IAF-ში	არ დაწყებულა	0%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო აკრედიტაციის ცენტრი
4.3.4	საკვალიფიკაციო ტესტირების მიმწოდებელი ორგანოების სფეროში EA-განმიღებული აღიარების საფუძველზე საერთაშორისო აღიარების გაფართოება ILAC-ში	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო აკრედიტაციის ცენტრი
4.3.5	ევროპული აკრედიტაციის ორგანიზაციის EA-ს აღიარების გაფართოება მენეჯმენტისა და აუდიტის სისტემების სერტიფიკაციის ორგანოების სფეროში	არ დაწყებულა	0%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო აკრედიტაციის ცენტრი
4.3.6	სტანდარტების ელექტრონული პლატფორმის პოპულარიზაცია, განსაკუთრებით მიკრო და მცირე საწარმოების ხელშეწყობა, მათთვის სტანდარტებზე შეღავათიანი ფასების შეთავაზების გზით	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

4.3.7	სტანდარტების ელექტრონული პლატფორმაზე განთავსებული სტანდარტებისა და სტანდარტიზაციის ტექნიკურ კომიტეტებში ჩართული ორგანიზაციების რაოდენობის გაზრდა	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო
4.3.8	სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის პერსონალისა და სტანდარტიზაციის ტექნიკურ კომიტეტებში ჩართული ექსპერტებისათვის ტრენინგების ჩატარება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო
4.3.9	მეტროლოგიის სფეროში GEOSTM ეტალონური ლაბორატორიების აღჭურვილობის განახლების პროცესის გაგრძელება: ახალი და/ან გაუმჯობესებული სერვისების მიწოდება დაინტერესებული პირებისათვის, მათ შორის რეგიონულ დონეზე	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო
4.3.10	სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის შესაბამისი პერსონალის ტრენინგი (მათ შორის ონ-ლაინ) ახალი მიმართულების სერვისების დაფარვის მიზნით	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

ამოცანა 4.4. ინვესტიციების და SME-ების კავშირების გაძლიერება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
4.4.1.	პოტენციური ადგილობრივი მეწარმეების / მომწოდებლების მონაცემთა ბაზა, რომლებიც შეთავაზებულ იქნებიან საქართველოში არსებულ უცხოელ ინვესტორებს (მინიმუმ 60 პირდაპირი უცხოური ინვესტიციის კომპანია)				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
4.4.1	შეხვედრები/კონსულტაციები ბიზნეს ასოციაციებთან ბაზაში შესატანი პოტენციალის მქონე კომპანიების გამოსავლენად	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/ სსიპ „აწარმოე საქართველოში“

პრიორიტეტი 5. ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა

ამოცანა 5.1. ინოვაციური დაფინანსების განვითარება	
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
5.1.1.	ინოვაციური დაფინანსების სახელმწიფო პროდუქტების ბენეფიციარების რაოდენობა

5.1.2.	იმ მცირე და საშუალო მეწარმეების რაოდენობა, რომლებმაც შეიმუშავეს ინოვაციური პროდუქტი (პროტოტიპის დონეზე) ან მომსახურება, სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების ბენეფიციართა შორის				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
5.1.1	150,000 ლარიანი თანადაფინანსების გრანტების გაცემა სტარტაპებისთვის	მეტწილად	83%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/ სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“
5.1.2	15,000 ლარამდე მცირე გრანტების გაცემა	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/ სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“
ამოცანა 5.2. ელექტრონული კომერციის განვითარების ხელშეწყობა					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
5.2.1.	დატრენინგებული ბენეფიციარების რაოდენობა				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
5.2.1	ელ. კომერციის ტრენინგების ჩატარება	განხორციელდა	100%		საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
5.2.2	ელექტრონული კომერციის კანონმდებლობის თაობაზე მეწარმეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით შეხვედრების/ვორკშოფების ჩატარება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ამოცანა 5.3. საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
5.3.1.	საკანონმდებლო და ტექნიკური ჩარჩო ფართოზოლოვანი ქსელების განვითარებისთვის				
5.3.2.	მეწარმეთა რაოდენობა რომელთაც გაიარეს ტრენინგი ციფრულ უნარებში				
5.3.3.	ციფრული უნარების ტრენინგების მიმღებ მეწარმეთა რაოდენობაში იმ მეწარმეთა %-ული წილი, რომლებმაც მიიღეს საერთაშორისო სერთიფიკატი, რაც სამუშაოს მიღების წინაპირობას წარმოადგენს				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
5.3.1	ICT ტრენინგების ჩატარება რეგიონებში, მათ შორის ფრონტ-ენდ დეველოპმენტში, სოციალურ მედია მენეჯმენტსა და ქოფირაითინგში, გრაფიკულ დიზაინში და სხვა	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/ სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო"
5.3.2	5 000 IT სპეციალისტის საინფორმაციო ტექნოლოგიებში გადამზადების პროგრამა	ნაწილობრივ	50%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/ სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო"
5.3.3	უნივერსალური მომსახურების ამოქმედების კუთხით საკანომდებლო ცვლილების პროექტის მომზადება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
5.3.4	შენობის შიდა ფიზიკური ინფრასტრუქტურისა და შენობაში დაშვების ტექნიკური სპეციფიკაციების განსაზღვრის შესახებ დადგენილების	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

	პროექტის მომზადება				
5.3.5	სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობის წესების პროექტის შემუშავება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ამოცანა 5.4. ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
5.4.1.	ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ინტერნეტ ქსელებით დაფარული დასახლებული პუნქტების რაოდენობა				
5.4.2.	ინტერნეტ ქსელებით დაფარული მაღალმთიან რეგიონების დასახლებული პუნქტების (<200 მოსახლეობით) რაოდენობა (სათემო ინტერნეტიზაცია)				
5.4.3.	ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სოფლად აშენებული ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელების სიგრძე (კმ)				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
5.4.1	მაღალმთიან დასახლებებში სათემო ინტერნეტიზაციის ქსელის მშენებლობა	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
5.4.2	საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, სამიზნე გეოგრაფიულ არეალებში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა	ნაწილობრივ	50%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (პროგრამის კოორდინატორი) ა(ა)იპ „ოუფენ-ნეტი“ (პროექტის აღმასრულებელი)
ამოცანა 5.5. მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
5.5.1.	მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების გადაწყვეტილი პრობლემები				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
5.5.1	მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორებთან შეხვედრების ჩატარება, მათ წინაშე არსებული პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
5.5.2	საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, სამიზნე გეოგრაფიულ არეალებში ფართოზოლოვანი "ბოლო მილის" ინფრასტრუქტურის მშენებლობაში მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების დახმარება დონორი ორგანიზაციების მოძიებაში	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ამოცანა 5.6 კვლევასა და ინდუსტრიას შორის კავშირების გაღრმავება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
5.6.1.	ტექნოლოგიური გადაცემების პროექტების რაოდენობა, რომელიც კომერციალიზაციის ეტაპზე გადავიდა				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**

5.6.1	ქართული სამეცნიერო პროექტების კომერციალიზაციის მხარდაჭერა	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“

პრიორიტეტი 6. ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა					
ამოცანა 6.1. „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპების” (WEPs) პოპულარიზაცია					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
6.1.1.	„ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპების” შესახებ საინფორმაციო სესიების რაოდენობა				
6.1.2.	ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი, რომელიც ადასტურებს რომ ტრენინგის შედეგად მიღებული ცოდნა დაეხმარება მათ ხელი შეუწყონ თავიანთ საქმიანობაში გენდერულ თანასწორობის საკითხებთან მიმართებით				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
6.1.1	ქალ მეწარმეებთან შეხვედრები „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ „აწარმოე საქართველოში“
6.1.2	ქალთა გაძლიერების პრინციპებთან დაკავშირებით საინფორმაციო სესიების ორგანიზება კომპანიების წარმომადგენლებისთვის	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ „აწარმოე საქართველოში“
6.1.3	კომპანიებთან შეხვედრები/ტრენინგები ქალთა გაძლიერების თემაზე პრიორიტეტული მიმართულებების იდენტიფიცირებისა და ქალთა გაძლიერების პრინციპების დანერგვის თაობაზე მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ „აწარმოე საქართველოში“
6.1.4	ქალი მეწარმეებისთვის ინფორმაციის მიწოდება/ შეხვედრების ჩატარება საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებთან/ბიზნეს ფორუმებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდების მიზნით და მათში მონაწილეობის ხელშეწყობა	განხორციელდა	100%		საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
ამოცანა 6.2. გენდერული ნიშნით სტატისტიკის გაუმჯობესება სახელმწიფო პროგრამებში					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
6.2.1.	სახელმწიფო პროგრამების სტატისტიკა წარმოდგენილია გენდერული ნიშნით				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**

6.2.1	„ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ მიერ განხორციელებული პროგრამების გენდერული ნიშნით სტატისტიკის წარმოება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“
6.2.2	სსიპ „აწარმოე საქართველოში“ პროგრამების სტატისტიკის წარმოება გენდერული ნიშნით	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ „აწარმოე საქართველოში”
ამოცანა 6.3. სახელმწიფო პროგრამებში ქალთა მონაწილეობის წახალისება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
6.3.1.	„მიკრო გრანტების” სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ქალების წილი				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
6.3.1	მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება და მასში ქალ მეწარმეთა პრიორიტიზირება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ „აწარმოე საქართველოში“
6.3.2	ქალებისათვის საპილოტე პროგრამის განხორციელება, საპილოტე მუნიციპალიტეტებში ეკონომიკურად არააქტიური ქალების საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად ინტეგრაციის, მათი სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ქალების სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართვის სტიმულირების მიზნით	განხორციელდა	100%		საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ააიპ „სოფლის განვითარების სააგენტო“
6.3.3	ქალებისთვის საინფორმაციო სესიების ორგანიზება ინოვაციებსა და ტექნოლოგიების მიმართულებით არსებულ პროგრამებში მონაწილეობის წახალისების მიზნით	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო /სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“
6.3.4	სოფლის განვითარების სააგენტოს რეგიონული ექსტენციის ცენტრების გაძლიერების და მათ მიერ ქალ ბენეფიციართა წახალისების მიზნით ტრენინგების, სესიებისა და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება	განხორციელდა	100%		საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ააიპ „სოფლის განვითარების სააგენტო“
ამოცანა 6.4. ქალებში ციფრული უნარ-ჩვევების გაძლიერება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
6.4.1.	ქალ-მეწარმეთა რაოდენობა ციფრულ უნარებთან დაკავშირებულ ტრენინგებში				

6.4.2.	ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი, რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი ციფრული უნარები დაეხმარება ბიზნეს საქმიანობის გაუმჯობესებაში				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
6.4.1	ქალი მეწარმეებისთვის ელ კომერციის ტრენინგის ჩატარება	განხორციელდა	100%		საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
6.4.2	ქალთა ტექნოლოგიური ბანაკების ორგანიზება	განხორციელდა	100%		სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“
ამოცანა 6.5. სახელმწიფო სტრუქტურების შესაძლებლობების გაზრდა გენდერული მიდგომების განვითარებისთვის					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
6.5.1.	გენდერული მიდგომების განვითარებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა				
6.5.2.	ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი. რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი უნარები სასარგებლო იქნება მათ საქმიანობაში გენდერზე დაფუძნებული მიდგომის თვალსაზრისით				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
6.5.1	სსიპ „აწარმოე საქართველოში“ თანამშრომელთა გადამზადება გენდერულ თანასწორობაზე, გენდერული კუთხის გათვალისწინებით პროგრამების ორგანიზებასა და ანალიზის საკითხებში	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ „აწარმოე საქართველოში“
6.5.2	სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ სისტემაში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის ეფექტიანი მუშაობის მიზნით თანამშრომელთა გადამზადება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/ სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“
6.5.3	საჯარო მოხელეთა გადამზადება გენდერული თანასწორობის, გენდერული გავლენის ანალიზის, გენდერულად სენსიტიური დაგეგმვის, შეფასების, მონიტორინგისა და გენდერული ბიუჯეტირების საკითხებზე	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

პრიორიტეტი 7. მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

ამოცანა 7.1. მწვანე ზრდის სტრატეგიის განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
7.1.1.	მწვანე ზრდის 2022-2027 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
7.1.1	მწვანე ზრდის 2024-2029 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის	მეტწილად	80%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების

	შემუშავება				სამინისტრო
ამოცანა 7.2 ეკო-ინოვაციის მიდგომის პოპულარიზაცია					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
7.2.1.	კომპანიათა რაოდენობა, რომელთანაც შედგა საინფორმაციო შეხვედრები				
7.2.2.	მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობა, რომელშიც ეკო-ინოვაციური მიდგომა დანერგილია				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
7.2.1	მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში ეკო-ინოვაციური მიდგომის პოპულარიზაციის მიზნით საინფორმაციო სესიების ორგანიზება კომპანიების, საჯარო სექტორისა და ბიზნეს ასოციაციებისთვის	განხორციელდა	100%		სსიპ "აწარმოე საქართველოში" აქ ეკონომიკის სამინისტროც ეწერა (ვორდში
ამოცანა 7.3. მწვანე დაფინანსების განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
7.3.1.	„მწვანე" ფინანსური პროდუქტების არსებობა				
7.3.2.	მდგრადი ფინანსების ტაქსონომიის არსებობა				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
7.3.1	მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარების ფარგლებში ახალი გზამკვლევის შემუშავება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეროვნული ბანკი
7.3.2	მდგრადი ფინანსების ტაქსონომიის შესახებ მიღებული რეგულაციის დანერგვა	განხორციელდა	100%		საქართველოს ეროვნული ბანკი
ამოცანა 7.4. საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
7.4.1.	საკანონმდებლო ჩარჩო დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობას				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
7.4.1	კანონქვემდებარე აქტების შემუშავება „ენერგოეტიკეტირების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
7.4.2	ეკოდიზაინის ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
7.4.3	საკანონმდებლო ჩარჩოს დაახლოების პროცესის გაგრძელება DCFTA-ით გათვალისწინებულ ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან	მეტწილად	84%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
7.4.4	კანონქვემდებარე აქტების შემუშავება „ენერგოეფექტურობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად	მეტწილად	95%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
7.4.5	კანონქვემდებარე აქტების შემუშავება „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად	ნაწილობრივ	50%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
7.4.6	კანონქვემდებარე აქტების შემუშავება	მეტწილად	60%		საქართველოს ეკონომიკისა

	„შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად				და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ამოცანა 7.5. ეკოტურიზმის განვითარება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
7.5.1.	საქართველოს ეკოტურიზმის 2021-2031 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა				
7.5.2.	ეკოტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით კეთილმოწყობილი ბილიკები				
7.5.3.	დაცული ტერიტორიების გაზრდილი ფართობი				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
7.5.1	ბილიკების კეთილმოწყობა	განხორციელდა	100%		საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/დაცული ტერიტორიების სააგენტო
7.5.2	დაცული ტერიტორიების დაარსება და/ან გაფართოება	განხორციელდა	100%		საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/დაცული ტერიტორიების სააგენტო
7.5.3	სამთო-საფეხმავლო ბილიკების მოწყობა	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
7.5.4	აგროტურიზმის გზამკვლევისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება	განხორციელდა	100%		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
ამოცანა 7.6. გარემოსდაცვით საკითხებზე მცირე და საშუალო მეწარმეების ცნობიერების ამაღლება					
N	**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**				
7.6.1.	ტრენინგების იმ კურსდამთავრებულთა პროცენტული წილი, რომელთაც მიაჩნიათ, რომ შეძენილი ცოდნა დაეხმარება გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებაში				
N	**აქტივობა**	**სტატუსი**	**პროგრესი**	**ფერი**	**პასუხისმგებელი**
7.6.1	მწვანე მიდგომების შესახებ ტრენინგების განხორციელება მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის	განხორციელდა	100%		გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
7.6.2	საინფორმაციო შეხვედრების გამართვა გარემოსდაცვითი მიმართულებით მიღებული ახალი საკანონმდებლო რეგულაციების გაცნობის მიზნით	განხორციელდა	100%		გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

პრიორიტეტი 1. საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება

საკანონმდებლო დახვეწის, ინსტიტუციური გაძლიერებისა და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესების თაობაზე პრიორიტეტული მიმართულების მიზანი მდგომარეობს მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული მცირე და საშუალო საწარმოების შექმნის და ფუნქციონირების შესაძლებლობების შექმნა/გაფართოებაში. აღნიშნული ძირითადი პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში დასახული მიზნის მიღწევის გავლენის ინდიკატორია SME-ის მიერ გამოშვებული პროდუქციის ზრდა (საბაზისო 2019 წ. - 27.7 მლრდ. ლარი; სამიზნე მაჩვენებელი 2025 წ. – 20%-იანი ზრდა).

2024 წელს[10] SME-ის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობამ ნომინალში 48.1 მლრდ. ლარი შეადგინა, რაც 73.6%-ით აღემატება 2019 წლის მაჩვენებელს. ამასთან, 2025 წლის 3 კვარტლის მონაცემებით, SME-ის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობამ ნომინალში 36,7 მლრდ. ლარი შეადგინა, რაც 82.1%-ით აღემატება 2019 წლის 3 კვარტლის მონაცემებს.

პირველი პრიორიტეტული მიმართულება - საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება - აერთიანებს 8 ამოცანას და 26 აქტივობას.

ამოცანა 1.1. ევროკავშირისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს საკანონმდებლო ბაზის დახვეწა მცირე და საშუალო მეწარმეობასთან მიმართებით

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1: OECD „SME POLICY INDEX“ კვლევაში „ინსტიტუციური და მარეგულირებელი ჩარჩოს“ კომპონენტის ქულა.

OECD-ის „SME POLICY INDEX 2024“ კვლევაში „ინსტიტუციური და მარეგულირებელი ჩარჩოს“ კომპონენტში საქართველოს ქულა გაუმჯობესდა და 4.37 ქულა შეადგინა (საბაზისო მაჩვენებელი - 4.20 ქულა).

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კვლევა „მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსი“[11] (SME Policy Index) ქვეყნებს აფასებს არსებული მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პოლიტიკის „ევროპის მცირე ბიზნესის აქტთან” შესაბამისობის თვალსაზრისით. აღნიშნული ინდექსი საქართველოს,

[10] 2025 წლის შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები, საქსტატის მონაცემების გამოქვეყნების კალენდრის შესაბამისად, ხელმისაწვდომი იქნება 2026 წლის მარტში.

[11] OECD, SME Policy Index: Eastern Partner Countries 2020 იხ. https://www.oecd.org/publications/sme-policy-index-eastern-partner-countries-2020-8b45614b-en.htm

აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებთან ერთად (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, მოლდოვა, უკრაინა), აფასებს მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის 12 მიმართულების მიხედვით, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა 37 ქვეკომპონენტად. 2023 წლის დეკემბერში, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) გამოაქვეყნა „მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსი 2024"-ის შედეგები, რომლის თანახმად, საქართველო, წინა რაუნდის შეფასებების ანალოგიურად, აღმოსალეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის კვლავ უპირობო ლიდერია და 12 მიმართულებიდან 11 მიმართულებაში პირველ პოზიციას იკავებს. ინდექსის ერთ-ერთი კომპონენტია „ინსტიტუციური და მარეგულირებელი გარემო", სადაც საქართველოს ქულა[6] 4.37-ს შეადგენს და ქვეყანა ამ შეფასებით რეიტინგში პირველ პოზიციას იკავებს (საბაზისო მაჩვენებელი 4.20 ქულა).

„SME Policy Index" ქვეყნდება ოთხ წელიწადში ერთხელ. „SME Policy Index 2024" წარმოადგენს კვლევის მე-4 რაუნდს 2012, 2016 და 2020 წლების შემდეგ.

„ინსტიტუციური და მარეგულირებელი გარემო" აფასებს ქვეყანაში მცირე და საშუალო მეწარმეობასთან მიმართებით სახელმწიფო პოლიტიკის მრავალწლიანი სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის არსებობას, შესაბამისი ინდიკატორების და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით.

2021-2025 წლების საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია, რომელიც 2016-2020 წლების სტრატეგიის ფარგლებში მიღწეული შედეგების ანალიზის და ამასთან, არსებული გამოწვევების საპასუხოდ იქნა მიღებული, სრულ შესაბამისობაშია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან და ასევე, „ევროპის მცირე ბიზნესის აქტის" მოთხოვნებთან. შესაბამისად, სტრატეგიის წარმატებით იმპლემენტაცია „SME Policy Index"-ის მე-4 რაუნდის წარმატებით შეფასების ძირეულ საფუძველს წარმოადგენს.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.2: კანონმდებლობის ცვლილებისას ხორციელდება RIA SME ტესტი.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, მომზადდა RIA SME Test-ის მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგიის მიზანია უზრუნველყოს RIA SME Test-ის ინსტრუმენტის პრაქტიკაში გამოყენება.

სამინისტროს მიერ მომზადდა RIA-SME ტესტი:

1. „ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტზე, რომელიც დაეყრდნო შემუშავებულ RIA SME Test-ის მეთოდოლოგიას. ანგარიშში შეფასდა პოლიტიკის ალტერნატივების ზეგავლენა მცირე და საშუალო საწარმოებზე შემდეგი მიმართულებებით:

    - საშუალო წლიური დანახარჯი ერთ საწარმოზე;

    - საშუალო წლიური დანახარჯი ერთ დასაქმებულზე;

- საშუალო წლიური დანახარჯის %-ული წილი ბრუნვაში.

2. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე. კვლევაში გაანალიზდა შემოთავაზებული ალტერნატივების ზეგავლენა მცირე და საშუალო ბიზნესზე. კვლევამ დაადასტურა, რომ შერჩეული პოლიტიკის ალტერნატივა დაკავშირებულია მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელთან, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის და აუმჯობესებს ბაზარზე კონკურენტულ გარემოს.

3. საქართველოს ელექტროენერგიის ბაზრის ახალ მოდელზე. კვლევაში შეფასდა ბაზრის ლიბერალიზაციის რეფორმის ეფექტიანობა, რეგულაციების გავლენა ელექტროენერგიის საცალო ფასზე, მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის შემოსავლის ტრანსფერებზე და ეკონომიკურ ზრდაზე.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.3: საბაჟო კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და საბაჟო პროცედურები გამარტივებულია.

საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-10 წიგნით დადგენილია საბაჟო ვალდებულებისაგან გათავისუფლების ახალი დებულებები, რომელიც ჰარმონიზებულია ევროკავშირის შესაბამის დებულებებთან. აღნიშნულის იმპლემენტაციისთვის, მომზადებულია საბაჟო კოდექსის აღსრულებისათვის საჭირო ნორმატიული აქტების პროექტები.

- ✓ **აქტივობა 1.1.1: ნორმატიული აქტის პროექტზე RIA SME TEST-ის პილოტის განხორციელება**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მომზადებულია RIA- SME ტესტი:

1. „ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტზე. ანგარიშში შეფასდა პოლიტიკის ალტერნატივების ზეგავლენა მცირე და საშუალო საწარმოებზე შემდეგი მიმართულებებით:

- საშუალო წლიური დანახარჯი ერთ საწარმოზე;
- საშუალო წლიური დანახარჯი ერთ დასაქმებულზე;
- საშუალო წლიური დანახარჯის %-ული წილი ბრუნვაში.

2. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე. გაანალიზდა ალტერნატივების ზეგავლენა მცირე და საშუალო ბიზნესზე, კერძოდ, მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის ხარჯები და გავლენა კონკურენტუნარიანობაზე.

3. საქართველოს ელექტროენერგიის ბაზრის ახალ მოდელზე. კვლევაში შეფასდა ბაზრის

ლიბერალიზაციის რეფორმის ეფექტიანობა, რეგულაციების გავლენა ელექტროენერგიის საცალო ფასზე, მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის შემოსავლის ტრანსფერებზე და ეკონომიკურ ზრდაზე.

- ✓ **აქტივობა 1.1.2: RIA SME TEST-ის ტექნიკური სახელმძღვანელოს/ მეთოდოლოგიის პროექტის შემუშავება**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, 2023 წელს, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის და OECD-ის გაიდლაინების შესაბამისად, მომზადდა RIA SME Test-ის მეთოდოლოგია და პრაქტიკული სახელმძღვანელო ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომელიც ხელმისაწვდომია საჯაროდ.

აღნიშნული მეთოდოლოგიის მიზანია უზრუნველყოს RIA SME Test-ის ინსტრუმენტის პრაქტიკაში გამოყენება. ამ მიზნით, სახელმძღვანელო ინტეგრირებულია Excel-თან, სადაც მეტი სიმარტივისთვის, წინასწარ არის გააქტიურებული რამდენიმე მაგალითი და შესაბამისი ფორმულები. აღნიშნული კი მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოს მეტად მოსახერხებელს და ადვილად გამოსაყენებელს ხდის.

- ✓ **აქტივობა 1.1.3: RIA SME TEST-ის თაობაზე ტრენინგების ჩატარება საჯარო მოხელეებისთვის.**

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ორგანიზებით, საჯარო მოხელეებისთვის ჩატარდა 3 ტრენინგი RIA და RIA SME ტესტის თაობაზე.

ამოცანა 1.2. მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის ინსტიტუციური გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.1: გადამზადებული პერსონალი, ვინც ადასტურებს, რომ ტრენინგზე მიღებულ ცოდნას და უნარებს ყოველდღიურ მუშაობაში იყენებს.

მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის ინსტიტუციური გაძლიერების ფარგლებში, განხორციელდა სააგენტოების „აწარმოე საქართველოში“, „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ და „სოფლის განვითარების სააგენტოს“ თანამშრომელთა ტრენინგები.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულმა ტრენინგებმა, განსაზღვრული მიზნის ფარგლებში, ხელი შეუწყო თანამშრომელთა იმ უნარ - ჩვევების განვითარებას, რომლებიც მათ აძლევს შესაძლებლობას, მიღებული ცოდნა და უნარები გამოიყენონ ყოველდღიურ საქმიანობაში,

წარმართონ საქმიანობა ეფექტიანად და უზრუნველყონ პროცესების მართვა.

ტრენინგზე მიღებულ ცოდნა/უნარებს, საშუალოდ, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ გადამზადებულ თანამშრომელთა 83% და სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ 81% იყენებს ყოველდღიურ საქმიანობაში

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.2: მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის საბიუჯეტო დაფინანსება.

2025 წლისთვის, სსიპ „აწარმოე საქართველოში“ პროგრამების ბიუჯეტმა 180.3 მლნ ლარი შეადგინა; სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ ბიუჯეტი 46.5 მლნ ლარს გაუტოლდა; ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ ბიუჯეტმა სხვადასხვა პროექტების და პროგრამის ფარგლებში შეადგინა 269.2 მლნ ლარი.

ჯამურად, მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის საბიუჯეტო დაფინანსებამ, 2025 წლისთვის 496 მლნ ლარი შეადგინა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.3: შერჩეული სახელმწიფო პროგრამების გავლენის შეფასების განხორციელება.

2025 წლის მონაცემებით, განხორციელდა სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ 6 პროგრამის გავლენის შეფასების ანგარიში, კერძოდ:

- მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა;
- ექსპორტის ხელშეწყობის მიმართულებით, საერთაშორისო გამოფენებში/ღონისძიებებში მონაწილეობის თანადაფინანსება;
- ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკატო კურსი;
- ექსპორტის სტიმულირების პროგრამა;
- საკრედიტო-საგარანტიო სქემა;
- სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსების პროგრამა (ინდუსტრიული, უნივერსალური).

ასევე, 2023-2024 წლებში შეფასდა 2 სხვა პროგრამა - "სუბსიდირებული იპოთეკური სესხის" და „მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა“.

- ✓ **აქტივობა 1.2.1: სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს თანამშრომელთა გადამზადება**

2025 წელს, 18 სხვადასხვა ტრენინგში/ვორქშოფში/სასწავლო ტურში სააგენტოს 39 თანამშრომელი გადამზადდა.

ჯამურად, 2023-2025 წლებში გადამზადდა 206 ადამიანი (შესაძლოა, ერთ თანამშრომელს

მონაწილეობა მიეღო რამდენიმე ტრენინგში).

- ✓ **აქტივობა 1.2.2: სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ თანამშრომელთა გადამზადება**

საანგარიშო პერიოდში, სხვადასხვა მიმართულებით გადამზადდა სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" 68 თანამშრომელი, კერძოდ:

- “Promoting Entrepreneurship through Digital Transformation (Policymaker Programme)“ - 2 თანამშრომელი;
- “GITA's Capacity Building - Training Program for GITA and beneficiary SMEs on Digitalisation“ - 12;
- „პოლიტიკის დაგეგმვა, მონიტორინგი და შეფასება შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობისთვის“ - 2;
- „საინვესტიციო პროექტების მართვის ელექტრონული სისტემა“ - 1;
- ელექტრონიკის ტრენინგი - 11;
- “Data Analytics & BI Development (SQL & Power BI)“ - 2;
- “PYTHON BASICS & ADVANCED DATA ANALYTICS WITH PYTHON“ - 1;
- „მონაცემთა აღრიცხვა ახალი კანონის მიხედვით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით არსებული გამოწვევები“ - 1;
- „პროექტების მენეჯმენტი“ - 1;
- „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება“ - 33;
- Design Thinking ტრენინგი - 2.

ჯამურად, 2023-2025 წლებში სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" 151 თანამშრომელი გადამზადდა.

- ✓ **აქტივობა 1.2.3: ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ თანამშრომელთა გადამზადება**

2021-2022 წლებში, შემუშავებული იქნა და 2023-ში ჩატარდა ტრენინგების საჭიროების კვლევა.

საანგარიშო 2025 წელს, სხვადასხვა მიმართულებით გადამზადდა ა(ა)იპ ,,სოფლის განვითარების სააგენტოს" (RDA) 360 თანამშრომელი.

ჯამურად, 2023-2025 წლებში, გადამზადდა სააგენტოს 933 თანამშრომელი.

- ✓ **აქტივობა 1.2.4: სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს პროგრამების და მხარდამჭერი მექანიზმების შეფასების განხორციელება**

2025 წლის მონაცემებით, განხორციელდა სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ 6 პროგრამის გავლენის შეფასების ანგარიში, კერძოდ:

- მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა;
- ექსპორტის ხელშეწყობის მიმართულებით, საერთაშორისო გამოფენებში/ღონისძიებებში მონაწილეობის თანადაფინანსება;
- ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკატო კურსი;
- ექსპორტის სტიმულირების პროგრამა;
- საკრედიტო-საგარანტიო სქემა;
- სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსების პროგრამა (ინდუსტრიული, უნივერსალური).

ამოცანა 1.3. მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობის სტატისტიკური აღრიცხვის გაუმჯობესება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.1: მიმართულების რაოდენობა, სადაც ხელმისაწვდომია მცირე და საშუალო მეწარმეობის დეტალური სტატისტიკა.

მომხმარებელთათვის სტატისტიკურ მაჩვენებლებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების და დამატებითი მაჩვენებლების წარმოების მიზნით, განხორციელდა დამატებითი ცხრილების განთავსება საქსტატის ვებ-გვერდზე (ფიქსირებული აქტივები, მოგება, ზარალი, შრომის მწარმოებლურობა), სხვადასხვა ჭრილში, მათ შორის, საწარმოთა ზომის მიხედვით.

სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის პორტალზე, რეპორტების ნაწილში განხორციელდა რეგისტრირებული და აქტიური სუბიექტების მონაცემების განთავსება საწარმოთა ზომის მიხედვით.

განხორციელდა საწარმოთა ინოვაციური აქტივობის გამოკვლევის ძირითადი მაჩვენებლების საწარმოთა ზომის მიხედვით გაანგარიშება და მაჩვენებლები განთავსდა საქსტატის ვებ-გვერდზე.

ამოცანა 1.4. კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.1: კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებების მიხედვით, შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტების რაოდენობის ზრდა.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ გააკეთა ზეგავლენის შეფასება გადაწყვეტილებაზე. კერძოდ, სააგენტოს გადაწყვეტილებით, სახელმწიფო შესყიდვებში ერთ-ერთი სატენდერო პირობა მიჩნეული იქნა ანტიკონკურენტულად და ბაზარზე შესვლის ბარიერად.

ზეგავლენის შეფასება გაკეთდა გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.[12]

[12] საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის სააგენტოს ბრძანება, https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpoe6anU.pdf

შეფასების ფარგლებში აღინიშნა, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციებმა გაითვალისწინეს სააგენტოს გადაწყვეტილება, ასევე, რეკომენდაცია და მსგავსი სახის ანტიკონკურენტული პირობას აღარ ჰქონია ადგილი მათი მხრიდან. შესაბამისად, სააგენტოს გადაწყვეტილებით ბაზარზე შესვლის აღნიშნული კონკრეტული ანტიკონკურენტული ბარიერი მოიხსნა და ბაზარი გაიხსნა ეკონომიკური აგენტების ფართო ჯგუფისთვის.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.2: ტრენინგები კონკურენციის კანონმდებლობაზე.

2025 წელს, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს ორგანიზებით გაიმართა 45 ტრენინგი/ღონისძიება და 1 კონფერენცია (კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ მე-4 საერთაშორისო კონფერენცია). ჯამურად, 2021-2025 წლებში, კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის პოლიტიკასთან დაკავშირებით, სააგენტოს ორგანიზებითა და სხვადასხვა დონორი ორგანიზაციისა და სახელმწიფო უწყებების მხარდაჭერით, გაიმართა 74 ტრენინგი/ღონისძიება და 2 კონფერენცია.

აღნიშნული ღონისძიებები განკუთვნილი იყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის, მოვაჭრეებისთვის, მოწყვლადი მომხმარებლებისთვის (მათ შორის, შშმ პირებისთვის, ეთნიკური უმცირესობებისთვის), სტუდენტებისთვის, მოსამართლეებისთვის, ბიზნეს ასოციაციებისთვის და ა.შ.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.3: კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებების მიხედვით, შესაბამის ბაზარზე სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ გააკეთა ზეგავლენის შეფასება მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. კერძოდ, სააგენტოს გადაწყვეტილებით, სახელმწიფო შესყიდვებში ერთ-ერთი სატენდერო პირობა მიჩნეული იქნა ანტიკონკურენტულად და ბაზარზე შესვლის ბარიერად.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის შეფასების შედეგად, პირდაპირი და არაპირდაპირი კავშირი შესაბამის ბაზარზე სამუშაო ადგილების გაზრდასთან დაკავშირებით არ გამოვლენილა.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ მოამზადა და გამოაქვეყნა 2 ბაზრის მონიტორინგი და გზამკვლევი დოკუმენტი კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ.

გადაწყვეტილებების ზეგავლენის შეფასების ან მონიტორინგის თითოეული საქმის ფარგლებში ინდივიდუალურად ხდება მისი გავლენის შეფასება ამა თუ იმ ბაზარზე. ასევე, აქტივობის გათვალისწინებით, ხორციელდება სხვადასხვა ბაზრის მონიტორინგი.

- ✓ **აქტივობა 1.4.1: სავარაუდო კანონდარღვევის შესახებ კონკურენციის სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის ჩატარება და ბაზრის მონიტორინგის განხორციელება**

საანგარიშო პერიოდში, სააგენტომ ავტოიმპორტიორების ერთობლივი საჩივრის საფუძველზე დაწყებული საქმის მოკვლევა დაასრულა. მოკვლევის ფარგლებში, შპს „რუსთავის ავტობაზრობისა“ და შპს ,,მიკადო ჯორჯიას“ მხრიდან დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტი დადგინდა. საქმის მოკვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ 2023 წელს, ქ. რუსთავის ავტობაზრობის ტერიტორიაზე, ავტოსადგომებით სარგებლობის სანაცვლოდ, მოპასუხე ეკონომიკური აგენტები არასამართლიანად მაღალი ფასებით ოპერირებდნენ. ფასის გაზრდა განხორციელდა ორჯერ და მეტად, რამაც 1 საპარკინგე ადგილის დღიურ ტარიფსა და ,,ხარჯი პლუს მარჟას“ შორის ჭარბი სხვაობა გამოიწვია. საბოლოოდ, აღნიშნული ქმედება სააგენტოს მიერ შეფასდა, როგორც დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, რაც არასამართლიანად მაღალი ფასის დაწესებაში გამოიხატა ავტოიმპორტიორებისთვის. შესაბამის სექტორში, კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების და სამომავლოდ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, სააგენტომ განსახილველად სავალდებულო რეკომენდაცია გასცა. რეკომენდაციის თანახმად, სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურმა აგენტებმა მომსახურების/პროდუქციის საფასო პოლიტიკა უნდა აწარმოონ იმგვარად, რომ ფასის დადგენამდე კონკურენციის საწინააღმდეგო რისკები შეაფასონ და გაითვალისწინონ.[13]

სააგენტომ მედიკამენტების მაღალი ფასნამატით რეალიზაციის თაობაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გასაჯაროვებული ინფორმაციის საფუძველზე დაწყებული მოკვლევა დაასრულა. სააგენტომ 4 კომპანიის (შპს „გეა“, შპს „კონცეპტ ფარმა“, შპს „გლობალ ცბს“, შპს „რიჩ გრუპი“) მხრიდან დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტი დაადგინა, რაც მედიკამენტებზე (ჯამში 7 მედიკამენტი) არასამართლიანად მაღალი ფასების დაწესებაში გამოიხატა. აღნიშნული წარმოადგენს ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის დარღვევას. შესაბამისად, სააგენტოს გადაწყვეტილებით, აღნიშნულ 4 სუბიექტს ჯარიმა დაეკისრა. ამასთან, როგორც აღნიშნული მოკვლევის შესაბამის, ასევე, სხვა სექტორებში კონკურენტული გარემოს გაუმჯობესებისა და სამომავლოდ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, სააგენტომ გასცა განსახილველად სავალდებულო რეკომენდაცია.[14]

საანგარიშო პერიოდში, სააგენტომ ასევე დაასრულა ორი მოკვლევა, რომლის ფარგლებშიც არ დადგინდა კანონის დარღვევა. კერძოდ, ერთ-ერთი მოკვლევა ეხებოდა თევზის ბაზარს[15],

[13] წყარო: https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1721

[14] საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის სააგენტოს ბრძანება, https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpHKoZ1H.pdf

[15] საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის სააგენტოს ბრძანება, https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpQYA68K.pdf

ხოლო მეორე ციფრულ სექტორში დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.[16]

სააგენტოში, ასევე, მიმდინარეობს დამატებით 2 საქმის მოკვლევა, ერთი ეხება სამშენებლო ზედამხედველობის მიმართულებით, 2022-2025 წლებში გამოცხადებულ ტენდერების მონაწილე 11 კომპანიას, სავარაუდო შეთანხმებული ქმედებების ფაქტებზე. მეორე საქმე უკავშირდება სამეზობლო ხარჯების მართვის ელექტრონული სისტემების სფეროში მოქმედი ეკონომიკური აგენტის მიერ სავარაუდო არაკეთილსინდისიერ კონკურენციას. რაც შეეხება მიმდინარე მონიტორინგებს, საანგარიშო პერიოდის მდგომარეობით, სააგენტო ახორციელებს 7 ბაზრის მონიტორინგს, კერძოდ, ეს ბაზრებია FMCG (სწრაფად ბრუნვადი სამომხმარებლო საქონელი), პესტიციდები და აგროკიმიკატების საცალო რეალიზაცია, სამედიცინო მომსახურება, თხილი, მოცვი, თამბაქო, საავტომობილო საწვავი.

2023-2025 წლებში, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ სხვადასხვა სექტორში, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის სხვადასხვა მუხლის საფუძველზე, ჯამურად განახორციელა 13 მოკვლევა და 5 ბაზრის მონიტორინგი. მოკვლევებისა და ბაზრის მონიტორინგის შედეგად, კანონდამრღვევი ეკონომიკური აგენტების სანქცირებასთან ერთად, გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც ეხება ბაზრებზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღებასა და შესაბამისად, ბაზარზე შესვლისთვის სხვა სუბიექტებისათვის ბარიერების მოხსნას.

- ✓ **აქტივობა 1.4.2: კერძო და საჯარო სექტორისთვის (ბიზნესი, საკონსულტაციო კომპანიები, ადვოკატთა ასოციაცია, ადმინისტრაციული ორგანოები, მარეგულირებელი ორგანოები, მოსამართლეები) კონკურენციის ან/და მომხმარებლის უფლებების დაცვის კანონმდებლობის შესახებ ტრენინგების ჩატარება**

საანგარიშო პერიოდში, სააგენტოს ორგანიზებითა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, სააგენტოს წარმომადგენლებმა კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის პოლიტიკის მიმართ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს მასშტაბით, ქ. თბილისისა და რეგიონების სკოლებში გამართეს 44 ტრენინგი/ ღონისძიება, მათ შორის: 2 ღონისძიება - შშმ მოსწავლეებთან, 6 - ოკუპირებულ ტერიტორიებთან არსებული გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, ასევე, 7 ღონისძიება - ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ მოსწავლეებთან რეგიონებში.

სააგენტომ, ასევე, ჩაატარა ღონისძიება სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები გაეცნენ კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს.

[16] საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის სააგენტოს ბრძანება, https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpWFqK7y.pdf

გარდა ამისა, ჩატარდა კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ მე-4 საერთაშორისო კონფერენცია. ღონისძიება სააგენტოს, ეროვნული ბანკის, სემეკის, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის და კომუნიკაციების კომისიის ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა, რომლის ფარგლებშიც საქართველოს 20-მდე ქვეყნის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის უწყების ხელმძღვანელი პირები, ასევე, მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაციების - World Bank, UNCTAD (გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია), OECD, ICN, ICPEN (მომხმარებელთა დაცვისა და აღსრულების საერთაშორისო ქსელი), Consumers International წარმომადგენლები ეწვივნენ. კონფერენციის ფარგლებში, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით 10 პანელური დისკუსია, მათ შორის, 3 საერთაშორისო და 1 სექტორული კვლევის პრეზენტაცია გაიმართა.

2023-2025 წლებში, სააგენტოს ორგანიზებით, ჯამურად, ჩატარდა 67 ტრენინგი და 1 კონფერენცია.

- ✓ **აქტივობა 1.4.3: კონკურენციის სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასება და ბაზრის მონიტორინგის განხორციელება**

საანგარიშო პერიოდში, მობილური აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის სერვისის მიწოდების ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასების მიზნით, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მიერ განხორციელდა მონიტორინგი, რომელიც მოიცავდა ბაზრის მრავალმხრივ შეფასებას. მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მოხდა მობილური აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის სერვისის მიწოდების შესაბამისი ბაზრის პროდუქციული, გეოგრაფიული და დროითი ჩარჩოს განსაზღვრა; ჩატარდა შესაბამისი ბაზრის მრავალმხრივი რაოდენობრივი ანალიზი იმის დასადგენად, არსებობდა, თუ არა ბაზარზე დომინანტური ან/და ჯგუფური დომინანტური მდგომარეობა ან/და კონკურენციის შემზღუდველი სხვა რაიმე ფაქტორების არსებობის რისკი. სააგენტოს მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დეტალური ანალიზისა და მრავალმხრივი შეფასების საფუძველზე, მობილური აპლიკაციების მეშვეობით მგზავრთა გადაყვანის სერვისის მიწოდების ბაზარზე არ გამოიკვეთა კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის რისკები.

2023-2025 წლებში, სააგენტომ განახორციელა 8 მოკვლევა/კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასება და 4 ბაზრის მონიტორინგი.

ამოცანა 1.5. ბიზნეს დავების სწრაფი და ეფექტიანი გადაწყვეტა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.5.1: არბიტრაჟის დასრულებული საქმეების რაოდენობა წლიურად.

2025 წელს, საარბიტრაჟო ცენტრში (GIAC) დარეგისტრირდა 10 კომერციული დავა. წლის განმავლობაში მიმდინარეობდა 12 დავა. საანგარიშო პერიოდში, საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის (GIAC) მიერ დასრულებულია 6 კომერციული დავა. 2021-2025 წლებში, საარბიტრაჟო ცენტრში დასრულებული იქნა 27 დავა, ამასთან, საშუალო საწარმოებს უკავშირდებოდა დავების 45 პროცენტი.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.5.2: მედიაციის დასრულებული საქმეების რაოდენობა წლიურად.

ქვეყნის მასშტაბით შექმნილია და ფუნქციონირებს 19 სასამართლო მედიაციის ცენტრი. 2025 წელს, მედიაციისთვის გადაცემული საქმეების რაოდენობამ 372 შეადგინა. დასრულდა 347 საქმე. მორიგებით დასრულდა 77 საქმე (დასრულებული საქმეების 22%).

2021-2025 წლებში, ჯამურად, მედიაციისთვის გადაცემული საქმეების რაოდენობამ 1472 საქმე შეადგინა. მათ შორის, დასრულდა 1261 საქმე. მორიგებით დასრულდა 345 საქმე (27.4%).

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.5.3: ბიზნესომბუდსმენისადმი მომართვების რაოდენობა.

2024 წელს, ბიზნესომბუდსმენისადმი მიმართვების რაოდენობამ 225 შეადგინა, მათ შორის, 80%-ზე მეტი მცირე ბიზნესზე მოდის. საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით (1253 მომართვა), 2024 წელს 82%-ით შემცირდა მომართვების რაოდენობა.

- ✓ **აქტივობა 1.5.1: საარბიტრაჟო დავების და მედიაციის პროცესის ადმინისტრირების განხორციელება**

საანგარიშო პერიოდში, წარმოებაში მიღებული იქნა 10 კომერციული დავა, რომლის განხილვა მიმდინარეობს. საარბიტრაჟო დავები გამომდინარეობს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, რომლებიც დაკავშირებული იყო საზოგადოებების კორპორატიულ საკითხებთან, საერთაშორისო ნასყიდობასთან და მომსახურებასთან. დავების მხარეები არიან მხოლოდ იურიდიული პირები. 3 დავა არის საერთაშორისო ხასიათის, რომელშიც ერთ-ერთი მოდავე მხარე მაინც არის უცხოელი.

ჯამურად, 2023-2025 წლებში დასრულებულია 10 საარბიტრაჟო დავა.

- ✓ **აქტივობა 1.5.2: დავების ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმებზე ცნობადობის ამაღლების მიზნით, საარბიტრაჟო დავებზე სემინარების / ვოკშოფების, საერთაშორისო კონფერენციის და საგანმანათლებლო კურსების ჩატარება**

2025 წელს, დავების ალტერნატიული მექანიზმების სფეროთი დაინტერესებული

პირების, იურისტების, ადვოკატებისა, არბიტრებისა და სტუდენტებისთვის სხვადასხვა აქტუალურ თემაზე გაიმართა სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის:

- პრაქტიკული სასერთიფიკატო კურსების შესაბამისი თემატიკის ტრეინინგი;
- GIAC-ს ორგანიზებით პარიზის არბიტრაჟის კვირეულის ფარგლებში ღონისძიება რეგიონში მიმდინარე სიახლეებზე დავის ალტერნატიულ მექანიზმებისა და ამ კუთხით საინვესტიციო გარემოსთან დაკავშირებით;
- საარბიტრაჟო დღეების ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა სემინარი, ვორქშოპი და თემატური დისკუსიები;
- GIAC-მა მონაწილეობა მიიღო Amcham-ის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში, რომლის ფარგლებშიც მათ წევრებს გააცნეს არბიტრაჟის უპირატესობები;
- GIAC- მა მონაწილეობა მიიღო ბაქოს საარბიტრაჟო დღეებზე, რომლის ფარგლებშიც მონაწილეებს გააცნეს GIAC-ის მიღწევები და სიახლეები.

2024 წელს, დავების ალტერნატიული მექანიზმების სფეროთი დაინტერესებული პირების, იურისტების, ადვოკატების, არბიტრებისა და სტუდენტებისთვის სხვადასხვა აქტუალურ თემაზე გაიმართა საარბიტრაჟო დღეები, კერძოდ, ჩატარდა:

- სემინარი თემაზე „ქალთა ჩართულობა და როლი არბიტრაჟში“;
- 7 ტრეინინგი პრაქტიკოსი იურისტებისთვის თემაზე ,,წარმომადგენლობა არბიტრაჟში”;
- სამუშაო შეხვედრა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან, კომპანიების იურისტებთან და დამოუკიდებელ პრაქტიკოს იურისტებთან. სამუშაო შეხვედრაზე განხილული იქნა თემები, რომელიც შეეხებოდა დავების გადაწყვეტის სხვადასხვა ალტერნატიულ მექანიზმს და მნიშვნელოვან ასპექტებს, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას მხარეთა მიერ ხელშეკრულებების დავების გადაწყვეტის დათქმაში.

2023 წელს, საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის (GIAC) ორგანიზებითა და CLDP-ის და USAID-ის მხარდაჭერით, გაიმართა არბიტრაჟის დღეების რიგით მე-10 საიუბილეო კონფერენცია. სამდღიანი საარბიტრაჟო დღეების ფარგლებში, სფეროს წამყვანმა პრაქტიკოსებმა და ექსპერტებმა საერთაშორისო და ადგილობრივი არბიტრაჟის არსებულ გამოწვევებზე და ახალ ტენდენციებზე იმსჯელეს. კონფერენციის მონაწილეთა რიცხვი 250-ს აჭარბებდა, მათ შორის, თითქმის ნახევარი უცხოელი სტუმარი იყო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. აღნიშნული კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კონფერენციის მნიშვნელობას, მასშტაბსა და რეპუტაციას, რაც თავის მხრივ, ქვეყნის რეგიონულ საარბიტრაჟო ჰაბად ჩამოყალიბების საქმეში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. 2023 წელს, ჩატარდა 8 ტრენინგი და სემინარი, გაიმართა პანელური დისკუსიები.

- ✓ **აქტივობა 1.5.4: მცირე და საშუალო მეწარმეებთან, წარმომადგენლებთან, თბილისში და რეგიონებში, საინფორმაციო საკონსულტაციო შეხვედრების**

ჩატარება

2023-2025 წლებში, აქტივობის ფარგლებში ბიზნეს ომბუდსმენის აპარატის მიერ გაიმართა 202 შეხვედრა. ამასთან, აპარატმა ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოში მონაწილეობა მიიღო 68 შეხვედრაში. ბიზნეს ომბუდსმენის აპარატმა ჩაატარა 3 რეგიონული შეხვედრა.

- ✓ **აქტივობა 1.5.5: დავის ალტერნატიული მექანიზმების (მედიაციის) გაძლიერებისა და ცნობიერების ამაღლების თაობაზე ფორუმის ჩატარება**

2023-2025 წლებში, დავის ალტერნატიული მექანიზმების (მედიაციის) შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა ფორუმი და სხვადასხვა ღონისძიება, კერძოდ:

- მედიაციის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში გაიმართა საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენის და საქართველოს მედიატორთა ასოციაციისა და ერთობლივი მე-2 ყოველწლიური საერთაშორისო ფორუმი „მედიაცია ბიზნესისთვის“. ფორუმში მონაწილეობას მიიღეს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა, ბიზნესის წარმომადგენლებმა, ასევე, სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეულმა უცხოელმა ექსპერტებმა. ფორუმზე უცხოელმა ექსპერტებმა ფორუმის მონაწილეებს გაუზიარეს თავიანთ ქვეყნებში არსებული პრაქტიკა და გამოცდილება, მათ შორის, გაკეთდა პრეზენტაცია თუ რატომ უნდა გაიღოს ბიზნესმა რესურსი მედიაციაზე. დისკუსიის ფორმატში განხილული იქნა, ასევე, კომერციული მედიაციის როლი ბიზნეს-ეფექტურობის მიღწევაში და ბიზნეს დავების გამოწვევები სასამართლოში. ფორუმი „მედიაცია ბიზნესისთვის“ მიზნად ისახავს ერთი მხრივ, დავის გადაწყვეტის ახალი მექანიზმის პოპულარიზაციას და მეორე მხრივ, სტაბილური პლატფორმის შექმნას, რაც საშუალებას მისცემს ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს მეტი ინფორმაცია მიიღონ მედიაციის შესახებ და ეფექტიანად, მოკლე ვადაში და ნაკლები დანახარჯით, მათ წინაშე არსებული დავები, თავად მოაგვარონ მედიაციის გამოყენებით. ასევე, გაიმართა ყოველწლიური ფორუმი - მედიაცია იურისტებისთვის;
- საქართველოს მედიატორთა ასოციაციის და ადვოკატთა ასოციაციის შრომის კომიტეტის ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა სამედიაციო მორიგების პრობლემური საკითხების და მედიაციის გზით ინდივიდუალური შრომითი კატეგორიის დავების პრაქტიკის განხილვა, პრობლემების გადაჭრის სტრატეგიაზე შეჯერება და საჭირო დოკუმენტის შემუშავება;
- ასოციაციის მხარდაჭერით და ორგანიზაცია „ელსა თბილისის“ (ELSA Tbilisi - European Law Students' Association) ორგანიზებით, ჩატარდა სემინარების ციკლი

თემაზე: ”მედიაციის მნიშვნელობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში”. პროექტში მონაწილეობდნენ თბილისის აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები. პროექტის განმავლობაში, მონაწილეებს მიეცათ საშუალება გაცნობოდნენ მედიაციის მნიშვნელობას, მის პროცესს და უშუალოდ მიეღოთ მონაწილეობა მედიაციის როლურ თამაშში;

- გაიმართა ტრენინგი - საუკეთესო ამერიკული პრაქტიკის გაზიარება ქართველი მედიატორებისათვის. ორ დღიანი ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებს მიეცათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ საერთაშორისო პრაქტიკასა და ჰავაის შტატის მოსამართლეების გამოცდილებას მედიაციაში არსებული გამოწვევებისა და სიახლეების შესახებ;
- მედიატორთა განგრძობადი პროფესიული განათლების ფარგლებში ჩატარდა ეთიკის სავალდებულო ტრენინგი მედიატორებისთვის;
- პროექტ „MediateHER Georgia" ფარგლებში, მოქმედ მედიატორ და მედიატორობის მსურველ ქალთათვის, ქალთა გაძლიერების მიზნების შესაბამისად, ქუთაისის უნივერსიტეტში ჩატარდა მედიაციის უნარ-ჩვევების განმავითარებელ ტრენინგი. მედიატორობის მსურველი სხვადასხვა პროფესიის ქალები. ტრენინგის მიზანი იყო ეფექტური მედიაციის და დავის გადაჭრის ფსიქოლოგიური და კომუნიკაციური უნარების და ტექნიკების გაუმჯობესება და განვითარება.

✓ **აქტივობა 1.5.6: მცირე და საშუალო ბიზნესზე საქართველოს კანონმდებლობის ზეგავლენის შესწავლა და რეკომენდაციების შემუშავება**

2023-2025 წლებში, ბიზნეს ომბუდსმენის აპარატმა განიხილა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტის პროექტები. მოამზადა სამართლებრივი დასკვნები, შუამდგომლობები და გასცა რეკომენდაციები (20 საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი, 8 სამართლებრივი დასკვნა, 40 შუამდგომლობა, 30 რეკომენდაცია). ამასთან, ბიზნეს ომბუდსმენის აპარატმა 3 საკანონმდებლო აქტთან დაკავშირებით მონაწილეობა მიიღო RIA-ს ანგარიშის მომზადებაში.

ამოცანა 1.6. სახელმწიფო ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.6.1: მეწარმეებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების რაოდენობა MY.GOV.GE-ზე.

2025 წლისთვის, მეწარმეებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების რაოდენობა my.gov.ge-ზე 40-ს შეადგენს, რაც საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 10-ით ნაკლებია. აღნიშნული

გამოწვეულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებებით. ამ ეტაპის მდგომარეობით, გათიშული სერვისები დაემატება მას შემდეგ, რაც შესაბამისობაში მოვა განახლებულ კანონთან. ეტაპობრივად მიმდინარეობს 2023 წელს გათიშული სერვისების აღდგენა/ოპტიმიზაცია და ინტეგრაცია პორტალზე.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.6.2: მომხმარებელთა პროცენტული წილი, რომელთაც ელექტრონული სერვისი მიიჩნიეს 1) სასარგებლოდ, 2) მარტივად მოსახმარად.

დასრულდა სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს დაკვეთით, კვლევითი კომპანია "ACT"-ის მერ ჩატარებული კვლევა - "სახელმწიფო ელექტრონული სერვისების შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება". კვლევის თანახმად, პორტალ my.gov.ge-ის სერვისებით სარგებლობის გამოცდილების მქონე რესპონდენტთაგან, 93% კმაყოფილი/ძალიან კმაყოფილია პორტალით. კმაყოფილების მაჩვენებელი მაღალია პორტალით მოსარგებლეთა შორის ყველა სამიზნე ქალაქში, სადაც კმაყოფილი/ძალიან კმაყოფილია სერვისით მოსარგებლე 10-დან 9 რესპონდენტი. ასეთივე სურათია პორტალისადმი ნდობის თვალსაზრისითაც. კერძოდ, პორტალის სერვისებით მოსარგებლეთა აბსოლუტური უმრავლესობა - 96% ენდობა/ძალიან ენდობა პორტალს და ეს მაჩვენებელი მაღალია ყველა ქალაქში.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.6.3: მომხმარებლების მიერ ელექტრონულად დარეგისტრირებული განცხადებების რაოდენობა მთლიან განცხადებებში.

2025 წელს ელექტრონულად დარეგისტრირებული განცხადებების რაოდენობა, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 16%-ით გაიზარდა და 1,563,162 განცხადება შეადგინა, საბაზისო, 2019 წლის, ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებით კი ზრდამ 158% შეადგინა.

მნიშვნელოვანია ელექტრონულად დარეგისტრირებულ განცხადებებში გადასახადის გადამხდელის მიერ დარეგისტრირებული განცხადებების წილი, რომელიც ელექტრონული განცხადებების 85%-ს შეადგენს (1,328,646 განცხადება).

აღნიშნული მიმართულებითაც დინამიკა დადებითია. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში, 2025 წელს, გადასახადის გადამხდელის მიერ დარეგისტრირებული განცხადებების რაოდენობა, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 12.4%-ით აჭარბებს.

- ✓ **აქტივობა 1.6.1: ელექტრონული სერვისების გამოყენების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ვიდეო გიდების და მომხმარებლის დამატებითი სახელმძღვანელოების შემუშავება**

სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ, საგადასახადო და საბაჟო სერვისების მიმართულებით სულ დაიდენტიფიცირებული იქნა 472 სერვისი.

საანგარიშო პერიოდში, შემოსავლების სამსახურის მიერ 134 სერვისზე შემუშავდა სერვისების გამოყენების სახელმძღვანელოები/ვიდეო გიდები. ამასთან, უმეტეს დამუშავებულ სერვისზე (გარდა ვებ და ავტო+სერვისებისა) შემუშავებულია სერვისის მიწოდების სახელმძღვანელოები და ბიზნეს პროცესის რუკები.

შედეგად, 2025 წლის მდგომარეობით, სულ იდენტიფიცირებული 472 სერვისიდან, სერვისების გამოყენების სახელმძღვანელოები/ვიდეო გიდები შემუშავდა 406 სერვისისთვის, რაც სერვისების საერთო რაოდენობის 86% - ს შეადგენს.

ამოცანა 1.7. გაკოტრების და რეაბილიტაციის სისტემის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.7.1: გადახდისუუნარობის საქმეთა მთლიან რაოდენობაში ლიკვიდაციის ნაცვლად საწარმოს რეაბილიტაციით დასრულებულ გადახდისუუნარობის საქმეთა წილი.

2020 წლის სექტემბერში მიღებულ იქნა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც სრულად 2021 წლის აპრილიდან ამოქმედდა. აღნიშნული კანონის მიღებით საქართველოში გადახდისუუნარობის პროცესის მარეგულირებელი პროგრესული ჩარჩო ჩამოყალიბდა და გაჩნდა მეტი სტიმული საწარმოების რეაბილიტაციისთვის.

2021-2024 წლებში, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის საფუძველზე, სასამართლოში საქმის წარმოება დაიწყო 90 საქმეზე, რეაბილიტაციით დასრულდა 27 საქმე.

ჯამურად, რეაბილიტაციით დასრულებულ საქმეთა წილი გადახდისუუნარობის საქმეთა მთლიან რაოდენობაში 30%-ს შეადგენს.

ამოცანა 1.8. მცირე და საშუალო მეწარმეთა ცნობიერების ამაღლება რეგულაციების ცვლილებებთან დაკავშირებით და საჯარო-კერძო დიალოგის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.8.1: კერძო სექტორის განვითარების საკონსულტაციო საბჭოს სხდომების რაოდენობა.

2025 წლის განმავლობაში კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს 4 შეხვედრა ჩატარდა.

საჯარო-კერძო პარტნიორობა და ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება მნიშვნელოვანი ფაქტორია ეკონომიკური განვითარებისთვის, რადგან კერძო სექტორთან რეგულარული დიალოგი ხელს უწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული და შედეგზე

ორიენტირებული პოლიტიკის წარმოებას. საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით, 2016 წელს შეიქმნა კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭო მინისტრის მოადგილის ხელმძღვანელობით, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ კი კერძო სექტორის წარმომადგენელი განისაზღვრა. სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის დიალოგის ინსტიტუციური პლატფორმა - კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭო სწორედ ის ინსტრუმენტია, რომლის ფარგლებშიც ბიზნესს ეძლევა ღია და პირდაპირი შესაძლებლობა წარმართოს კონსტრუქციული დიალოგი სახელმწიფო სექტორთან, მიიღოს ინფორმაცია მიმდინარე თუ დაგეგმილი რეფორმების თაობაზე, განიხილოს მათ წინაშე მდგარი გამოწვევები და წარმოადგინოს ინიციატივები. შედეგად, კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საბჭო ეხმარება მთავრობას შეიმუშაოს ეფექტიანი პოლიტიკა და აღმოფხვრას მეწარმეობის განვითარების ძირითადი დაბრკოლებები. პლატფორმის ფუნქციონირება ხელს უწყობს კერძო სექტორსა და მთავრობას შორის ნდობის გაზრდას და პროგნოზირებადი გარემოს ჩამოყალიბებას.

ჯამურად, 2021-2025 წლებში, ჩატარებულია 20 სხდომა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.8.2: სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს და DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის სხდომების რაოდენობა.

2021 წელს, გაიმართა DCFTA საკონსულტაციო საბჭოს (DAG) შეხვედრა, რომელზეც განხილული იქნა ინფორმაცია თურქეთ-საქართველო-ევროკავშირს შორის დიაგონალური კუმულაციის ამოქმედებასთან დაკავშირებით USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში მიმდინარე კვლევასთან დაკავშირებით. კვლევის მიზანს წარმოადგენდა დიაგონალური კუმულაციის სქემით სარგებლობისთვის მეწარმე სუბიექტების ხელშეწყობა, პოტენციური ბენეფიციარი სექტორებისა და პროდუქტების იდენტიფიცირების გზით. შეხვედრაზე, ასევე, განხილული იქნა ინფორმაცია საქართველოს ლაბორატორიული (ინდუსტრიული მიმართულებით) შესაძლებლობების კვლევის თაობაზე, რომლის მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი ლაბორატორიების განვითარების მიზნით პრიორიტეტული მიმართულებების იდენტიფიცირება.

2022 წელს, გაიმართა DCFTA-ს განხორციელების საკონსულტაციო ჯგუფის (DAG) და სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს (TAG) გაერთიანებული შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც განხილული იქნა:

- DCFTA-ის განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მიმდინარეობა, გამოკვეთილი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები;
- ბრიუსელში დაგეგმილი სავაჭრო საკითხებზე ასოცირების კომიტეტის შეხვედრის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები;
- DCFTA-ის განხორციელების 2023 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების

მდგომარეობა.

ჯამურად, 2021-2025 წლებში ჩატარებულია DCFTA-ს განხორციელების საკონსულტაციო ჯგუფის (DAG) და სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს (TAG) 3 სხდომა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.8.3: DCFTA-ით გათვალისწინებული ევროკავშირის საკანონმდებლო აქტების რაოდენობა, რომელთან დაახლოების მიზნით მომზადებული საკანონმდებლო პროექტები კომენტარებისთვის განთავსებულია DCFTA.GOV.GE-ზე.

2025 წელს, საქართველოს კანონმდებლობა დაუახლოვდა ევროკავშირის 11 საკანონმდებლო აქტს.

2021-2025 წლებში საქართველოს კანონმდებლობა დაუახლოვდა ევროკავშირის 81 საკანონმდებლო აქტს (მ.შ. 2023 წელს - 23 აქტი, 2024 წელს - 13 აქტი და 2025 წელს - 11 აქტი). დაახლოება განხორციელდა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ, ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების და საჯარო შესყიდვების სფეროებში. დაახლოების მიზნით შემუშავებული რეგლამენტები კონსულტაციების მიზნით განთავსებული იქნა ოფიციალურ ვებ-გვერდზე dcfta.gov.ge. აღნიშნულ საკანონმდებლო აქტებზე ჩატარდა შეხვედრები, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილი იქნა დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობა. ასევე, აღსანიშნავია, რომ დინამიური დაახლოების პრინციპის შესაბამისად, ცვლილებები განხორციელდა DCFTA-ის SPS (სანიტარული და ფიტო სანიტარული) თავის დანართში და შემცირდა აღნიშნული დანართით საქართველოს კანონმდებლობასთან დასაახლოებლად განსაზღვრული ჩამონათვალი.

- ✓ **აქტივობა 1.8.1: კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს სხდომების ჩატარება**

საჯარო და კერძო სექტორს შორის მჭიდრო თანამშრომლობის და დიალოგის გაძლიერების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით შექმნილია კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭო მინისტრის მოადგილის ხელმძღვანელობით, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ კი განსაზღვრულია კერძო სექტორის წარმომადგენელი. 2025 წლის განმავლობაში საბჭოს 4 შეხვედრა ჩატარდა:

- 2025 წლის 28 მარტს ჩატარდა კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ გაკეთდა პრეზენტაცია „ტრანსპორტის სფეროში მიმდინარე რეფორმების/სიახლეების თაობაზე“. ასევე, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ წარმოდგენილი

იქნა ინფორმაცია „UNDP-ის 2026-2030 ქვეყნის პროგრამული დოკუმენტის“ პროექტის თაობაზე. შეხვედრაზე, ასევე, გაიმართა დისკუსია თემაზე „კერძო სექტორის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები“.

- 2025 წლის 19 ივნისს ჩატარდა კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ გაკეთდა პრეზენტაცია თემაზე - „ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობა საგადასახადო შეღავათებით“. ასევე, საკონსულტაციო კომპანია „E&Y Georgia”-ს მიერ წარმოდგენილი იქნა პრეზენტაცია - „მდგრადი განვითარების მიზნები და კერძო სექტორის ჩართულობა მათი მიღწევის მიმართულებით“. შეხვედრაზე, ასევე, გაიმართა დისკუსია თემაზე „კერძო სექტორის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები“.
- 2025 წლის 29 სექტემბერს ჩატარდა კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაკეთდა პრეზენტაცია საჯარო რეესტრის მიერ განხორციელებული/მიმდინარე რეფორმებისა და სიახლეების თაობაზე. ასევე, საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ასოციაციის მიერ წარმოდგენილი იქნა პრეზენტაცია „მიკროსაფინანსო სექტორი: არსებული მდგომარეობის მიმოხილვა და სერვისები“. შეხვედრაზე, ასევე, გაიმართა დისკუსია თემაზე „კერძო სექტორის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები“.
- 2025 წლის 9 დეკემბერს ჩატარდა კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს წლის ბოლო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, ბიზნეს ასოციაციის წევრთა ფართო წარმომადგენლობით ფორმატში წარადგინა პრეზენტაცია საქართველოს შრომის ბაზრისა და მისი სამომავლო პერსპექტივების თაობაზე. შეხვედრაზე გაიმართა აქტიური დისკუსია კერძო სექტორის მხრიდან დასმული აქტუალური საკითხების თაობაზე.

✓ აქტივობა 1.8.2: სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს დაDCFTA საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრების ორგანიზება

2023-2025 წლებში, სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს და DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრები არ ჩატარებულა.

პრიორიტეტი 2. მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და შესაბამისად, ამ პროცესში მცირე და საშუალო საწარმოების ზრდის სტიმულირება, ადგილობრივი კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება, ბიზნესის წამოწყებისა და განვითარების ხელშეწყობა.

აღნიშნულ კონტექსტში უმნიშვნელოვანესია ქვეყნის შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირება, სამუშაო ძალის დასაქმების ხელშეწყობა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც საქართველოს მთავრობის პრიორიტეტული მიმართულებაა.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სახელმწიფო მხარდაჭერა სამეწარმეო უნარების განვითარების, სასწავლო და საგანმანათლებლო პროგრამების, პროექტების და ტექნიკური დახმარების მექანიზმების შემუშავების, ორგანიზებისა და განხორციელების მიმართულებით. მათ შორის, ასევე, აღსანიშნავია პროფესიული განათლების მიმართულებით არსებული პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანური რესურსების მდგრად გაუმჯობესებას, შეუსაბამობის შემცირებას ბაზრის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, სამუშაო ძალის პოტენციალის განვითარებას, დასაქმების თუ თვითდასაქმების შესაძლებლობას, შემოსავლის მიღებას, თვითრეალიზებას და შედეგად, უმუშევრობის დონის შემცირებას.

მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობის მიზანია მცირე და საშუალო მეწარმეთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება სამეწარმეო უნარებისა და სამეწარმეო კულტურის განვითარების ხელშეწყობის გზით.

მეორე პრიორიტეტული მიმართულება „მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა" - აერთიანებს 7 ამოცანას და 27 აქტივობას.

ამოცანა 2.1. შრომის ბაზრის სფეროში მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.1: შრომის ბაზრის საჭიროებების შესახებ ჩატარებული კვლევების შედეგების პრეზენტაცია/განხილვის რაოდენობა.

საანგარიშო 2025 წელს, განხორციელდა მრეწველობის სექტორში უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა.

ჯამურად, 2021 – 2025 წლებში, განხორციელდა უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის 4 სექტორული კვლევა, კერძოდ, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, მრეწველობისა და ტურიზმის სექტორებში და ასევე, უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის 3 კვლევა ეკონომიკის სექტორების სრულად მოცვით. კვლევების შედეგები წარედგინა ფართო აუდიტორიას და მომზადდა ანგარიშები, რომლებიც განთავსებულია შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ვებ-გვერდზე (lmis.gov.ge). [17]

- ✓ **აქტივობა 2.1.1: ეკონომიკის სექტორების სრულად მოცვით უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის განხორციელება**

უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის ეკონომიკის სექტორების სრულად მოცვით კვლევის განსახორციელებლად შემუშავდა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი.

- ✓ **აქტივობა 2.1.3: შრომის ბაზრის წლიური ანალიზის მომზადება**

მომზადდა შრომის ბაზრის ყოველწლიური ანალიზის ანგარიში. გაანალიზდა: შრომის ბაზრის ინდიკატორები საქსტატის სამუშაო ძალისა და ბიზნესის კვლევის მიხედვით; ვაკანსიები დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსა და კერძო დასაქმების სააგენტოს (HR.GE) მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით; მოთხოვნა პროფესიულ ჯგუფებზე ქვეყანაში დაგეგმილი საინვესტიციო პროექტების შესაბამისად; შრომის ბაზრის საკითხებზე ქვეყანაში განხორციელებული კვლევები.

2023-2025 წლებში, ჯამურად, განხორციელდა შრომის ბაზრის 3 წლიური ანალიზი.

ამოცანა 2.2. უსაფრთხო შრომითი გარემოს საჭიროების შესახებ ცნობიერების ამაღლება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.1: ჩატარებული ტრენინგების/შეხვედრების რაოდენობა წლიურად.

[17] წყარო: https://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Pages/User/Surveys.aspx

2025 წლის საანგარიშო პერიოდში, შრომით ნორმებზე საზოგადოების, განსაკუთრებით კი დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლების ფარგლებში განხორციელდა 3824 საინფორმაციო შეხვედრა.

2021-2025 წლებში, ჯამურად, განხორციელდა 4624 საინფორმაციო შეხვედრა/სამუშაო შეხვედრა/ტრენინგი.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.2: ტრენინგების/შეხვედრების მონაწილეთა %-ული წილი, რომელიც აცხადებს, რომ ტრენინგზე მიღებული უნარები მათ დაეხმარება გააუმჯობესონ შრომის უსაფრთხოების დაცვის სტანდარტი ან შრომის უსაფრთხოების რეგულაციებთან შესაბამისობის ხარისხი.

საანგარიშო 2025 წლის პერიოდში ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული საინფორმაციო შეხვედრების ფარგლებში გავრცელებული ინფორმაცია 35000-ზე მეტი პირისთვის გახდა ხელმისაწვდომი.

2021-2025 წლებში, ინფორმაცია 40000-ზე მეტი პირისთვის გახდა ხელმისაწვდომი.

- ✓ **აქტივობა 2.2.1: „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად პირველადი და განმეორებითი ინსპექტირებების განხორციელება და შესაბამისი მითითებების გაცემა**

საანგარიშო პერიოდში „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად განხორციელდა 4,312 (პირველადი და შემდგომი, დარღვევების აღმოფხვრამდე) ინსპექტირება, რომლის შედეგადაც პირველადად შემოწმდა 2,045 ობიექტი.

განხორციელებული ინსპექტირებების შედეგად გამოვლენილი 24,690 დარღვევის შესაბამისად სამსახურის მიერ გაცემული იქნა მითითება.

ჯამურად, 2023-2025 წლებში განხორციელდა 11,278 (პირველადი და შემდგომი, დარღვევების აღმოფხვრამდე) ინსპექტირება, რომლის შედეგადაც პირველადად შემოწმდა 5,582 ობიექტი. აღნიშნულ პერიოდში, ზედამხედველობის შედეგად გაიცა 58,935 მითითება.

- ✓ **აქტივობა 2.2.2: უსაფრთხო შრომითი გარემოს შესახებ ტრენინგების/საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრების განხორციელება**

2025 წელს, შრომით ნორმებთან დაკავშირებით, საზოგადოების, განსაკუთრებული აქცენტით კი დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლების ფარგლებში, განხორციელდა 3 824 საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც დაესწრო 35 000-ზე მეტი პირი.

2023-2024 წლებში, ჯამურად, 560 საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრა ჩატარდა. მათ შორის, შეხვედრები გაიმართა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უცხოურ დელეგაციასთან და

ადგილობრივ უწყებებთან, სტუდენტებთან; ასევე, შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიმართულებით ცნობიერების ამაღლების ფარგლებში, განხორციელდა ვიზიტი ქვეყანაში ოპერირებად დამსაქმებლებთან, რომლის ფარგლებშიც, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, კონსულტაცია გაეწია დასაქმებულებს, მათ შორის, სამუშაო დროის და ზეგანაკვეთური შრომის თაობაზე. სამსახურის მიერ მომზადდა და გაიგზავნა სარეკომენდაციო წერილები.

✓ აქტივობა 2.2.3: შრომის უსაფრთხოების ნორმების ეფექტურად აღსრულების მიზნით საინფორმაციო მასალების მომზადება

2025 წლის საანგარიშო პერიოდში, შრომითი ნორმების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ფარგლებში, ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის ფარგლებში, სსიპ „შრომის ინსპექციის სამსახურის“ მიერ მომზადებულია 17 თემატური ბუკლეტი, რომელიც ითარგმნა ინგლისურ, აზერბაიჯანულ, სომხურ, რუსულ ენებზე და გავრცელდა საინფორმაციო შეხვედრების ფარგლებში. ასევე, აღნიშნული ბუკლეტები განთავსდა საჯაროდ და ხელმისაწვდომია სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (lio.moh.gov.ge).

ასევე, სამსახურის მიერ მომზადდა და გავრცელდა შრომით ნორმებთან დაკავშირებული 25 ვიდეორგოლი. ვიდეორგოლები ხელმისაწვდომია სამსახურის მიერ ადმინისტრირებულ სოციალურ ქსელებსა (FACEBOOK; YouTube) და ოფიციალურ ვებ-გვერდზე (lio.moh.gov.ge).

საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მიზნით, საჯაროდ განთავსდა კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაცია, განხორციელებული ზედამხედველობის შედეგები, უბედური შემთხვევების თაობაზე რაოდენობრივი ინფორმაცია და სამსახურის საქმიანობის ანგარიშები.[18]

ასევე, უწყვეტ რეჟიმში ფუნქციონირებს სამსახურის ცხელი ხაზი (1575), რომელიც ყველა დაინტერესებულ პირს აწვდის ინფორმაციას შრომის ნორმებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

2024 წელს, შრომით ნორმებთან დაკავშირებით, მომზადდა 49 საინფორმაციო მასალა, რომელთა შორის შრომის უსაფრთხოების საკითხებს ეხებოდა 31. გარდა ამისა, მომზადდა ელექტრონული სასწავლო კურსი შრომის უსაფრთხოების თემატურ საკითხზე (დასაქმებული ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალებისთვის მავნე ან/და განსაკუთრებული რისკის შემცველი სამუშაო გარემოს შეფასების შესახებ).

2023 წელს, სამსახურის მიერ, შრომის უსაფრთხოების ნორმების თაობაზე მომზადდა ჯამში 28 საინფორმაციო ბანერი, მათ შორის, 3 საინფორმაციო ბუკლეტი. ასევე, სამსახურმა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, მოამზადა 19

[18] წყარო: შრომის ინსპექციის სამსახურის ანგარიშები: https://lio.moh.gov.ge/report.php?lang=1&id=2

ვიდეორგოლი, მათ შორის, აღსანიშნავია ინსპექტორის რჩევები, შრომის კანონმდებლობაში შესული ცვლილებები, რომელიც განთავსებულ იქნა სამსახურის სოციალურ ქსელებსა (Facebook, Youtube channel) და ვებ-გვერდზე. ასევე, სამსახურმა შრომით ნორმებთან დაკავშირებით თემატურად, ზოგად თუ სექტორულ დონეზე, ჯამში, შემუშავებული 55 სასწავლო/საინფორმაციო ვიდეორგოლი განათავსა შრომის ინსპექციის Youtube არხზე.

ამოცანა 2.3. სამეწარმეო უნარების გაძლიერება რეგულარული ტრენინგების გზით

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.3.1: დატრენინგებულ მეწარმეთა პროცენტული წილი, რომლებიც თვლიან, რომ ტრენინგის განმავლობაში მიღებული უნარები და ცოდნა გამოადგებათ საკუთარი ბიზნესის გაუმჯობესებაში.

სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის (მიკრო გრანტების პროგრამა) ფარგლებში ჩატარებული ტრენინგების 1330 ბენეფიციარიდან, საშუალოდ 94% თვლის, რომ ძალიან სასარგებლო/სასარგებლო იყო მათ მიერ გავლილი ტრენინგ(ებ)ი. ცალკეული მოდულების (მეწარმეობის საფუძვლები; შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმები; გადასახადის გადახდისა და ანგარიშგების წესი; ბიზნეს გეგმის შედგენა; გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნები; ციფრული ტექნოლოგიები) შეფასება 93%-96% ფარგლებშია.

ასევე, ჩატარდა მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის პროგრამის (რეგიონული საკონსულტაციო ცენტრები) ფარგლებში მიწოდებული ტრენინგების მონაწილეთა გამოკითხვა, რომლის ფარგლებშიც მონაწილეობა მიიღო 236-მა პირმა. მათგან 90%-მა დააფიქსირა, რომ გავლილი ტრენინგით კმაყოფილი, ან ძალიან კმაყოფილია.

სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს” მიერ STEAM (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია, ხელოვნება და მათემატიკა) მიმართულებით ჩატარდა ტრენინგები. აღნიშნული ტრენინგებით ხელი შეეწყო განათლების დონის ამაღლებას. ამასთან, მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცათ ტრენინგების დასრულების შემდგომ დასაქმდნენ კონკრეტული მიმართულებით და შეასრულონ პროექტები. აღნიშნული ტრენინგების შედეგად, მეწარმეთა 80% თვლის, რომ ტრენინგების განმავლობაში მიღებული უნარები და ცოდნა გამოადგებათ საკუთარი ბიზნესის წარმოებასა და გაუმჯობესებაში.

- ✓ **აქტივობა 2.3.1: მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, მიკრო და მცირე მეწარმეთა ტრენინგი ზოგადი მეწარმეობის საკითხებში და გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებში.**

2024-2025 წლებში სააგენტოს რეგიონულ საკონსულტაციო ცენტრებში ჯამურად დატრენინგდა 1,276 პირი.

2023 წელს, კონკურსის ფარგლებში, ჯამში, დატრენინგდა 4,290 განმცხადებელი. ტრენინგების ეტაპზე გადასულ ბენეფიციარებთან ჩატარდა შემდეგი თემატიკის ტრენინგები: შესავალი მეწარმეობაში, ბიზნესის აგებულება, სამართლებრივი ფორმები, საგადასახადო სტატუსები, საგადასახადო შეღავათები, საგადასახადო დეკლარაციის შევსება, შესყიდვები, ბიზნესგეგმის კომპონენტები, გარემოს დაცვა და სკრინინგი, ბიზნესის გაციფრულება და გენდერული თანასწორობა ბიზნესში.

ჯამურად, 2023-2025 წლებში დატრენინგებულთა რაოდენობა შეადგენს 5566-ს.

✓ აქტივობა 2.3.2: სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ რეგიონალურ ინოვაციურ ცენტრებში ტექნოლოგიურ უნარებთან მიმართებით ტრენინგების ჩატარება

2025 წელს, პრე-აქსელერატორის პროგრამა განხორციელდა საქართველოს 10 რეგიონში, 11 ლოკაციაზე. პროგრამა სულ 157-მა გუნდმა დაასრულა, რომელთაგან 100-მა დემო დღეზე საინვესტიციო კომიტეტის წინაშე გააკეთა პრეზენტაცია. პროგრამის 408 ბენეფიციარს შორის 231 ქალი და 19 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი იყო. დეტალური მონაცემები კი შემდეგია:

- სამეგრელოს რეგიონული პრე-აქსელერაციის პროგრამა 21-მა გუნდმა გაიარა, მათგან 11 წარდგა დემო დღეზე პრეზენტაციით. პროგრამას სამეგრელოს რეგიონში 33 ბენეფიციარი ჰყავს, რომელთაგან 16 ქალია.
- სვანეთის პროგრამა 10-მა გუნდმა გაიარა; მათგან 4-მა გააკეთა დემო დღეზე პრეზენტაცია. პროგრამას სვანეთში 15 ბენეფიციარი ჰყავს, მათ შორის, 6 ქალი.
- რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონული პრე-აქსელერაციის პროგრამა 18-მა გუნდმა გაიარა; მათგან 11 წარდგა დემო დღეზე პრეზენტაციით. რეგიონში პროგრამის 24 ბენეფიციარიდან 17 ქალია.
- შიდა ქართლის რეგიონული პრე-აქსელერაციის პროგრამა 13-მა გუნდმა დაასრულა, რომელთაგან 6 წარდგა დემო დღეზე პრეზენტაციით. შიდა ქართლში პროგრამის 33 ბენეფიციარიდან, 22 ქალია.
- სამცხე-ჯავახეთის რეგიონული პრე-აქსელერაციის პროგრამა 20-მა გუნდმა დაასრულა, რომელთაგან 11-მა გააკეთა დემო დღეზე პრეზენტაცია. პროგრამას სამცხე-ჯავახეთში 37 ბენეფიციარი ჰყავს, რომელთაგან 21 ქალია, ხოლო 13 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი.
- მცხეთა-მთიანეთის რეგიონული პრე-აქსელერაციის პროგრამა 8 გუნდმა გაიარა; 6 წარდგა დემო დღეზე პრეზენტაციით. რეგიონში პროგრამის 15 ბენეფიციარიდან, 7 ქალია.

- ქვემო ქართლის რეგიონული პრე-აქსელერაციის პროგრამა 8 გუნდმა დაასრულა და მათგან 5-მა გააკეთა დემო დღეზე პრეზენტაცია. პროგრამას ამ რეგიონში 46 ბენეფიციარი ჰყავს, რომელთაგან 30 ქალია, ხოლო 2 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი.
- კახეთის რეგიონული პრე-აქსელერაციის პროგრამა 15-მა გუნდმა გაიარა და ყველა მათგანი წარდგა დემო დღეზე პრეზენტაციით. კახეთის რეგიონში პროგრამის 54 ბენეფიციარიდან, 30 ქალია, ხოლო 2 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი.
- აჭარის რეგიონული პრე-აქსელერაციის პროგრამა 18-მა გუნდმა დაასრულა, რომელთაგან 16-მა გააკეთა პრეზენტაცია დემო დღეზე. პროგრამას აჭარაში 63 ბენეფიციარი ჰყავს, რომელთაგან 32 ქალია, ხოლო 2 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი.
- გურიის რეგიონული პრე-აქსელერაციის პროგრამა 11-მა გუნდმა დაასრულა; 8 წარდგა დემო დღეზე პრეზენტაციით. ამ რეგიონში პროგრამას 15 ბენეფიციარი ჰყავს, რომელთაგან 5 ქალია.
- იმერეთის რეგიონული პრე-აქსელერაციის პროგრამა 15-მა გუნდმა დაასრულა და 7 მათგანი წარსდგა დემო დღეზე პრეზენტაციით. პროგრამას იმერეთში 73 ბენეფიციარი ჰყავს, რომელთაგან 45 ქალია.

ამასთან, ტექნოპარკებში, STEAM მიმართულებებით ჩატარდა ტექნოლოგიური კვირეულები, ასევე, რობოტიკისა და 3D მოდელირების საკითხებზე ტრენინგები. სულ გადამზადდა 833 მონაწილე.

ჯამურად, 2023-2025 წლებში, ტექნოლოგიურ უნარებთან დაკავშირებით გადამზადდა 4232 ბენეფიციარი და 1827 ვიზიტორი.

✓ აქტივობა 2.3.3: მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის ტრენინგების ჩატარება სამეწარმეო უნარებთან მიმართებით

სავაჭრო-სამრეწველო პალატა ყოველწლიურად ახორციელებს სხვადასხვა მიმართულების ტრენინგებს მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის.

2025 წელს, პროექტის „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება გაციფრულების გზით“ (დონორი ორგანიზაცია - კანადის ფონდი ადგილობრივი ინიციატივებისთვის (CFLI)) ფარგლებში, სავაჭრო პალატის მიერ დატრენინგდა 142 მეწარმე შემდეგი მიმართულებებით: AI-ის ინტეგრირება ელექტრონულ კომერციაში; ბრენდინგი; ელექტრონული კომერცია; ვიზუალური მასალების (კონტენტის) შექმნა; ქოფის მომზადება და ციფრული მარკეტინგი. გარდა ამისა, ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერითა და ჩეხეთის მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციასთან პარტნიორობით განხორციელებული პროექტის „ხელოვნური ინტელექტი ბიზნესისთვის“ ფარგლებში, პროექტის 12 ბენეფიციარისთვის ჩატარდა ტრენინგები შემდეგ თემატიკაზე: ხელოვნური ინტელექტის საფუძვლები; პლატფორმებისა და პრომპტინგის სტრატეგიების სწორად შერჩევა; პრაქტიკული

ინსტრუმენტები და წამყვანი პლატფორმები; მარკეტინგული კონტენტის შექმნა და გამოყენება: ვიზუალური (ლოგოები, ბანერები, სარეკლამო მასალები) და ტექსტური (პოსტები, სტატიები, ელ-ფოსტები); ბაზრის კვლევა და მონაცემების ინტერპრეტაცია; ციფრული აგენტებისა და ასისტენტების შექმნა; ამასთან, სავაჭრო პალატის ორგანიზებით, საგადასახადო საკითხებზე უფასო ტრენინგების ციკლი გაიმართა თელავში, გორში, თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდში, ოზურგეთსა და ბათუმში - ჯამში, 381 კომპანიის მონაწილეობით; ამასთან, პალატის მიერ პროფესიულ განათლებაში ჩართული საწარმოებისთვის (ჯამში, 23 მონაწილისთვის) ჩატარდა „კომპანიის ინსტრუქტორის“ მომზადების ტრენინგები.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაიმართა, ასევე, 2023-2024 წლებში. კერძოდ:

სამეწარმეო უნარების გაძლიერების მიმართულებით, სავაჭრო პალატისა და აშშ-ის საელჩოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ელექტრონული კომერციის მეშვეობით“ 45 ქალი მეწარმისთვის გაიმართა მენთორშიფ-სესიები ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა ბრენდინგი, მარკეტინგი და გაყიდვები.

გენდერული თანასწორობის საკითხში კერძო სექტორის როლზე, 43 კომპანიისთვის (45 წარმომადგენელი) გაიმართა ორი 3 დღიანი ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც მეწარმეებმა მიიღეს ინფორმაცია თანამშრომელთა უსაფრთხოებისა და ძალადობისგან დაცვის, ქალი მიმწოდებლებისა და მიწოდების ჯაჭვების განვითარების ხელშეწყობის, საზოგადოებრივი ინიციატივებისა და ადვოკატირების, თანასწორობის ხელშეწყობის საკითხებზე.

„GCCI მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრულებისთვის“ პროექტის ფარგლებში, საქართველოს 5 რეგიონში, ჯამში 66-მა ბიზნესმა გაირა ტრენინგები, ინდივიდუალური კონსულტაციები და ვორქშოფები.

საქართველოში ელექტრონული კომერციის განვითარების ხელშეწყობისთვის, „უფასო ვებ-გვერდი ბიზნესისთვის" პროექტის ფარგლებში, 63 ბენეფიციარს უფასოდ გადაეცა ვებ-გვერდი და ჩაუშენდა ელექტრონული გადახდის სისტემები. ასევე, მეწარმე ბენეფიციარისთვის, მათ შორის, 60 ქალის მფლობელობაში არსებული ბიზნესისთის, ჩატარდა ინდივიდუალური და ჯგუფური ტრენინგ-შეხვედრები, სადაც მოხდა მათთვის შექმნილი ვებ-გვერდების დეტალური ახსნა, სამართავი პანელის გამოყენების სწავლება, დამატებითი ინსტრუმენტების რეგისტრაცია, როგორიცაა Google Analytics, Facebook Pixel, Facebook Messenger, ონლაინ გადახდის სისტემის ახსნა-სწავლება.

პროექტის „კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისათვის“ მეწარმეობის კომპონენტის ფარგლებში, ციფრული და ბიზნესის მართვის მიმართულებით დატრენინგდა 12 პოტენციური ტრენერი და 82 მეწარმე ქალი.

სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და შტუტგარტის პალატის ექსპორტის აკადემიის ერთობლივი პროექტის - „პროფესიული განათლება და სასწავლო პარტნიორობა” ფარგლებში, წარმატებით ჩატარდა სასწავლო კურსი; მომზადდა 10 ტრენერი; ამასთან,

„კომპანიის ინსტრუქტორის“ მომზადების პროგრამის ფარგლებში, გადამზადდა 70 -მდე კომპანიის ინსტრუქტორი და საგანმანათლებლო დაწესებულებების პრაქტიკოსი პედაგოგოები.

სამეწარმეო უნარების გაძლიერების მიმართულებით, მეწარმე-სუბიექტებისათვის, 140-ზე მეტი დაინტერესებული პირისთვის გაიმართა ტრენინგები საგადასახადო საკითხებზე (თბილისი, თელავი, გორი, ქუთაისი, ოზურგეთი, ზუგდიდი და ბათუმი).

ტრენინგები ჩატარდა, ასევე, სხვადასხვა საკანონმდებლო საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, შრომის კანონმდებლობის გამოწვევებისა და საჭიროებების, ასევე, საგადასახადო სიახლეების თაობაზე და სხვა.

ჯამში, აქტივობების ფარგლებში, დატრენინგდა 1000-ზე მეტი დაინტერესებული მეწარმე.

ამოცანა 2.4. მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.4.1: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების (პსდ-ები) რაოდენობა, სადაც დანერგილია მეწარმეობრივი კულტურის კონცეფცია.

2025 წელს გაგრძელდა მუშაობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში (პსდ) სამეწარმეო კულტურის დანერგვის მიმართულებით. მათ შორის, განხორციელდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამეწარმეო კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები, რომელშიც ჩაერთო პროფესიული განათლების 55-ზე მეტი მასწავლებელი. გაგრძელდა მეწარმეობის სწავლება განახლებული მოდულით. ასევე, დამტკიცდა ცვლილებები საქართველოს კანონში "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ და საქართველოს კანონში „სახელმწიფო ქონების შესახებ“, რაც ხელს შეუწყობს დაწესებულებების მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას და შესაბამისად, მეწარმეობრივი კულტურის გაძლიერებას.

2025 წლისთვის, 4 პროფესიულ საგანმანათებლო დაწესებულებაში დანერგილია მეწარმეობრივი კულტურის კონცეფცია.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.4.2: მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების კურსდამთავრებულთა რაოდენობა.

2019 წელს, დაინერგა ზრდასრულთა განათლების სისტემა, რომლის ფარგლებშიც დაინტერესებული პირებისთვის შეთავაზებულია მრავალფეროვანი სასერტიფიკატო პროგრამები.

ყოველწლიურად მზარდია პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებით დაინტერესებულთა რაოდენობა. აღნიშნული პროგრამები ზრდასრული

მოსახლეობისთვის მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობას იძლევა და მჭიდროდ უკავშირდება არა მხოლოდ დასაქმების/სამეწარმეო საქმიანობის შესაძლებლობებს, არამედ, პიროვნული განვითარებისა და თვითრეალიზაციის ასპექტებს. პროფესიული მომზადება/გადამზადების განხორციელების შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ იურიდიულ პირს, შესაბამისი უფლების მოპოვების შემდგომ. 2025 წელს, პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების კურსდამთავრებულთა რაოდენობა აღემატება 10,500-ს.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.4.3: დანერგილი დუალური მიდგომის პროფესიული პროგრამების რაოდენობა.

2025 წელს, სისტემაში დამატებით შეიქმნა 3 ახალი დუალური პროგრამა. ჯამში, სისტემაში დანერგილია 57 დუალური პროგრამა.

- ✓ **აქტივობა 2.4.1: დუალური მიდგომით პროფესული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება**

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიმართულებით საანგარიშო პერიოდში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა დაწესებულებებმა დაიმატეს 3 დუალური პროგრამა, ერთი პროგრამა კი შესაბამისობაში მოვიდა განახლებულ სტანდარტებთან. ამასთან, დუალური პროგრამების თანაგანხორციელებისთვის სასწავლო საწარმოს სტატუსი 2025 წელს მიენიჭა 14 კომპანიას, მშენებლობისა და სტუმარ-მასპინძლობის მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში, პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის ჩართულობის გაზრდის მიმართულებით ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ უზრუნველყოფილი იყო შეხვედრები და კონსულტაციები თბილისსა და რეგიონებში.

2023-2025 წლებში, ჯამურად, დანერგილია 5 დუალური საგანმანათლებლო პროგრამა.

- ✓ **აქტივობა 2.4.2: სახელმწიფოს ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის კონსულტაციების გაწევა და ტრენინგების ჩატარება ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით**

საანგარიშო პერიოდში, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებითა (ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ჩატარდა ხუთზე მეტი საკონსულტაციო შეხვედრა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის (პსდ).

2023-2025 წლებში ჯამურად ჩატარდა 40 სამუშაო-საკონსულტაციო შეხვედრა. პსდ-ების აქტიური ჩართულობით შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც მიმართულია პსდ-ების მიერ ეკონომიკური საქმიანობის წარმოების მხარდაჭერაზე.

კონსულტაცია გაეწია 8 პსდ-ს სამეწარმეო საქმიანობის წარმოებას შესაბამისი პროდუქციის შექმნასთან დაკავშირებით.

✓ აქტივობა 2.4.3: პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება სამეწარმეო კომპეტენციების მიმართულებით

მეწარმეობის პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის შექმნილია მეწარმეობის მასწავლებელთა დარგობრივი ქსელი, რომლის ფარგლებშიც მეწარმეობის მოდულის ყველა მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს რეგულარულად ჩაერთოს სხვადასხვა სახის სამუშაო შეხვედრასა და ტრენინგში.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა მუშაობა მეწარმეობის დარგობრივი ქსელის გაძლიერების მიმართულებით. 2025 წლის განმავლობაში რეგულარულად ტარდებოდა ტრენინგები, საკონსულტაციო შეხვედრები და ვებინარები სამეწარმეო კოპეტენციების განვითარების მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში გადამზადება გაიარა 55-ზე მეტმა მეწარმეობის მასწავლებელმა. 2023-2025 წლებში დარგობრივ ქსელში დაინერგა ახალი მოდულებიი „შესავალი მეწარმეობის სწავლებაში" და "მეწარმეობის სწავლების საფუძვლები", რომელიც მიზნად ისახავს ევროპის სამეწარმეო კომპეტენციების ჩარჩოზე (EntreComp) დაფუძნებით სამეწარმეო კომპეტენციების გაძლიერებას. ასევე, მეწარმეობის მასწავლებლების დარგობრივ ქსელში დაინერგა რეგიონული კოორდინატორების შერჩევის პრაქტიკა. შერჩეულმა მასწავლებლებმა გადამზადება გაიარეს სააგენტოს მიერ ორგანიზებული ვორქშოფის ფარგლებში - ეფექტიანი სწავლების მიდგომებისა და მეთოდების, პრაქტიკული ინსტრუმენტების შესახებ.

ჯამურად, 2023-2025 წლებში სამეწარმეო კომპეტენციების განვითარების მიმართულებით გადამზადებულია 150-მდე პროფესიული განათლების მასწავლებელი.

✓ აქტივობა 2.4.4: პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელება

2025 წელს, აქტიურად გაგრძელდა ზრდასრულთა სისტემის განვითარება, რომელიც გულისხმობს, მრავალფეროვანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების შეთავაზებას/განხორციელებას. პროფესიული უნარების სააგენტო პროგრამების მასშტაბის გაზრდის მიზნით დაინტერესებულ იურიდიულ პირებს სთავაზობდა როგორც უფლების მოპოვების მიზნით ინდივიდუალურ, შინაარსობრივ კონსულტაციებს, არსებული პროვაიდერების შესაძლებლობების გაძლიერებას სხვადასხვა სახის ტრენინგების შეთავაზების გზით, ასევე, სწავლების ფინანსურ ხელშეწყობას. აღნიშნული ინტერვენციების განხორციელებით, წლის განმავლობაში გაიზარდა ხელმისაწვდომი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების რაოდენობა. 2025 წელს კურსდამთავრებულთა რაოდენობა აღემატება 10,500-ს.

- ✓ **აქტივობა 2.4.5: შერჩეულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მეწარმეობრივი კულტურის კონცეფციის დანერგვა**

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მეწარმეობრივი კულტურის გაძლიერების მიზნით აქტივობები ხორციელდება როგორც სამეწარმეო განათლების მხარდასაჭერად, ისე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებაში მხარდაჭერის მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში, დაიწყო დანერგვის პილოტირების პირველი ფაზა. ამასთან, 2025 წლის დეკემბერში დამტკიცდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონი (17/12/2025) და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონი (17/12/2025), რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დაწესებულებების მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას და შესაბამისად, მეწარმეობრივი კულტურის გაძლიერებას. 2025 წლისთვის, 4 პროფესიულ საგანმანათებლო დაწესებულებაში დანერგილია მეწარმეობრივი კულტურის კონცეფცია.

- ✓ **აქტივობა 2.4.6: ევროპის სამეწარმეო კომპეტენციების (ENTRECOMP) ჩარჩოს დანერგვა პროფესიული სტუდენტების სამეწარმეო კომპეტენციების გაძლიერების მიზნით**

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა მუშაობა მეწარმეობის ახალი მოდულის დანერგვის მიმართულებით, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ევროპის სამეწარმეო კომპეტენციების ჩარჩოსთან (EntreComp). ყველა ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მეწარმეობის სწავლება მიმდინარეობს განახლებული მოდულით.

ამასთან, პროფესიული სტუდენტების სამეწარმეო კომპეტენციების განვითარების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სტუდენტური სამეწარმეო პროექტების კონკურსი, რომლის ფარგლებშიც დასაქმების/თვითდასაქმების, აგრომეწარმეობის მიმართულებით გადამზადდა 60 პროფესიული სტუდენტი და გამოვლინდა კონკურსის გამარჯვებული 12 პროფესიული სტუდენტი.

ამოცანა 2.5. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის (LMIS), შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემისა (WORKNET) და შესაბამისი სერვისების განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.5.1: სერვისების მიმღებთა რაოდენობა.

2025 წლის საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ,

დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით სერვისების მიმღებთა რაოდენობამ 14,258 შეადგინა, მათ შორის, 10,058 ქალი. ასევე, სააგენტოს ორგანიზებით გამართულ საინფორმაციო შეხვედრებს დაესწრო 7,000-მდე პირი (1 500 მოსწავლე, 1,600 სტუდენტი, 3,841 სამუშაოს მაძიებელი).

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.5.2: სერვისების მიმღებთა რაოდენობა, რომელიც დასაქმდება.

2025 წლის საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით სერვისების მიმღებთა რაოდენობამ 14,258 შეადგინა, მათ შორის, 10,058 ქალი. ასევე, დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების/სერვისების ფარგლებში, დასაქმებულია 6,269 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის 4,562 ქალი. საბაზისო წელთან შედარებით (2019წ.), დასაქმების მაჩვენებელი 6.9-ჯერ გაიზარდა.

- ✓ **აქტივობა 2.5.2: შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ვებგვერდის (LMIS.GOV.GE) მომხმარებელზე ორიენტირებულობის გაზრდისა და გასავითარებლად, ახალი კონცეფციის შემუშავება**

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამის მხარდაჭერით მომზადდა შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის განვითარების კონცეფცია. კონცეფციის დოკუმენტი მოიცავს არსებული სიტუაციის ანალიზს, შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ზოგადი მახასიათებლების აღწერას, არსებული სისტემის შეფასებასა და მისი შემდგომი განვითარებისათვის მომზადებულ რეკომენდაციებს.

- ✓ **აქტივობა 2.5.3: დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების ქვეპროგრამის აქტივობები: შრომის ბაზარზე ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირების გაწევა; საშუამავლო მომსახურება; მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშემწყობა (შრომის ანაზღაურების სუბსიდირება); დასაქმების ფორუმების მოწყობა; ვაკანსიების მონიტორინგი და თვისებრივი კვლევების განხორციელება მინიმუმ წელიწადში ერთხელ; სააგენტოს საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლება; სოციალურ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობა.**

ინდივიდუალური კონსულტირება დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს რეგიონულ სერვის-ცენტრებში გაეწია 13 629 სამუშაოს მაძიებელს.

პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების ფარგლებში, განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა:

- საშუამავლო მომსახურების ფარგლებში, დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილ 14 611 თავისუფალ სამუშაო ადგილზე საშუამავლო მომსახურების გაწევის (სამუშაოს მაძიებელთა შერჩევის) მიზნით, ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა სისტემაში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებს;
- ვაკანსიების ფარგლებში შეირჩა და დამსაქმებლებთან გაიგზავნა 4 684 სამუშაოს მაძიებელი;
- მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობა (შრომის ანაზღაურების სუბსიდირება) - მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებმა 158 მოწყვლადი ჯგუფის სამუშაოს მაძიებელს გაუწიეს მხარდაჭერითი მომსახურება. გარდა ამისა, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, სააგენტო აქტიურად მუშაობს დამსაქმებლებთან სამუშაო ადგილების შრომის ანაზღაურების სუბსიდირების პროგრამაში ჩართვის მიზნით;
- დასაქმების ფორუმების მოწყობა - ჩატარდა 6 დასაქმების ფორუმი: თბილისში, თელავში, ოზურგეთში, ქუთაისში და ბათუმში. ფორუმებში მონაწილეობა მიიღო 203-მა დამსაქმებელმა და 900-ზე მეტმა სამუშაოს მაძიებელმა;
- სააგენტოს საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლება - 2025 წელს სააგენტომ ცნობადობის გაზრდის მიზნით აქტივობები განახორციელა. მათ შორის, სააგენტოს ორგანიზებით ან ჩართულობით ჩატარდა შეხვედრები:

  - საქართველოს იურისტთა უმაღლესი სკოლის წარმომადგენლებთან;
  - ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები სააგენტოს 9 რეგიონულ სერვის ცენტრში – ზუგდიდში, ამბროლაურში, ქუთაისში, გორში, ახალციხეში, თელავში, რუსთავში, მარნეულსა და თბილისში;

  - პროფესიული უნარების სააგენტოსთან თანამშრომლობით, მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო საინფორმაციო კამპანია ახალგაზრდებისათვის. შეხვედრები გაიმართა 15-ზე მეტ ქალაქში, რომლის ფარგლებშიც მონაწილეობა მიიღო 1500-ზე მეტმა მოსწავლემ;

  - საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა „საქართველოს SOS ბავშვთა სოფელის“ და სსიპ "სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ - ადამიანით ვაჭრობის ტრეფიკინგის და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების ბენეფიცარებთან თბილისსა და რეგიონებში (სამცხე-ჯავახეთი, კახეთი და შიდა ქართლი, სამეგრელო- ზემო სვანეთი).
- ცნობადობის ამაღლების მიზნით, 30-ზე მეტი საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა თბილისისა და რეგიონების (კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი, შიდა ქართლი და

ქვემო ქართლი) საგანმანათლებლო დაწესებულების (სკოლა, კოლეჯი, უნივერსიტეტი) კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან;

- დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო აგრძელებს აქტიურ მუშაობას სოფლად მცხოვრებ მოსახლეობასთან, სააგენტოს სერვისებსა და პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. სააგენტოს მობილური ჯგუფები რეგულარულად სტუმრობენ სხვადასხვა რეგიონსა და სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობას. შეხვედრების ფარგლებში, სააგენტოს წარმომადგენლები მონაწილეებს აწვდიან დეტალურ ინფორმაციას დასაქმების ხელშეწყობის პროგრამებსა და სერვისებზე. დაინტერესების შემთხვევაში, ადგილზე ხორციელდება მომსახურების გაწევა და სერვისებში ჩართვა. საანგარიშო პერიოდში, მობილურმა ჯგუფებმა განახორციელეს 247 საინფორმაციო შეხვედრა, რომელთაც ჯამურად დაესწრო 3 841 სამუშაოს მაძიებელი. მათ შორის, 3 151 სამუშაოს მაძიებელი რეგისტრირებულია შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში.

- დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ორგანიზებით, დამსაქმებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობით, წლის შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილი იყო სააგენტოს 2025 წლის საქმიანობის ანგარიში და სამომავლო გეგმები. შეხვედრის ფარგლებში, 2025 წლის 5 საუკეთესო დამსაქმებელი და 5 საუკეთესო პარტნიორი ორგანიზაცია დაჯილდოვდა.

- სახელმწიფო უწყებებთან და პარტნიორებთან ურთიერთობების გაღრმავებისა და სააგენტოს სერვისებისა და პროგრამების ხელმისაწვდომობის ფარგლებში, გაიმართა 500-მდე ღონისძიება და საინფორმაციო/საკონსულტაციო შეხვედრა. შეიქმნა და დაიხვეწა ახალი ვებ-გვერდი sesa.moh.gov.ge, რომელიც ითარგმნა ეთნიკური უმცირესობებისთვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ასევე, დაიბეჭდა ახალი საინფორმაციო ბროშურები ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

- სოციალურ პარტნიორებთან/დონორებთან მჭიდრო თანამშრომლობა:

  - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტომ უმასპინძლა ევროპის საბჭოს წარმომადგენლებს. შეხვედრის ფარგლებში, სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ სააგენტოს საქმიანობას. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა შშმ პირთა დასაქმების პროგრამებსა და სერვისებზე.
  - დონორ ორგანიზაციებთან გაიმართა სხვადასხვა ტიპის შეხვედრა. მათ შორის, შედგა შეხვედრა გერმანულ მხარესთან სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების თაობაზე, შეხვედრაზე განხილული იქნა 2024 წლის შედეგები. ასევე, განისაზღვრა 2025 წლის გეგმები.

  - სააგენტო აგრძელებს თანამშრომლობას „მიგრაციის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის

საზოგადოებასთან (GIZ) და „ტექნიკური დახმარების, საქართველოს მთავრობისთვის ადამიანური კაპიტალის განვითარების პროგრამის" ფარგლებში - საფრანგეთის განვითარების სააგენტოსთან (AFD). აღნიშნული პროგრამების ფარგლებში დაგეგმილია ერთობლივი ღონისძიებებისა და აქტივობების განხორციელება.

- სამუშაო შეხვედრები გაიმართა შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ფონდის (SWISSCONTACT), UN WOMEN-თან (გაეროს ქალთა ორგანიზაცია) და ETF-ის (ევროპის საგანმანათლებლო ფონდი) წარმომადგენელთან.

- შეხვედრა გაიმართა საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის (ILO) ადგილობრივ წარმომადგენლობასთან, ასევე, ორგანიზაციის რეგიონალურ ოფისთან. შეხვედრაზე განხილული იქნა თანამშრომლობის შესაძლო მიმართულებები.
- სააგენტოს წარმომადგენლები შეხვდნენ ქვემო-ქართლის, კახეთის, იმერეთის და მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულს, თვითმმართველობების წარმომადგენლებს და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მერებს. სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, განხილული იქნა ადგილობრივი მოქალაქეების დასაქმებაში ხელშეწყობისა და მათი ეკონომიკური გაძლიერების შესაძლებლობები.

- სააგენტოსა და პროფესიული უნარების სააგენტოს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია საჯარო სკოლებში ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების დასაქმებაში ხელშეწყობა და შრომის ბაზარზე ინტეგრაციის გაძლიერება. მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილია ერთობლივი ღონისძიებები.
- გაიმართა შეხვედრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის წარმომადგენლებთან, რომლის ფარგლებში დაიგეგმა ერთობლივი ინიციატივები პროფესიული განათლებისა და უნარების განვითარების მიმართულებით.
- მონაწილეობა იქნა მიღებული საქართველოს სტუდენტური პარლამენტისა და მთავრობის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ შემაჯამებელ კონფერენციაში, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდებს მიეწოდათ ინფორმაცია სააგენტოს საქმიანობის, მიმდინარე პროგრამებისა და მხარდაჭერის სერვისების თაობაზე. ღონისძიებას დაესწრო 1600-მდე სტუდენტი.
- ქ. ქუთაისში, სააგენტო წარმოდგენილი იყო საინფორმაციო სტენდით, რომლის მეშვეობითაც დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ ადგილზე მიეღოთ ამომწურავი ინფორმაცია სახელმწიფო დასაქმების პროგრამების, სერვისებისა და ჩართვის შესაძლებლობების შესახებ.

- თბილისში ჩატარდა ორდღიანი რეგიონული ფორუმი მდგრადი განვითარების თემაზე, რომლის ფარგლებშიც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შრომის ბაზრის თანამედროვე ტენდენციებს, შრომითი უფლებების დაცვასა და მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებას. შრომის ბაზრის შესახებ გამართულ პანელურ სესიაზე განხილული იქნა სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.
- სააგენტოს კახეთისა და ქვემო ქართლის წარმომადგენლობებმა მონაწილეობა მიიღეს საინფორმაციო შეხვედრებში, რომლის ფარგლებშიც, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია დასაქმების ხელშემწყობი პროგრამების და სერვისების შესახებ.
- ქ. ზუგდიდში, პროგრამა „ახალგაზრდული პოლიტიკის ლაბის“ ფარგლებში, გაიმართა დასაქმების ფორუმი. ღონისძიების მიზანი იყო ახალგაზრდების დასაქმებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობა. სააგენტოს წარმომადგენლებმა ფორუმში მონაწილეებს გააცნეს სააგენტოს საქმიანობა, მიმდინარე პროგრამები და აქტიური ვაკანსიები. ღონისძიება წარმოადგენდა ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობისა და სახელმწიფო სერვისების პოპულარიზაციის ეფექტურ პლატფორმას რეგიონულ დონეზე.

მიზნობრივ ჯგუფებზე ორიენტირებული აქტივობები, ასევე, გაიმართა 2023-2024 წლებში.

- ✓ **აქტივობა 2.5.5: სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ქვეპროგრამის სერვისები: პროფესიული კონსულტაციისა (პროფკონსულტაცია) და კარიერის დაგეგმვის მომსახურებება; საკვანძო კომპეტენციების განვითარება; სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება, პროფესიული გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება (სტაჟირება)**

სააგენტო სამუშაოს მაძიებლებისთვის პერმანენტულად უზრუნველყოფს სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების მიწოდებას.

საანგარიშო პერიოდში, სააგენტოს სერვის ცენტრებში განხორციელდა:

- ინდივიდუალური კარიერის დაგეგმვა და პროფესიული კონსულტირების მომსახურება, რომელიც მიეწოდა 4574 სამუშაოს მაძიებელს;
- სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება, პროფესიული გადამზადების ქვეპროგრამის ფარგლებში, მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება გაუფორმდა 34 პროფესიულ საგანმანათლებლო ორგანიზაციას, რომელთა მიერ წარმოდგენილ 58 მოთხოვნად პროფესიაზე სწავლა დაიწყო 3504-მა სამუშაოს მაძიებელმა.

- სტაჟირების კომპონენტის ფარგლებში, პროგრამაში ჩაერთო და ხელშეკრულება გაფორმდა 42 დამსაქმებელთან, რომელთა მიერ წარმოდგენილ ვაკანსიებზე ჩაერთო 224 სამუშაოს მაძიებელი.

სამუშაოს მაძიებლებისთვის მიზნობრივი ღობნისძიებები, ასევე, გაიმართა 2023-2024 წლებში.

ამოცანა 2.6 ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის პოპულარიზაცია

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.6.1: დატრენინგებულ კომპანიათა რაოდენობა.

2025 წელს, ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის პოპულარიზაციის ფარგლებში, დატრენინგდა 169 კომპანიის წარმომადგენელი, კერძოდ, ჩატარდა:

- 2 ვორქშოფი ცირკულარულ ეკონომიკაზე, რომლის ფარგლებშიც მონაწილეობდა 36 კომპანიის წარმომადგენელი.
- მდგრადი დაფინანსების ვორქშოფი - 20 კომპანიის წარმომადგენელი.
- ვორქშოფი ევრო დირექტივებზე და მდგრადობის სტანდარტებზე - 83 კომპანიის წარმომადგენელი.
- 2 ვორქშოფი ბიზნესის კეთილსინდისიერებაზე და კორუფციასთან ბრძოლაზე - 30 კომპანიის წარმომადგენელი.

2023-2024 წლებში UN GCNG-ის (UN Global Compact Network Georgia - გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი) მიერ ორგანიზებულ ტრენინგების ფარგლებში სხვადასხვა მიმართულებით გადამზადდა 435 კომპანიის წარმომადგენელი. კომპანიების წარმომადგენლები დატრენინგდნენ ბიზნესის მდგრადი განვითარების/ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის საკითხებში. ტრენინგი მოიცავდა შემდეგ თემებს: შრომითი უფლებები; გარემოს დაცვა; ბიზნესი და ადამიანის უფლებები; კომუნიკაცია პროგრესის შესახებ (COP).

ჯამურად, 2023-2025 წლებში დატრენინგდა 604 კომპანიის წარმომადგენელი.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.6.2: შემუშავებული ESG სახელმძღვანელო.

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა (UN Global Compact Network Georgia) მოამზადა ESG სახელმძღვანელო მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის.

ამოცანის ინდიკატორი 2.6.3: დატრენინგებულ კომპანიათა რაოდენობა, რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი უნარები დაეხმარება RBC/ESG პრინციპების იმპლემენტაციაში.

2023-2025 წლებში, ჩატარდა გაეროს გლობალური შეთანხმების ანგარიშგების

კომუნიკაცია პროგრესის შესახებ - საინფორმაციო სესიები, რომელიც ითვალისწინებს ESG საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას. საინფორმაციო სესიების მიზანი იყო კომპანიებისთვის გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებზე ანგარიშგების შესახებ როგორც შინაარსობრივი, ასევე, ტექნიკური (ანგარიშგების მომზადების წესი) ინფორმაციის მიწოდება და გაცნობა. გაეროს გლობალური შეთანხმების ანგარიშგების კითხვარი შედგენილია გაეროს გლობალური შეთანხმების 10 პრინციპისა და მდგრადი განვითარების მიზნების მიხედვით. 2023-2025 წლებში, აღნიშნული მიმართულებით, ჯამურად, ჩატარდა 17 საინფორმაციო(261 მონაწილე).

2023-2024 წელს, ქ. ბათუმში ჩატარდა ექსპორტის მენეჯერთა 2 კურსი, რომლებშიც გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის დაფინანსებით, ინტეგრირებული იყო კორპორატიული მდგრადობის და ცირკულარული ეკონომიკის საკითხები. კურსში მონაწილეობა მიიღო 36-მა მონაწილემ.

ასევე, 2023 წელს, სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელთან თანამშრომლობით, ჩაატარა SDG Ambition აქსელერატორის 7 საინფორმაციო სესია, რომელშიც მონაწილეობა 10-მა კომპანიამ მიიღო (პროგრამაზე დარეგისტრირებული იყო 10 კომპანია). ასევე, ჩატარდა ბიზნესისა და ადამიანის უფლებების აქსელარაციის პროგრამის საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა 15 კომპანია. შეხვედრის მიზანი იყო ბიზნესისა და ადამიანის უფლებების აქსელერაციის გლობალური პროგრამის გაცნობა, ინფორმაციის მიწოდება და კერძო სექტორისთვის ადამიანის უფლებების კომპლექსურად შესწავლის პროცესის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ჯამურად, დატრენინგებულთა 100% თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი უნარები დაეხმარება RBC /ESG პრინციპების იმპლემენტაციაში.

✓ აქტივობა 2.6.2: პასუხისმგებლიანი ბიზნეს ქცევის მიმართულებით საუკეთესო მაგალითების ყოველწლიური პუბლიკაციის შექმნა

გამოიცა კორპორაციული მდგრადობის ჟურნალის Sustainability Spotlight-ის რამდენიმე ნომერი შემდეგ თემებზე: Halfway to 2030: SDG Corporate Leadership in Georgia; Investing in SDGs: Sustainable Finance; Georgia’s EU Integration What's IN IT for Business; "20th Anniversary of the Principle 10: Anti Corruption".

აღნიშნული ნომრებისთვის მომზადდა 98 სტატია და ჩაიწერა 83 ინტერვიუ. ჟურნალში წარმოჩენილია პასუხისმგებლიანი ბიზნეს ქცევის საუკეთესო მაგალითები. გამოიცა კორპორაციული მდგრადობის ჯილდოს ყოველწლიური პუბლიკაცია, რომელშიც წარმოდგენილია კომპანიების მიერ განხორციელებული პროექტები (110 პროექტი) კორპორაციული მდგრადობის მიმართულებით.

✓ აქტივობა 2.6.3: ESG სახელმძღვანელოს შესახებ ცნობიერების ამაღლება

მცირე და საშუალო ზომის საწარმოებთან საინფორმაციო სესიების საშუალებით

2023-2025 წლებში, ჩატარდა გაეროს გლობალური შეთანხმების ანგარიშგების კომუნიკაცია პროგრესის შესახებ - საინფორმაციო სესიები, რომელიც ითვალისწინებს ESG საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას. საინფორმაციო სესიების მიზანი იყო კომპანიებისთვის გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებზე ანგარიშგების შესახებ როგორც შინაარსობრივი, ასევე, ტექნიკური (ანგარიშგების მომზადების წესი) ინფორმაციის მიწოდება და გაცნობა. გაეროს გლობალური შეთანხმების ანგარიშგების კითხვარი შედგენილია გაეროს გლობალური შეთანხმების 10 პრინციპისა და მდგრადი განვითარების მიზნების მიხედვით.

2023-2025 წლებში, აღნიშნული მიმართულებით, ჯამურად, ჩატარდა 17 საინფორმაციო სესია (261 მონაწილე).

2023 წელს, სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელთან თანამშრომლობით, ჩაატარა SDG Ambition აქსელერატორის 7 საინფორმაციო სესია, რომელშიც მონაწილეობა 10-მა კომპანიამ მიიღო (პროგრამაზე დარეგისტრირებული იყო 10 კომპანია). ასევე, ჩატარდა ბიზნესისა და ადამიანის უფლებების აქსელარაციის პროგრამის საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა 15 კომპანია. შეხვედრის მიზანი იყო ბიზნესისა და ადამიანის უფლებების აქსელერაციის გლობალური პროგრამის გაცნობა, ინფორმაციის მიწოდება და კერძო სექტორისთვის ადამიანის უფლებების კომპლექსურად შესწავლის პროცესის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ამოცანა 2.7. ფართოზოლოვანი ინტერნეტის საშუალებით ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.7.1: ციფრული წიგნიერების (მათ შორის ციფრული უნარების) ხელშემწყობი პროგრამებით მოცული დასახლებების რაოდენობა.

2022 წლიდან, “ციფრული მხარდაჭერის პროგრამა” წარმატებით განხორციელდა და მიმდინარეობს 20 სამიზნე მუნიციპალიტეტში. პროგრამით დაიფარა 300 სოფელი/დასახლება, ჯამში, ჩატარდა 800-მდე ტრენინგი და გადამზადდა 10,000-ზე მეტი ადგილობრივი ბენეფიციარი.

პრიორიტეტი 3: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ბიზნესგარემოს გაუმჯობესება, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, ფინანსური სექტორის გაძლიერება და შედეგად, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

ფინანსური რესურსები და მათზე ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ბიზნესისთვის მიზნების მიღწევის პროცესში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ფინანსების ხელმისაწვდომობა და დაფინანსება თამაშობს ძირითად როლს მეწარმეობის განვითარებაში. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო დაფინანსების პროგრამების და დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმების განვითარება, ფინანსური განათლების დონის ამაღლება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამ მიმართულებით, მთავარ გამოწვევებს შორისაა მცირე და საშუალო მეწარმეების მიერ ფინანსური ბაზრის ინსტრუმენტების გამოყენების ხელშეწყობა.

2024 წელს[19], ბიზნეს სექტორში ინვესტიციებმა ფიქსირებულ აქტივებში 6,488.9 მილიონი ლარი შეადგინა, მათ შორის, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების წილმა 45% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2017 წლიდან, მას შემდეგ რაც მოგების გადასახადის ე.წ. „ესტონური მოდელი" იქნა შემოღებული, რომელიც გაუნაწილებელი მოგების ნულოვან დაბეგვრას გულისხმობს, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების წილი ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების მთლიან მაჩვენებელში გაიზარდა, რომელიც 2017 წელს მხოლოდ 39.2%-ს შეადგენდა. ამდენად, აღნიშნულმა რეფორმამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რეინვესტირებას ეკონომიკაში, რაც მცირე და საშუალო საწარმოებზე დადებითად აისახა.

მესამე პრიორიტეტული მიმართულება - ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება - აერთიანებს 6 ამოცანას და 29 აქტივობას.

ამოცანა 3.1. სახელმწიფო დაფინანსების პროგრამების განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1.1: შექმნილი ახალი პროდუქტები ან განახლებული არსებული პროდუქტები.

სააგენტოების „აწარმოე საქართველოში", „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" და „სოფლის განვითარების სააგენტოს" მიერ, 2025 წელს, ჯამში შეიქმნა 5 ახალი პროგრამა და 9 პროგრამაში შევიდა ცვლილება.

2021-2025 წლებში, ჯამურად, 37 ახალი პროგრამა შეიქმნა და არსებულ პროგრამებში განხორციელდა 79 ცვლილება). საშუალოდ, წლიურად 7 ახალი პროგრამა შეიქმნა და 15 პროგრამაში შევიდა ცვლილება/განახლდა.

[19] საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის 2025 წლის მაჩვენებლები, საქსტატის მონაცემების გამოქვეყნების კალენდრის შესაბამისად, ხელმისაწვდომი იქნება 2026 წლის 6 მარტს.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1.2: სახელმწიფო დაფინანსების პროგრამებში მონაწილე კომპანიების %-ული მაჩვენებელი, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა მიიღონ დაფინანსება არასახელმწიფო წყაროებიდან სახელმწიფო დაფინანსების პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ.

სააგენტოს საგრანტო პროგრამებში დაფინანსებულ ყველა სტარტაპს აქვს შესაძლებლობა მოიზიდოს არასახელმწიფო წყაროებიდან დამატებითი დაფინანსება და ინვესტიცია. ამასთან, ყველა დაფინანსებული სტარტაპი (თანადაფინანსების საგრანტო პროგრამის სქემის ფარგლებში) წარმოადგენს 10%-ის ოდენობით სხვა წყაროებიდან მიღებულ ფულად რესურსს.

სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, რომელშიც საგრანტო პროგრამებში მონაწილე 204 ბენეფიციარი კომპანია გამოიკითხა, 102-მა კომპანიამ (50%) აღნიშნა, რომ მოიზიდა დამატებითი გარე კაპიტალი. 2025 წელს განხორციელებული კვლევის მიხედვით, პროგრამის მიმდინარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში (2018 წლიდან) დაფინანსებული სტარტაპების მიერ მოზიდული ინვესტიციების საერთო მოცულობამ 345 მლნ ლარი შეადგინა.

- ✓ **აქტივობა 3.1.1: სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ არსებული პროგრამების განახლება**

2025 წელს, ახალი რეგიონული საკონსულტაციო ცენტრები გაიხსნა იმერეთში, თბილისსა და სამცხე-ჯავახეთში. 2025 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის ახალი რედაქცია და გაუქმდა მცირე მეწარმეობის (მიკროგრანტების) ნაწილი. ასევე, საანგარიშო პერიოდში, პროგრამებში შეტანილია 2 ცვლილება: 1 ცვლილება მიკრომეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში და 1 ცვლილება საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმში.

2024 წელს, გაიხსნა საკონსულტაციო ცენტრები აჭარასა და კახეთში. 2024 წლის 8 აპრილიდან ამოქმედდა დადგენილება „კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" (საქართველოს მთავრობის დადგენილება N102. 29.03.2024). 2024 წლის 15 ივლისიდან ძალაში შევიდა დადგენილება "მიკრომეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" (საქართველოს მთავრობის დადგენილება N229, 12.07.2024). 2024 წელს პროგრამებში შეტანილია 4 ცვლილება: 1 ცვლილება კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში და 3 ცვლილება „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამაში.

2023 წელს, სატესტო რეჟიმში ამუშავდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული საკონსულტაციო ცენტრი (ე.წ. Growth Hub) ზუგდიდში. 2023 წლის განმავლობაში 2 ცვლილება შევიდა საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმში, 3 ცვლილება შევიდა „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამაში. ასევე, შევიდა ცვლილება მიკრო, მცირე და

საშუალო საწარმოების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში.

- ✓ **აქტივობა 3.1.2: სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსება სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში**

2025 წელს, სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსების მიზნით, დადასტურებულია 502 პროექტი, 2024 წელს - 627, ხოლო 2023 წელს - 620 პროექტი. ჯამურად, 2023-2025 წლებში დადასტურებულია 1749 პროექტი.

- ✓ **აქტივობა 3.1.3: საკრედიტო-საგარანტიო სქემის ფარგლებში სესხების გარანტიის გაცემა**

2025 წელს, საკრედიტო - საგარანტიო სქემის ფარგლებში დადასტურებულია 331 პროექტი, 2024 წელს - 324, ხოლო 2023 წელს - 327. ჯამურად, 2023-2025 წლებში დადასტურებულია 982 პროექტი.

- ✓ **აქტივობა 3.1.4: მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მიკრო გრანტების გაცემა**

2023 წელს, სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის ფარგლებში დაფინანსებულია 1140 ბენეფიციარი. 2024 წელს, აღნიშნული პროგრამის ეს ნაწილი ჩანაცვლდა მიკრომეწარმეობის მხარდაჭერის ახალი სახელმწიფო პროგრამით (მიკრო სესხების პროგრამა, საქართველოს მთავრობის დადგენილება N229, 12.07.2024), რომლის ფარგლებშიც 2025 წლის მდგომარეობით დადასტურებულია 1436 ბენეფიციარის 1438 მიკრო სესხი. ჯამურად, 2534 ბენეფიციარის 2578 პროექტი.

- ✓ **აქტივობა 3.1.5: აგროკრედიტების საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება**

საანგარიშო პერიოდში „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, ბანკების მიერ 4,859 უნიკალურ ბენეფიციარზე ბანკების მიერ გაიცა 894,451,975 ლარის ღირებულების 5,634 სესხი/ლიზინგი. სააგენტოს მიერ გაცემულმა თანადაფინანსებამ შეადგინა 233,281,712 ლარი. განხორციელდა 27,754 შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო სესხის/ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება.

2023-2025 წლებში, ჯამურად განხორციელდა 99,599 შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო სესხის/ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება.

- ✓ **აქტივობა 3.1.6: სადაზღვევო პრემიის სუბსიდირება**

საანგარიშო პერიოდში, ,,აგროდაზღვევის პროგრამის“ ფარგლებში 8,033 უნიკალურ

დამზღვევზე/ბენეფიციარზე სადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემულია 14,329 პოლისი. დაზღვეულ იქნა 180,590,627 ლარის ღირებულების სხვადასხვა კულტურა. დაზღვეულია 16,379 ჰა მიწის ფართობი. ჯამურმა სადაზღვევო პრემიამ შეადგინა 19,766,564 ლარი, ხოლო ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსებაა (სააგენტოს პრემიის წილი) 13,836,595 ლარი.

ჯამურად, 2023-2025 წლებში, დაზღვეულია 49,453 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.

✓ აქტივობა 3.1.7: თანამედროვე ხეხილის ბაღების გაშენების ხელშეწყობა „დანერგე მომავალი“ პროგრამის ფარგლებში

2025 წელს, სახელმწიფო პროგრამის ,,დანერგე მომავალი" ფარგლებში 468 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 565 ხელშეკრულება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯამური ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა 53,497,924 ლარი, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსების წილი შეადგენს 23,792,487 ლარს, დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 2,642.2 ჰა-ს. ბაღების კომპონენტში დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 2,407.2 ჰა-ს, ხოლო სანერგეების კომპონენტის ფარგლებში 2025 წელს ხელშეკრულება არ გაფორმებულა.

2024 წელს, პროგრამის ფარგლებში 368 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 440 ხელშეკრულება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯამური ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა 42,743,152 ლარი, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსების წილი შეადგენს 20,423,515 ლარს, დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 2,642.2 ჰა-ს. ბაღების კომპონენტში დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 2,265.1 ჰა-ს, ხოლო სანერგეების კომპონენტის ფარგლებში, 2024 წელს, ხელშეკრულება არ გაფორმებულა.

2023 წელს,სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, 448 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 532 ხელშეკრულება. დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 3272.16 ჰა-ს. ინვესტიციის ოდენობაა 71,473,944 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრულმა სააგენტოს თანადაფინანსებამ შეადგინა 31,191,092 ლარი. ბაღების კომპონენტში დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 2,610.32 ჰა-ს, ხოლო სანერგეების კომპონენტის ფარგლებში, 2023 წელს, ხელშეკრულება არ გაფორმებულა.

✓ აქტივობა 3.1.10: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურის დაფინანსება

2025 წელს, „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში გაფორმდა 2 ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 26,000 ლარი, ხოლო ხელშეკრულებით განსაზღვრულმა თანადაფინანსების მოცულობამ - 20,800 ლარი; 3 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს

დაუფინანსდა პროდუქციის შემნახველი/სასაწყობე და გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა, რამაც შეადგინა 41,600 ლარი.

ჯამურად, 2023-2025 წლებში, 21 კოოპერატივს დაუფინანსდა პროდუქციის შემნახველი/სასაწყობე ინფრასტრუქტურის მოწყობა.

- ✓ **აქტივობა 3.1.11: ფერმერებისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება მოსავლის ამღები ტექნიკის თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში**

საანგარიშო პერიოდში ,,სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, 103 ბენეფიციართან გაფორმდა 106 ხელშეკრულება, 114 ერთეული მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენაზე. პროექტების ჯამური ინვესტიცია შეადგენს 28,583,411 ლარს, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობამ შეადგინა 7,830,591 ლარი. საანგარიშო პერიოდში სრულად/ნაწილობრივ დაფინანსდა 81 ბენეფიციარი.

ჯამურად, 2023-2025 წლებში, თანადაფინანსებულია 249 ბენეფიციარისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენა.

- ✓ **აქტივობა 3.1.12: სოფლის განვითარების სააგენტოს ბენეფიციარებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა ბიზნესის განვითარებაში, პროექტების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში**

საანგარიშო პერიოდში, „პროექტების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სურსათის პირველად წარმოებასთან/სურსათთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტი დანერგილია 34 ბენეფიციარის მიერ; კომპანიის/პროდუქციის ბრენდირება განხორციელებულია 17 ბენეფიციარის მიერ; პროდუქციის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო აღჭურვილობის შეძენა 2025 წელს არ დაფინანსებულა.

ჯამურად, 2023-2025 წლებში, სურსათის პირველად წარმოებასთან/სურსათთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტი დანერგილია 99 ბენეფიციარის მიერ; კომპანიის/პროდუქციის ბრენდირება განხორციელებულია 81 ბენეფიციარის მიერ; სასოფლო-სამეურნეო 10 კოოპერატივს დაუფინანსდა პროდუქციის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო აღჭურვილობის შეძენა.

- ✓ **აქტივობა 3.1.13: ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების პროგრამის განხორციელება**

2023 წელს, განხორციელდა არსებული თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ანალიზი, რომლის საფუძველზეც დაიგეგმა ცვლილებების განხორციელება აღნიშნულ

სქემაში. შესაბამისად, წინამდებარე აქტივობა გაუქმებულია. ასევე, აღსანიშნავია, რომ სააგენტოში შეიქმნა 2 ახალი პროგრამა "ინოვაციური სტარტაპების აქსელერაციის პროგრამა"; ასევე, განისაზღვრა ახალი - ინოვაციური სტატუსების განსაზღვრის სქემა ინოვაციური სტარტაპების, ინოვაციური SME და R&D კომპანიებისთვის.

ამოცანა 3.2. დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმების განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.1: ლიზინგის პორტფელის მოცულობა.

ლიზინგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარებისა და დაფინანსების ალტერნატიული წყაროების გაჩენის თვალსაზრისით.

ლიზინგი მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტრუმენტია. ბოლო წლების განმავლობაში, ლიზინგი ხდება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის დაფინანსების ალტერნატიული გზა, ვინაიდან, უმეტეს შემთხვევაში, დამატებითი უზრუნველყოფის საგნის მოთხოვნა არ ხდება, რადგან თავად ლიზინგით გაცემული აქტივი ასრულებს გირაოს როლს.

2025 წლისთვის, ლიზინგის პორტფელის მოცულობა საბაზისო წელთან შედარებით (471.7 მლნ. ლარი) გაორმაგდა (ზრდა 104%-ით) და 961.9 მლნ. ლარი შეადგინა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.2: ფაქტორინგის სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2023 წელს, დაინტერესებული მხარეების აქტიური მხარდაჭერით, შემუშავდა საქართველოს კანონი „ფაქტორინგის შესახებ", რომელიც განსახილველად წარედგინა საქართველოს პარლამენტს.

- ✓ **აქტივობა 3.2.6: სახალხო დაფინანსების სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება**

მომზადებულია სახალხო დაფინანსების ჩარჩოს შემოღების კვლევის დოკუმენტი. 2025 წლის აპრილიდან საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულირების ლაბორატორიის ფარგლებში, სახალხო დაფინანსების მოდელთან მიმართებით დაიწყო განცხადებების მიღება. დაინტერესებულ სუბიექტებს შეუძლიათ განსაზღვრული პირობებისა და არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით გამოსცადონ სახალხო დაფინანსების (Crowd Funding) სქემები. პარალელურად, მოსამზადებელი ეტაპის დასრულების შემდგომ, დაიწყება სახალხო დაფინანსების სამართლებრივი ჩარჩოს პირველადი ვერსიის შემუშავება.

- ✓ **აქტივობა 3.2.7: მოძრავი ქონების გირავნობის რეესტრის მოდერნიზება და შეტყობინებაზე დაფუძნებული რეესტრის სისტემის შექმნა**

სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრს (გირავნობის/ლიზინგის უფლებათა რეესტრი) დაემატა შეტყობინებაზე დაფუძნებული იპოთეკური ობლიგაციების აქტივების რეგისტრაცია. ტრენინგები ჩაუტარდა ავტორიზებულ პირებს. დასრულდა საკონსულტაციო შეხვედრები საქართველოს ეროვნულ ბანკთან ფინანსური გირაოს (სასესხო აქტივები) რეგისტრაციებთან დაკავშირებით. საქართველოს ეროვნული ბანკის აქტივების რეგისტრაცია განხორციელდება შეტყობინების საფუძველზე იმ ფორმატით, როგორც რეგისტრირდება ფინანსური გირავნობა და იპოთეკური ობლიგაციების აქტივები სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

ამოცანა 3.3. ფინანსური განათლების შემდგომი გაუმჯობესება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.3.1: ტრენინგის მონაწილეთა %-ული წილი, რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე მიღებული უნარები და ცოდნა დაეხმარება მათ უკეთესად წარმართონ თავიანთი კომპანიის ფინანსები

საანგარიშო პერიოდში, ეროვნული ბანკის მიერ განახლდა ტრენინგ-მოდული "ფინანსური განათლება მიკრო და მცირე მეწარმეებისთვის: ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება", რომელიც ჩატარდა ქ. მარნეულში. ტრენინგის დასრულების შემდგომ, მონაწილეებმა შეავსეს კითხვარი, რომლის მიხედვით 100%-მა ჩათვალა, რომ ვებინარზე მიღებული უნარები და ცოდნა დაეხმარება მათ უკეთესად წარმართონ თავიანთი კომპანიის ფინანსები.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.3.2: საგანმანათლებლო პოსტები ფინანსური განათლების პორტალის სოციალური ქსელით

საანგარიშო პერიოდში, მეწარმეებისთვის აქტუალურ თემებზე განთავსებულ საგანმანათლებლო ფეისბუქ პოსტებზე (9 პოსტი) წვდომა იყო 5 497. ჩართულობა ე.წ. Engagement დათვლის მექანიზმი ფეისბუქზე შეიცვალა, შესაბამისად ამ პარამეტრის ზუსტი განსაზღვრა 2024 წლისთვის შეუძლებელია.

2021-2025 წლებში, ფინედუს სოციალურ ქსელში მეწარმეებისთვის განთავსებულ პოსტებს ჰქონდა წვდომა - 337,000-მდე, ჩართულობა: 23,000 - მდე.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.3.3: მეწარმეთა ფინანსური განათლების არსებული ქულა

მეწარმეების ფინანსური განათლების ქულა 17 ქულიანი შკალიდან 10.3 ქულას შეადგენს (60%). 2021 წელს ჩატარდა მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური

განათლების დონის პირველი კვლევა საქართველოში, რომელიც დაფუძნებული იყო OECD/INFE (INFE - ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელი) მეთოდოლოგიაზე. საქართველოს მონაცემები ასახულია OECD/INFE-ს საერთაშორისო რეპორტში, მსოფლიოს 14 ქვეყანას შორის. კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოს ფინანსური განათლების ქულამ 17 ქულიანი შკალით 10.3 ქულა (60%) შეადგინა, რაც გამოკითხვაში მონაწილე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე დაბალია.[20]

აღნიშნული კვლევა გლობალურია და მისი განხორციელების პერიოდულობა დამოკიდებულია ინიციატორ მხარეზე, OECD-ზე.

✓ აქტივობა 3.3.2: საგანმანათლებლო პოსტები ფინანსური განათლების პორტალის (ფინედუს) სოციალური ქსელით

საანგარიშო პერიოდში, მეწარმეებისთვის აქტუალურ თემებზე განთავსებულ საგანმანათლებლო ფეისბუქ პოსტებზე (9 პოსტი) წვდომა იყო 5 497.

ჩართულობა ე.წ. Engagement დათვლის მექანიზმი ფეისბუქზე შეიცვალა, შესაბამისად, ამ პარამეტრის ზუსტი განსაზღვრა 2025 წლისთვის შეუძლებელია.

2023-2024 წლებში, ასევე, აქტიურად მიმდინარეობდა საგანმანათლებლო პოსტების მომზადება ფინანსური განათლების პორტალის (ფინედუს) სოციალური ქსელის მეშვეობით. კერძოდ:

- მომზადდა საგანმანათლებლო პოსტები მეწარმეებისთვის;
- პოსტები გაზიარდა ეროვნული ბანკის საგანმანათლებლო პორტალზე;
- მიღწეულ იქნა აუდიტორიის წვდომა და ჩართულობა პოსტებზე.
- ფეისბუქ გვერდსა და სხვა სოციალურ ქსელებში შეიქმნა ღონისძიებები (Facebook Event) პირდაპირი ჩართვებისთვის აუდიტორიის მოსაზიდად.
- ვიდეო ჩანაწერები განთავსდა ფინანსური განათლების პორტალის (ფინედუს) ფეისბუქ და იუთუბ არხებზე.

ფინედუზე რამდენიმე პოსტი და აქტივობა მიეძღვნა მდგრადი განვითარების, კლიმატის ცვლილებების, მგდრადი ენერგიის თემებს. ასევე, კიბერუსაფრთხოების, მომხმარებელთა უფლებების და სხვა ფინანსური განათლების საკითხებს.

2023-2025 წლებში, მეწარმეებისთვის აქტუალურ თემებზე განთავსებულ საგანმანათლებლო ფეისბუქ პოსტებზე წვდომა იყო 229 550-მდე, ხოლო ჩართულობის მაჩვენებელი 16 100-მდე.

---

[20] წყარო: https://finedu.gov.ge/ge/siakhleebi-1/mikro-mtsire-da-sashualo-metsarmeebis-finansuri-ganatlebis-kvlevis-shedegebi-tsnobilia-1

ამოცანა 3.4. გირავნობის საგნის გაფართოება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.4.1: რეგისტრირებული მიწების ფართობი.

მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმა ქვეყნის მასშტაბით (59 მუნიციპალიტეტში) განხორციელდა 2022–2025 წლებში. პროექტის შედეგად საკუთრების უფლება დარეგისტრირდა 1 694 275 მიწის ნაკვეთზე. რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი შეადგენს 3 422 380 ჰა-ს, ხოლო სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში 59 მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობით 3 371 827 ჰექტარია. სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში განხორციელდა საინფორმაციო კამპანია, რამაც გაზარდა მოსახლეობის ინფორმირებულობა და მიწის სისტემურ რეგისტრაციაში ჩართულობა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.4.2 სესხები უძრავი ქონების უზრუნველყოფით.

2025 წელს, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობა საბაზისო წელთან მიმართებით (19.1 ლრდ ლარი) 140%-ით გაიზარდა და 45.9 მილიარდი ლარი შეადგინა. უძრავი ქონების ბაზრის მიმართულებით არსებული რეფორმები ხელს უწყობს უზრუნველყოფაში მისაღები ქონების ბაზის გაზრდას, რაც თავის მხრივ, ზრდის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას, მათ შორის, SME მსესხებლებისთვის.

ამოცანა 3.5. მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხარისხის ზრდა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.5.1. ანგარიშგების წარდგენის მაჩვენებელი.

2025 წლის საანგარიშო პერიოდისთვის, სუბიექტებმა სულ წარადგინეს 84,514 ფინანსური ანგარიშგება, სდპ (საზოგადოებრივი დაინტერესების პირი) კატეგორია - 135, I/I ჯგუფი/კატეგორია - 318, II/II ჯგუფი/კატეგორია - 984, III/III ჯგუფი/კატეგორია - 6,027, IV/IV ჯგუფიკატეგორია - 77,050. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მაჩვენებელი 90%-ია. ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა უწყვეტი პროცესია და მოლოდინია, რომ გაიზრდება წარდგენის მაჩვენებელი.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.5.2 ტრენინგების და გადამზადებული პირების რაოდენობა.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხარისხის ზრდის მიზნით, სამსახური, მათ შორის დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით,

უზრუნველყოფ ტრენინგების ჩატარება, რაც მცირე და საშუალო მეწარმეობის სეგმენტში დასაქმებული ბუღალტრების და ფინანსისტების კვალიფიკაციის ამაღლებას ითვალისწინებს.

2025 წლისთვის, აღნიშნული აქტივობის ფარგლებში, სულ ჩატარებულია 65 ტრენინგი და გადამზადდა 1500-მდე ბუღალტერი.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.5.3 გადამზადებული ბუღალტერების %-ული წილი, რომელთა მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არის გაუმჯობესებული ხარისხის.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში, გადამზადებული ბუღალტრების 89%-მა წარადგინა გაუმჯობესებული ხარისხის ფინანსური ანგარიშგება.

- ✓ **აქტივობა 3.5.1: ანგარიშგების წარდგენის მაჩვენებლის გაუმჯობესების მიზნით, საწარმოთათვის ანგარიშგების წარდგენის პროცესთან, მათ შორის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესახებ ცნობადობის ამაღლების აქტივობების ჩატარება**

2025 წელს, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის სამსახურმა III და IV კატეგორიის საწარმოებისთვის ონლაინ და ფიზიკურ სივრცეში საინფორმაციო შეხვედრების ციკლი გამართა. ჯამში, გაიმართა 2 ონლაინ და 11 ფიზიკურ სივრცეში შეხვედრა ცხრა რეგიონში.[21]

შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა დამსწრე აუდიტორიისთვის მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ანგარიშგების წარდგენის პროცესის გამარტივება იმ საკითხების განხილვისა და რეკომენდაციების გაცემის გზით, რომლებიც მნიშვნელოვანია ხარისხიანი ანგარიშების მომზადებისთვის და ხელს შეუწყობს დროული წარდგენის დინამიკის ზრდას.

2024 წელს, ჯამში, გაიმართა 4 ონლაინ და 6 რეგიონალური ღონისძიება. ღონისძიებებს დაესწრო 1000-ზე მეტი დაინტერესებული პირი (საწარმოს წარმომადგენელი/ბუღალტერი).

2023 წლის განმავლობაში, ასევე, სამსახურმა ორგანიზება გაუწია სხვადასხვა ღონისძიებას და მონაწილეობა მიიღო ფინანსურ ბიზნეს ფორუმებსა და კონფერენციებზე ფინანსური

[21] წყარო: https://saras.gov.ge/ka/News/Detail/2777; https://www.saras.gov.ge/ka/News/Detail/2795; https://www.saras.gov.ge/ka/News/Detail/2807

ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

- ✓ **აქტივობა 3.5.2: ანგარიშგებების ფინანსური ანგარიშგების შემოწმებების განხორციელება, მათი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის ხარისხის ზრდის მიზნით**

2025 წელს, სამსახურმა მიმოიხილა საწარმოთა 40 ფინანსური ანგარიშება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (IFRS) - ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით. მათ შორის, 39 ფინანსურ ანგარიშგებაში გამოვლენილი შეუსაბამობებიდან გამომდინარე, საწარმოებს გაეგზავნათ პირველადი წერილები, ხოლო 1 ფინანსურ ანგარიშგებაში არ გამოვლინდა შეუსაბამობა ფასს სტანდარტებთან. ასევე, სამსახურმა გამოვლენილი შეუსაბამობების გამოსწორების შემოწმების მიზნით, მიმოიხილა იმ საწარმოთა 20 ფინანსური ანგარიშგება, რომელთა ფინანსური ანგარიშგებებიც შემოწმდა გასულ წელს. გარდა ამისა, სამსახურმა დეტალურად მიმოიხილა მესამე კატეგორიის 200 საწარმოს ფინანსური ანგარიშგება.

ჯამურად, 2023-2025 წლებში სამსახურის მიერ, ფასს სტანდარტებთან (IFRS) შესაბამისობის შემოწმების მიზნით, განხორციელდა 131 სდპ-ის (საზოგადოებრივი დაინტერესების პირი), პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგებები. ასევე, ამავე პერიოდში, სამსახურმა მიმოიხილა 334 მესამე კატეგორიის საწარმოს ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს სტანდარტთან (მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი - IFRS for SMEs) შესაბამისობის დადგენის მიზნით.

- ✓ **აქტივობა 3.5.3: ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის ჩატარება**

2025 წელს, დასრულდა 34 მონიტორინგი - 33 აუდიტორული ფირმის და 1 ინდივიდუალური აუდიტორის მონიტორინგი.

ჯამურად, 2023-2025 წლებში, განხორციელდა 100 აუდიტორული ფირმის და 8ინდივიდუალური აუდიტორის მონიტორინგი. ასევე, განხორციელდა საქმიანობის ინდივიდუალურად განმახორციელებელი 6 აუდიტორის სრული და 2 თემატური ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი. მონიტორინგების შედეგად მოცულია აუდიტორული ბაზრის 98%.

- ✓ **აქტივობა 3.5.4: ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დანერგვაში მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის მიზნით ფასს ფონდის მიერ გამოშვებული განახლებული მსს ფასს სტანდარტის თარგმნა, შესაბამისი განახლებული სასწავლო/სატრენინგო მასალების**

თარგმნა/მომზადება და ტრენინგების ჩატარება.

ფასს[22] ფონდის მიერ სტანდარტის გამოშვება იგეგმება 2025/2026 წლისთვის. მას შემდეგ, რაც ხელმისაწვდომი იქნება აღნიშნული სტანდარტი, სამსახური მყისიერად დაიწყებს მის თარგმნას და შესაბამის აქტივობებს, რათა ხელი შეეწყოს მცირე და საშუალო საწარმოებს განახლებული საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების დაგეგმვაში.

ამოცანა 3.6. „VENTURE CAPITAL" (VC) და „BUSINESS ANGELS" ეკოსისტემის შემდგომი განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.6.1: ინვესტიციები „VC" და „BUSINESS ANGELS" ფონდებიდან წლიურად.

2025 წელს, სააგენტოს მიერ „500 Georgia, LLC"-ის ვენჩურულ ფონდში გადაირიცხა 3,084,053 ლარი.

ჯამურად, 2023-2025 წლებში, ფონდში გადარიცხული თანხა 9,254,962 ლარს შეადგენს.

სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" და „500 Georgia, LL.C"-ს საინვესტიციო ფონდს შორის ხელშეკრულება 2022 წელს გაფორმდა. ფონდი ქართულ სტარტაპებში ინვესტირების, ინოვაციების მხარდაჭერისა და შემდგომი განვითარების მიზნით დაფუძნდა.

- ✓ **აქტივობა 3.6.1: საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძიებების საქართველოში ჩატარების და საზღვარგარეთ სააგენტოს და სტარტაპების ანალოგიურ ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა**

საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა მნიშვნელოვანი ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტები/ღონისძიებები, კერძოდ:

- 500 Georgia-ს აქსელერაციის პროგრამის ფარგლებში, მე-8 და მე-9 რაუნდის ფარგლებში შეირჩა გამარჯვებულები, რომელთა რაოდენობა შეადგენს 19 სტარტაპს;
- სააგენტომ პირველად მიიღო მონაწილეობა ლას-ვეგასში გამართულ მასშტაბურ ტექნოლოგიურ გამოფენაში - CES 2025 (Consumer Electronics Show);
- სააგენტო აფრიკის კონტინენტზე ყველაზე მასშტაბურ ღონისძიებას - GITEX Africa დაესწრო, რომელიც მარაკეშში გაიმართა;
- საქართველო წარსდგა ევროპის ყველაზე მასშტაბურ ტექნოლოგიურ

[22] **შენიშვნა**: მსს ფასს სტანდარტი - მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი

ღონისძიებაზე - GITEX Europe 2025 და ქართული ინოვაციების ეკოსისტემა წარადგინა;

- დაგეგმილია საქართველოს მონაწილეობა ლისაბონში “Web Summit“-ზე, რომელსაც დაახლოებით 70,000 დამსწრე ჰყავდა მსოფლიოს 160 ქვეყნიდან. ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იყო 6 ქართული სტარტაპი ინდივიდუალური სტენდებით;
- საქართველომ მონაწილეობა მიიღო “GITEX Global” ღონისძიებაში დუბაიში, რომელსაც 180,000-ზე მეტი დამსწრე ჰყავდა. ღონისძიების ფარგლებში, ორი ქართული სტარტაპი წარმოდგენილი იყო North Star-ის საგამოფენო ზონაში;
- UATE-ის მოწვევით, საქართველომ სომხეთის უმსხვილეს გამოფენაზე, “Digitech“-ზე, 4 ქართული სტარტაპი წარადგინა.

ეროვნული მასშტაბით, სააგენტომ მონაწილეობა მიიღო რიგ ღონისძიებებში:

- “Global Tech Weekend Tbilisi”, რომელსაც 3500 ადამიანი დაესწრო, მათ შორის, სტუმრები 10-მდე ქვეყნიდან;
- “Startup World Cup Tbilisi, რომელიც სააგენტოს მხარდაჭერით, განხორციელდა. ღონისძიებაში ქართულმა სტარტაპებმა მიიღეს მონაწილეობა. გამარჯვებული - "Tasteit" გაემგზავრა სილიკონ ველზე მსოფლიოს უდიდესი სტარტაპ კონკურსის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის მისაღებად, რომლის ფარგლებშიც ერთმანეთს 70 რეგიონალური კონკურსის რჩეული სტარტაპები შეეჯიბრნენ.

2023-2024 წლებში, ასევე, სააგენტომ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძიებაში, ასევე, ორგანიზება გაუკეთა ადგილობრივ მიზნობრივ აქტივობებს და ხელი შეუწყო სტარტაპების მონაწილეობას ღონისძიებებში.

ჯამურად, 2023-2025 წლებში, აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობდა 150 სტარტაპი, რომელთაც მოიძიეს შესაბამისი კონტაქტები.

პრიორიტეტი 4: მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

ასოცირების ხელშეკრულება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (DCFTA), რომელიც ევროკავშირთან 2014 წლის ივნისში გაფორმდა, საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესს ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს. ექსპორტის წახალისების გარდა, ასოცირების ხელშეკრულებამ მნიშვნელოვნად დააჩქარა ინსტიტუციური და მარეგულირებელი რეფორმები, რაც ქვეყნის სტანდარტების ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებას ეხმარება. DCFTA, ასევე, უწყობს ხელს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის გამოუყენებელი პოტენციალის ათვისებას, ტექნოლოგიებისა და ცოდნის ტრანსფერისთვის პირობების შექმნას ქართული საწარმოების გლობალურ საწარმოო ჯაჭვში ჩართვის საშუალებით.

DCFTA-ის ხელშეკრულებაზე ხელმოწერამ ქართული პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე გატანის რეალური პერსპექტივა შექმნა. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროცესში ყველა მიმართულებით კომპლექსურად გატარდა რეფორმები. ქართველ მეწარმეებს მიეცათ საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების ეტაპობრივად დანერგვის შესაძლებლობა. შედეგად, გაიზარდა ხარისხიანი პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების მასშტაბები, რამაც ხელი შეუწყო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საერთაშორისო ბაზარზე.

2025 წლის წინასწარი მონაცემებით, ექსპორტის მოცულობამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია, 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით თითქმის გაორმაგდა (92%-იანი ზრდა) და 7,291.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

2025 წელს, თითმის გაორმაგდა მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა ექსპორტის მაჩვენებელიც (91%-იანი ზრდა) და 2,729.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა ექსპორტმა მთლიანი ექსპორტის 37.4% შეადგინა.

მეოთხე პრიორიტეტული მიმართულება - ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება - აერთიანებს 4 ამოცანას და 18 აქტივობას.

ამოცანა 4.1. საექსპორტო შესაძლებლობების გამოყენების ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.1: ჩატარებულ ღონისძიებებთან მიმართებით კომპანიების კვლევის საფუძველზე, გამოვლენილი კომპანიების დადებითი უკუკავშირი.

გამოკითხული 89 კომპანიიდან 84% დადებითად აფასებს ღონისძიებებში მონაწილეობის გამოცდილებას.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.2: B2B შეხვედრების რაოდენობა, რომელიც ჩატარდა მხარდაჭერილი კომპანიებსა და საერთაშორისო მყიდველებს შორის.

2025 წელს, სააგენტომ განახორციელა რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება და წლის ჭრილში საერთაშორისო ღონისძიებებზე მონაწილე კომპანიებმა გამართეს 2000 შეხვედრა.

ჯამურად, 2023-2025 წლებში შედგა 5620 შეხვედრა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.3: იდენტიფიცირებული საექსპორტო პოტენციალის მქონე ახალი პროდუქტის/მომსახურების რაოდენობა.

2025 წელს, სააგენტომ ექსპორტის მიმართულებით მოახდინა ახალი სამიზნე პროდუქტების იდენტიფიცირება - ფარმაკოლოგიური პროდუქტები, საკვები დანამატები და კოსმეტიკური საშუალებები.

2023-2024 წლებში, სააგენტომ იდენტიფიცირება მოახდინა საექსპორტო პოტენციალის მქონე 7 პროდუქტის იდენტიფიცირება.

- ✓ **აქტივობა 4.1.1: ქართული კომპანიების საერთაშორისო გამოფენებში/ღონისძიებებში მონაწილეობის ორგანიზებაში მხარდაჭერა და თანადაფინანსება**

2025 წლის განმავლობაში, საერთაშორისო გამოფენებსა და ღონისძიებებზე ქართული კომპანიებისთვის განხორციელდა 250 თანადაფინანსება (მათ შორის - 89 ინდივიდუალური ექსპო-გრანტის პროგრამის ფარგლებში).

ჯამურად, 2023-2025 წლებში 2023-2025 წლებში საერთაშორისო გამოფენებსა და ღონისძიებებზე ქართული კომპანიებისთვის განხორციელდა 660-ზე მეტი თანადაფინანსება.

- ✓ **აქტივობა 4.1.2: ქართული კომპანიების საერთაშორისო გამოფენებში/ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით მხარდაჭერილი**

კომპანიების უკუკავშირის კვლევის ჩატარება

2025 წელს, უკუკავშირის კითხვარი შეავსო სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ საერთაშორისო ღონისძიებებისა და გამოფენების ფარგლებში მხარდაჭერილმა 87-მა კომპანიამ.

ჯამურად, 2023-2025 წლებში კითხვარი შეავსო სააგენტოს მიერ საერთაშორისო ღონისძიებებისა და გამოფენების ფარგლებში მხარდაჭერილმა 122-მა კომპანიამ. ჩატარებული კვლევის თანახმად, მათგან 84% დადებითად აფასებს ღონისძიებებში მონაწილეობის გამოცდილებას.

- ✓ **აქტივობა 4.1.3: ექსპორტის სტიმულირების ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში კომპანიათა თანადაფინანსება**

2025 წელს, მიმდინარე წლის განმავლობაში ტექნიკური დახმარების ფარგლებში სააგენტოსთან გაფორმდა ჯამურად 17 ხელშეკრულება. 2025 წელს თანადაფინანსება მიიღო 13-მა კომპანიამ (როგორც წინა წელს, ისე მიმდინარე წელს გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში).

ჯამურად, 2023-2025 წლებში, ბენეფიციარების რაოდენობამ 46 შეადგინა.

- ✓ **აქტივობა 4.1.4: ექსპორტ/იმპორტის საკითხებზე ინდივიდულური კონსულტაცია; პარტნიორის მოძიებაში მხარდაჭერა; სავაჭრო პარტნიორებს შორის პრობლემური ქეისების განხილვაში დახმარება; საერთაშორისო პროექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და დახმარება; მსოფლიო მასშტაბით საერთაშორისო გამოფენების და ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება**

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ მეწარმეებისთვის 270 ინდივიდუალური კონსულტაცია იქნა გაწეული ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებულ საკითხებზე.

პალატა რეგულარულად აწვდის ქართულ კომპანიებს ინფორმაციას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაგეგმილი მნიშვნელოვანი ბიზნეს ღონისძიებების თაობაზე, რათა ქართულმა ბიზნესმა შეძლოს მათში მონაწილეობა შემდგომში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების მიზნით. ამასთან, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა აქტიურად ახორციელებს როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ დაგეგმილ გამოფენებთან დაკავშირებით მეწარმეთა ინფორმირებას, როგორც ელ-ფოსტით, ასევე, სხვა ონლაინ სერვისების, მათ შორის, პალატის ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებით.

საანგარიშო პერიოდში, პალატის მიერ ორგანიზებული იქნა ბიზნეს ფორუმი

საქართველოსა და სომხეთის, საქართველოსა და უზბეკეთის ბიზნეს, საქართველოსა და ჩინეთის, საქართველოსა და თურქეთის ბიზნეს წრეებს შორის. ამასთან, სავაჭრო პალატის მიერ გავრცელებული იქნა ინფორმაცია სხვადასხვა გამოფენების შესახებ, მათ შორის, თბილისში უზბეკური პროდუქციის სამდღიანი გამოფენის "Made in Uzbekistan“ შესახებ, რომელიც გაიმართა პალატის მხარდაჭერით. აღნიშნულ გამოფენაში ქართულ ბიზნესებს ჰქონდათ შესაძლებლობა, დაემყარებინათ მჭიდრო პარტნიორული კავშირები უზბეკეთის ბიზნეს სექტორთან.

პალატის მიერ, ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანი აქტივობები განხორციელდა, ასევე, 2023-2024 წლებშიც. ჯამურად, 2023-2025 წლებში, 1000-ზე მეტი ინდივიდუალური კონსულტაცია იქნა გაწეული ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ამოცანა 4.2. DCFTA-ის შესაძლებლობების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.2.1: ევროკავშირის ბაზარზე აქცენტირებული ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი, რომელიც თვლის რომ DCFTA-ს შესახებ მიღებულ ცოდნას გამოიყენებს ყოველდღიურ მუშაობაში.

ტრენინგის მონაწილეთა 100% თვლის, რომ DCFTA – ის შესახებ მიღებულ ცოდნას გამოიყენებს ყოველდღიურ მუშაობაში.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.2.2: DCFTA.GOV.GE ვებ-გვერდის ვიზიტორთა რაოდენობა.

2025 წელს, dcfta.gov.ge ვებ-გვერდს ეწვია 6600 ახალი ვიზიტორი. ვიზიტორთა რაოდენობის ზრდამ საბაზისო წელთან შედარებით 33% შეადგინა.

2024 წელს, ვებ-გვერდს ეწვია 7300 ახალი ვიზიტორი. ვიზიტორთა რაოდენობის ზრდამ საბაზისო წელთან შედარებით 36.4% შეადგინა.

2023 წელს - 8900 ახალი ვიზიტორი - ზრდა საბაზისო წელთან 44.3%.

2022 წელს - 9300 ახალი ვიზიტორი. საბაზისო წელთან ზრდამ 46% შეადგინა.

ვიზიტორების საშუალო წლიურმა ზრდამ 40% შეადგინა.

- ✓ **აქტივობა 4.2.1: შეხვედრების და ტრენინგების მოწყობა DCFTA-თან დაკავშირებულ საკითხებზე**

2025 წელს, სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს” მიერ, დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებულობის გაზრდისა და ახალ მოთხოვნებთან ადაპტაციაში მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, დაინტერესებული პირებისთვის (ბიზნეს ოპერატორებისთვის) DCFTA-თან დაკავშირებულ საკითხებზე ჩატარდა შეხვედრა/ტრენინგები. განხორციელდა 57 ტრენინგები/სამუშაო შეხვედრა, რომელსაც დაესწრო მცირე და საშუალო ბიზნესის 717 წარმომადგენელი. ჩატარდა შემდეგი ტრენიგები:

o ონლაინ ტრენინგი თემაზე „საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის N581 დადგენილების ,,სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი" (ესწრებოდა 4 ბიზნესოპერატორი).
o სამცხე-ჯავახეთის რეგიონში საინფორმაციო შეხვედრა/ტრენინგი რძისა და რძის პროდუქტების წარმოების სასურსათო ჯაჭვში ჩართულ ბიზნესოპერატორებისთვის შემდეგ თემებზე:
- საქართველოს მთავრობის დადგენილებით (დადგენილება) დამტკიცებული ,,რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი’’;
- დადგენილება „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“;
- დადგენილება „ბიზნესოპერატორის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ (17 ბიზნესოპერატორი).
o შიდა ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში საინფორმაციო შეხვედრა/ტრენინგი თევზისა და თევზ-პროდუქტების წარმოების სასურსათო ჯაჭვში ჩართულ ბიზნეს ოპერატორებთან შემდეგ თემებზე:

- დადგენილება „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“;
- დადგენილება „ბიზნესოპერატორის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“;
- დადგენილება „ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა(სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“;
- დადგენილება სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტი) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. (57 ბიზნესოპერატორი).

o იმერეთის რეგიონში საინფორმაციო შეხვედრა/ტრენინგი თაფლის წარმოების სასურსათო ჯაჭვში ჩართულ ბიზნესოპერატორებთან შემდეგ თემებზე:

- დადგენილება „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;

- დადგენილება „ბიზნესოპერატორის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“;
- დადგენილება „სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ (27 ბიზნესოპერატორი).

o იმერეთის რეგიონში საინფორმაციო შეხვედრა/ტრენინგი ჰორეკა სექტორში ჩართული ბიზნესოპერატორებისთვის შემდეგ თემებზე:

- დადგენილება „სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ;
- დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ (23 ბიზნესოპერატორი).

o სამეგრელო-ზემო-სვანეთის რეგიონში საინფორმაციო შეხვედრა/ტრენინგი თხილის და კაკლოვნების სექტორში ჩართული ბიზნესოპერატორებისთვის თემაზე - „სურსათის უვნებლობის პრინციპები თხილის გადამამუშავებელი ბიზნესოპერატორებისათვის“ (18 ბიზნესოპერატორი).

o თბილისში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთის რეგიონებში ბიზნესოპერატორებთან ტრენინგი თემაზე: დადგენილება „ავტორიზაციის საკითხები და პროცედურები“ (5 შეხვედრა, 33 ბიზნესოპერატორი)

o კახეთში, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში საინფორმაციო შეხვედრა დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტის – ცხოველთა საკვებში არასასურველი ნივთიერებების შემცველობის დამტკიცების შესახებ“ საკითხებთან დაკავშირებით (12 ბიზნესოპერატორი);

o ქ. თელავში შეხვედრა რძის გადამამუშავებელ ბიზნესოპერატორებთან, თემაზე - სურსათის უვნებლობის პრინციპები. (16 ბიზნესოპერატორი). თაფლის მწარმოებელ ბიზნესოპერატორებთან, თემაზე - სურსათის უვნებლობის პრინციპები. (21 ბიზნესოპერატორი);

o კახეთის რეგიონში 2 შეხვედრა საზოგადოებრივი კვების სექტორთან სურსათის უვნებლობის პრინციპების გაცნობის მიზნით (57 ბიზნესოპერატორი);

- ○ ქ. ახალციხეში საინფორმაციო შეხვედრა აკვაკულტურის მწარმოებელ ბიზნესოპერატორებთან (ესწრებოდა 13 ბიზნესოპერატორი);
- ○ ქ. ქუთაისში და ქ. ბათუმში 3 საინფორმაციო შეხვედრა საზოგადოებრივი კვების ობიექტების ბიზნესოპერატორებთან კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან და სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან დაკავშირებით:
  - დადგენილება N118 ტექნიკური რეგლამენტი - საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ.

- ცხოველის იდენტიფიკაცია/ რეგისტრაციის სისტემის მიმოხილვა. (82 ბიზნესოპერატორი).

- მეფუტკრეობის სფეროში ძალაში შესული საკანონმდებლო დოკუმენტების გაცნობის და ასევე, ფუტკრის სხვადასხვა დაავადების პრევენციისა და მკურნალობის ახალი მეთოდების გაცნობის მიზნით, 6 შეხვედრა სამეგრელო-ზემო სვანეთის, ქვემო ქართლისა და იმერეთის რეგიონში (34 ბიზნესოპერატორი);
- შეხვედრა/ტრენინგები აკვაკულტურის სფეროში დადგენილებით მიღებული ახალი საკანონმდებლო რეგულაციის - რისკების მართვის სისტემის აღსრულების საკითხების შესახებ. შემდგომში, აკვაკულტურის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები და მიღებული შედეგები განხილული იქნა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამეგრელოს, იმერეთის, კახეთის, ქვემო ქართლის, აჭარის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის და გურიის რეგიონში მოქმედ ბიზნესოპერატორებთან (12 შეხვედრა/ტრენინგი, 91 ბიზნესოპერატორი);
- 2 ტრენინგი თბილისში თემაზე: „ფრინველის ხორცისა და კვერცხის შენახვის ვადა, სალმონელა და კამპილობაქტერიის განსაზღვრის მეთოდები“ (44 ბიზნესოპერატორი);
- თბილისში სამუშაო შეხვედრა დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტი - ყავის, ყავის პროდუქტების სუროგატების შესახებ“ გაცნობის მიზნით (13 ბიზნესოპერატორი);
- ამბროლაურში JICA-ს დაფინანსებით ტრენინგი თემაზე: „სურსათის უვნებლობის რეგულირების პრინციპები; საქართველოში რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების სარგებლობის უფლების მქონე სურსათის მწარმოებელ ბიზნესოპერატორთა (რაჭული ლორი, სულგუნი, თაფლი და ა.შ.) მიმართ მოთხოვნები; ბიოწარმოების მიმართ მოთხოვნები (16 ბიზნესოპერატორი);
- ბიზნესოპერატორებთან შეხვედრები 3 რეგიონში (კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი) ცხოველთა საკვებში არასასურველი ნივთიერებების შემცველობის დამტკიცების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის თაობაზე (24 ბიზნესოპერატორი).
- შეხვედრები ცხოველის სამკურნალო საკვების წარმოება, ბაზარზე განთავსება და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების თაობაზე შემდეგ თემებზე:
  - წარმოება, შენახვა, ტრანსპორტირება და ბაზარზე განთავსება; სპეციფიკური მოთხოვნები ცხოველის საკვების ბიზნესოპერატორისთვის;
  - ანტიმიკრობული საშუალებების აქტიური ნივთიერების ნუსხა;
  - ეტიკეტირებასთან დაკავშირებული სპეციფიკური მოთხოვნები. შეხვედრები გაიმართა თბილისში, შიდა ქართლსა და კახეთში და ესწრებოდა 28 ბიზნესოპერატორი.
- ტრენინგები თბილისში, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის და კახეთის რეგიონებში, დადგენილება მეკვერცხული მიმართულების საწარმოს ავტორიზაციის წესის დამტკიცების შესახებ. ბიზნესოპერატორები გაეცნენ

ავტორიზაციის საკითხებსა და პროცედურებს (35 ბიზნესოპერატორი).

- თბილისში შეხვედრა ვეტერინარული პრეპარატების მწარმოებლებთან, საბითუმო და საცალო ვაჭრობის წარმომადგენლებთან. განხილული იქნა დადგენილების პროექტი ,,ვეტერინარული პრეპარატების შესახებ“ (18 ბიზნესოპერატორი).
- თბილისში ტრენინგი „ცხოველთა კვებაში გამოსაყენებელი ცხოველის საკვები დანამატების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილებასთან დაკავშირებით შემდეგ თემებზე:
  - ცხოველთა კვებაში გამოსაყენებელი ცხოველთა საკვები დანამატების ავტორიზაციის საკითხების გაცნობა;
  - საბაჟო პროცედურების განხილვა ცხოველთა საკვების იმპორტისას;
  - ეტიკეტირებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.

  (15 ბიზნესოპერატორი).
- თბილისში ტრენინგი „ხორცში ტრიქინელას სახელმწიფო კონტროლის სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილებასთან დაკავშირებით. თემები: (8 ბიზნესოპერატორი).
- ქ. თბილისში შეხვედრა ცხოველის საკვების დისტრიბუტორებთან. განხილული იქნა ცხოველის საკვებში გამოყენებული საკვები დანამატების წესის და ცხოველის საკვების ბაზარზე განთავსებისა და ეტიკეტირების წესის საკითხები. (11 ბიზნესოპერატორი).

ჯამურად, 2023-2025 წლებში ჩატარდა 134 შეხვედრა/ტრენინგი.

✓ აქტივობა 4.2.2: DCFTA-ს შესახებ ვებ - გვერდის ეფექტიანი ფუნქციონირება

2025 წლის მონაცემებით, dcfta.gov.ge ვებ-გვერდს ეწვია 6600 ახალი ვიზიტორი. ვიზიტორთა რაოდენობის ზრდამ საბაზისო წელთან შედარებით 33% შეადგინა. საქართველოს გარდა, ვებ-გვერდს სტუმრობდნენ ჩინეთიდან, აშშ-დან, სინგაპურიდან, გერმანიიდან, თურქეთიდან, გაერთიანებული სამეფოდან და სხვ.

ჯამურად, 2023-2025 წლებში, ვებ-გვერდს ეწვია 22800 ვიზიტორი.

ამოცანა 4.3 ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის, მათ შორის შესაბამისი ინსტიტუტების (აკრედიტაცია, მეტროლოგია, სტანდარტიზაცია და ა.შ.) განვითარება საერთასრისო და/ან ევროპულ პრაქტიკასთან შემდგომი დაახლოების მიზნით

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.3.1: საერთაშორისო და ევროკავშირის ხარისხის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების მიერ აღიარებული აკრედიტაციის სფეროები.

2024 წელს, აკრედიტაციის ცენტრში სტრუქტურულად ცალკე იქნა გამოყოფილი სერტიფიკაციის მიმართულება, განხორციელებულია თანამშრომლების შესაბამისი გადამზადება, დონორებთან კოორდინაციით მიმდინარეობს აღნიშნულ სფეროში დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები.

საქართველოს აკრედიტაციის ცენტრმა წარმატებით გაიარა ევროპული აკრედიტაციის თანამშრომლობის ორგანიზაციის (EA) თანასწორთა შეფასება, რომელიც განხორციელდა 2022 წლის ოქტომბრის თვეში.

EA მისი წევრი ორგანიზაციების შეფასებას ახორციელებს ოთხწლიანი შუალედით, რათა განგრძობითად იქნას შენარჩუნებული მათი საქმიანობის შესაბამისობა, როგორც ევროკავშირის რეგულაცია 765/2008-ის და საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ 17011-ის მოთხოვნებთან, ისე აკრედიტაციის სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციების (ILAC/IAF) მიერ შემუშავებულ შესაბამის სახელმძღვანელოებთან.

შედეგად, 2023 წლის ბოლოსთვის, საქართველოს აქვს მრავალმხრივი აღიარების ხელმოწერა ILAC (საერთაშორისო ლაბორატორიული აკრედიტაციის თანამშრომლობა) – 5, IAF (საერთაშორისო აკრედიტაციის ფორუმი) – 2 და EA – 7 სფეროში. თანასწორთა შეფასების საბოლოო შედეგი გამოქვეყნდა 2023 წლის 24 ივლისს, რომლის თანახმად აკრედიტაციის ცენტრმა აღიარება შეინარჩუნა წინა წლებში აღიარებულ ყველა სფეროში:

- ✓ საგამოცდო ლაბორატორიების აკრედიტაცია (საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ17025-ის შესაბამისად);
- ✓ საკალიბრო ლაბორატორიების აკრედიტაცია (საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ17025-ის შესაბამისად);
- ✓ სამედიცინო ლაბორატორიების აკრედიტაცია (საერთაშორისო სტანდარტის ისო 15189 -ის შესაბამისად);
- ✓ ინსპექტირების ორგანოების აკრედიტაცია (საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ17020 სტანდარტის შესაბამისად);
- ✓ პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანოს აკრედიტაცია (საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ 17065 სტანდარტის შესაბამისად);
- ✓ პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოების აკრედიტაცია (საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ 17024 სტანდარტის შესაბამისად).

ამასთან, საქართველოს აკრედიტაციის ცენტრმა მოიპოვა დამატებითი აღიარება პროფესიული ტესტირების მომწოდებელი ორგანოების აკრედიტაციის მიმართულებით (საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ 17043 სტანდარტის შესაბამისად).

ამ ეტაპზე, მიმდინარეობს მუშაობა მენეჯმენტისა და აუდიტის სერტიფიკაციის სისტემების სფეროში გაფართოების მიზნით.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.3.2: დაინტერესებული მხარეებისათვის ხელმისაწვდომი საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების რაოდენობა.

2025 წლის განმავლობაში, სტანდარტების დეპარტამენტის მიერ სულ დარეგისტრირდა 3 390 სტანდარტი, მათ შორის:

- ISO ISO, IEC (საერთაშორისო სტანდარტი): 59 (ISO 45, IEC 14);
- ISO EN (ევროპული სტანდარტი) – 3,320;
- ISO EN (ქართულენოვანი) – 8;
- ISO ეროვნული - 3.

2025 წლის განმავლობაში, სტანდარტების დეპარტამენტის მიერ სულ გაცემულია 636 სტანდარტი, მათ შორის:

- ISO ISO, IEC (საერთაშორისო სტანდარტი) – 103 (ISO 100, IEC 3);
- ISO EN (ევროპული სტანდარტი) - 383;
- ISO ISO (ქართულენოვანი) - 91;
- ISO EN (ქართულენოვანი)-1;
- ASTM (ტესტირებისა და მასალების ამერიკის საზოგადოება) - 55;
- GOST (სახელმწიფოთაშორისი სტანდარტი) – 3.

2025 წლისთვის, საქართველოს სტანდარტად მიღებულმა საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების რაოდენობამ 40 444 შეადგინა. ქართულენოვანი სტანდარტების რაოდენობამ - 357, ხოლო გაცემული სტანდარტების რაოდენობამ - 2 846.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.3.3: მეტროლოგიის სფეროში დაინტერესებული პირებისათვის გაწეული სერვისების გაზრდილი დიაპაზონი ან/და სფერო, მათ შორის, საერთაშორისო დონეზე აღიარებული სერვისები.

2020 წლიდან მოქმედებს სტანდარტების ელექტრონული პლატფორმა, ხოლო 2023 წლის 1 იანვრიდან მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით სტანდარტებზე შეღავათიანი ფასების პროგრამა, რომელიც დაინტერესებულ პირებს სტანდარტების შესახებ ინფორმაციის მოძიების გაზრდილ საშუალებებს სთავაზობს. არსებული პრაქტიკა შესაბამისობაშია მცირე და საშუალო მეწარმეობის (SME) მხარდაჭერისათვის სტანდარტების ეროვნული ორგანოებისადმი ევროპული რეგულაციით (EU Reg.1025/2012) განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

2024 წლის დეკემბერში შეიქმნა სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტი ,,გარემოს დაცვა". 2024 წლის მდგომარეობით, მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური ლაბორატორიებისათვის შეძენილი და მოწოდებული იქნა ფიზ-ქიმიური გაზომვების განყოფილებისათვის - სტანდარტული ნიმუშები და ალკომეტრების დასამოწმებელი ხელსაწყო.

2025 წელს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის მექანიკის და მასის ეტალონური განყოფილებისათვის შეძენილ იქნა ხელსაწყოები: ერთ არხიანი სიგნალების გენერატორი და ცვლადი ძაბვის ვოლტმეტრი, საწონების ნაკრები. 2025 წლის დეკემბრიდან შესაძლებელია სატრანსპორტო საშუალების გამონაბოლქვი აირების ანალიზატორების დაკალიბრება. ფიზიკურ-ქიმიური ეტალონურ განყოფილებაში მიმდინარეობს სტანდარტული ნიმუშების სტაბილიზაცია - ჰომოგენურობის შესწავლა ISO 17034 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. სააგენტოს მეტროლოგიის ინსიტიტუტის წარმომადგენლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ტრენინგებში/სემინარებში. დარეგისტრირდა ევროკოდი 6-ის ქართულენოვანი ვერსია, შესაბამისი ნაწილებითა და ეროვნული დანართებით. დაინტერესებული პირების მომართვის საფუძველზე გაცემულია 270 სტანდარტი. ამავე დროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების (№1-1/231,26.06.2025) საფუძველზე დამტკიცდა „სტანდარტიზაციის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესი“. სტანდარტიზაციის საბჭოს მიზანია ხელი შეუწყოს დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობას სტანდარტიზაციის პროცესში და გადაწყვეტილებების მიღებისას ინტერესთა ბალანსის უზრუნველყოფას. სტანდარტების დეპარტამენტში წარმატებით დასრულდა EN ISO 9001:2015-ის შესაბამისად დანერგილი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის პირველი გარე საკონტროლო აუდიტი.

- ✓ **აქტივობა 4.3.5: ევროპული აკრედიტაციის ორგანიზაციის EA-ს აღიარების გაფართოება მენეჯმენტისა და აუდიტის სისტემების სერტიფიკაციის ორგანოების სფეროში**

EA-ში შესაბამისი მიმართვა გაიგზავნება მას შემდეგ, რაც აკრედიტაციის ცენტრი გასცემს მინიმუმ ერთ აკრედიტაციას მენეჯმენტისა და აუდიტის სისტემების სერტიფიკაციის ორგანოების სფეროში

- ✓ **აქტივობა 4.3.7: სტანდარტების ელექტრონული პლატფორმაზე განთავსებული სტანდარტებისა და სტანდარტიზაციის ტექნიკურ კომიტეტებში ჩართული ორგანიზაციების რაოდენობის გაზრდა**

საანგარიშო პერიოდში, სააგენტოს სტანდარტების ელექტრონულ პლატფორმაზე გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის დადგენილებებით (N481 და N480, 31/12/2024) დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტების („გაზომვის საშუალებების შესახებ" და

„არაავტომატური აწონის საშუალებების შესახებ“) ჰარმონიზებული სტანდარტები. ასევე, განახლდა 7 ტექნიკური რეგლამენტის ჰარმონიზებული სტანდარტი. სულ გამოქვეყნებულია 4 000-ზე მეტი სტანდარტი. სტანდარტებზე შეღავათიანი ფასებით ისარგებლა ორმა დაინტერესებულმა პირმა და განახორციელა სამი ევროპული სტანდარტის შეძენა.

2025 წლის იანვრიდან, გაფართოვდა სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის მიერ გაწეული მომსახურებები, დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომი გახდა სტანდარტების „ონლაინ“ რეჟიმში კითხვა. სტანდარტიზაციის სფეროში დაინტერესებული პირების ჩართულობის შემდგომი ზრდისათვის დასრულდა „სტანდარტიზაციის საბჭოს" დაკოპლექტების სამუშაოები. შეიქმნა ახალი სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტი (ტკ 11) „ევროკოდები“. ამასთან, დასრულებულია მეტროლოგიის სფეროში ახალი (მე-12) ტექნიკური კომიტეტის ფორმირება, შესაბამისი ორგანიზაციების მიერ კანდიდატები წარმოდგენილია, მიმდინარეობს საინიციატივო შეხვედრის ორგანიზება.

2025 წლის მდგომარეობით, კომიტეტების რეკომენდაციის საფუძველზე, სულ 319 საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების ქართულენოვანი ვერსიები და ეროვნული სტანდარტის პროექტის საფუძველზე მიღებული საქართველოს სტანდარტია რეგისტრირებული. 2025 წლის განმავლობაში, სტანდარტების დეპარტამენტის მიერ სულ დარეგისტრირდა 3 390 სტანდარტი, მათ შორის:

- სსტ ისო, იეკ (საერთაშორისო სტანდარტი): 59 (ისო 45, იეკ 14);
- სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) – 3,320;
- სსტ ენ (ქართულენოვანი) – 8;
- სსტ ეროვნული - 3.

სულ გაცემულია 636 სტანდარტი, მათ შორის: 194 საერთაშორისო და 384 ევროპული.

საანგარიშო პერიოდში, აქტიურად გამიყენებოდა მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით სტანდარტებზე შეღავათიანი ფასების პროგრამა, რომელიც ამოქმედდა 2023 წლის 1 იანვრიდან. ,,გარემოს დაცვის" სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (შეიქმნა 2024 წლის დეკემბერში) მუშაობაში, საანგარიშო პერიოდში, აქტიურად იყვნენ ჩართული როგორც სახელმწიფო, ასევე, კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ექსპერტები.

- ✓ **აქტივობა 4.3.8: სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის პერსონალისა და სტანდარტიზაციის ტექნიკურ კომიტეტებში ჩართული ექსპერტებისათვის ტრენინგების ჩატარება**

სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს

სტანდარტიზაციის, ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების, ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურისა და სხვა დაკავშირებული სფეროების შესახებ გამართულ 10-მდე საერთაშორისო და ადგილობრივ სემინარსა და ტრენინგში, რომლებიც ორგანიზებული იყო გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტის (PTB), მსოფლიო ბანკის (WTO), გაეროს ევროპის ეკნომიკური კომისიის (UNECE), საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის (IEC) და სხვა ორგანიზაციების მიერ.

PTB-ის პროექტის ფარგლებში, რუსთავში, გორში, თელავში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში ჩატარდა ცნობადობის ამაღლების სემინარი თემაზე: „ხარისხის ინფრასტრუქტურა და მისი როლი ბიზნესის განვითარებაში“, რომლის ფარგლებშიც სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტისა და მეტროლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა, ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოსა და აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად დაინტერესებულ პირებს მიაწოდეს ინფორმაცია შესაბამის სფეროში არსებული მომსახურებების, სიახლეების, სამომავლო გეგმებისა და სხვა საკითხების შესახებ. ასევე, სააგენტოსა და UNECE-ის ორგანიზებით, ქ. თბილისში, დაინტერესებული პირებისათვის ჩატარდა კონფერენცია თემაზე „გენდერული მეინსტრიმინგი ხარისხის ინფრასტრუქტურაში“.

ამასთან, განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- სტანდარტების დეპარტამენტში, ენ/ისო 9001:2015 სტანდარტის შესაბამისად, დაინერგა ხარისხის მენეჯმენტის სისტემა, ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზის ზოგადი პრინციპები და მეთოდები; გაიცა შესაბამისი სერტიფიკატი.
- სააგენტოს წარმომადგენლებმა, „ტვინინგ პროექტის“ ექსპერტთან ერთად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ჩაატარეს სამუშაო შეხვედრა თემაზე „ხარისხის ინფრასტრუქტურა, როგორც საუკეთესო საშუალება საჯარო შესყიდვებში ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად“. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო შესყიდვებში ჩართული ორგანიზაციების 30-მდე წარმომადგენელმა.
- სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს PTB-ის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში - „Eastern Partnership Standardization Forum on Translation of Standards in the Adoption Process“; Workshop Professional Development Opportunity: Writing and Using Policy Briefs“.
- სტანდარტიზაციის სფეროში ევროპული რეგულაციის (N1025/2012) დაახლოების მიზნით, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მომოქცევის კოდექსში განხორციელდა ცვლილება და განხორციელდა აღნიშნულ რეგულაციასთან სრული დაახლოება.

- განხორციელდა სააგენტოს წარმომადგენლების სასწავლო ვიზიტი იტალიის სტანდარტების ეროვნულ ორგანოში (UNI).
- სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს PTB-ის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში თემაზე „მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურებები“.
- სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენლებისათვის, ტვინინგ პროექტის ფარგლებში, განხორციელდა სასწავლო ვიზიტი ესპანეთისა და იტალიის სტანდარტების ეროვნულ ორგანოებში.
- სათამაშოების სექტორის წარმომადგენლებისათვის ჩატარდა ტრენინგი „სათამაშოების სტანდარტები, სათამაშოების წინასწარი შემოწმებები, ანალიტიკური მეთოდების (ფიზიკურ- მექანიკური და ქიმიური) თეორიული და პრაქტიკული ასპექტები“.
- ქართულმა მხარემ პირველად მიიღო მონაწილეობა სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის (CEN/TC 250) შეხვედრასა და ევროკოდებზე გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში.
- საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, ტვინინგ პროექტის ფარგლებში, გაიმართა ,,ღია კარის დღე“. ღონისძიება წარმოადგენდა უნიკალურ შესაძლებლობას ყველა დაინტერესებული მხარის - ბიზნესის, აკადემიური და სამეცნიერო სფეროს, მარეგულირებელი ორგანოების, ლაბორატორიების წარმომადგენლებისთვის ადგილზე გაცნობოდნენ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სერვისებს, ასევე, ეროვნული სააგენტოს ექსპერტებისგან მიეღოთ დეტალური თეორიული და პრაქტიკული ინფორმაცია სხვადასხვა სფეროში.

✓ **აქტივობა 4.3.9: მეტროლოგიის სფეროში GEOSTM ეტალონური ლაბორატორიების აღჭურვილობის განახლების პროცესის გაგრძელება: ახალი და/ან გაუმჯობესებული სერვისების მიწოდება დაინტერესებული პირებისათვის, მათ შორის რეგიონულ დონეზე**

2025 წელს, სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის მექანიკის და მასის ეტალონური განყოფილებისათვის შესყიდულია ხელსაწყოები: ერთ არხიანი სიგნალების გენერატორი და ცვლადი ძაბვის ვოლტმეტრი, საწონების ნაკრები. გარემო პირობების ჩამწერი მოწყობილობები ლაბორატორიებისათვის. ფიზიკურ-ქიმიურ ეტალონურ განყოფილებაში მიმდინარეობს სტანდარტული ნიმუშების სტაბილიზაცია - ჰომოგენურობის შესწავლა ISO 17034 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, შესყიდულ იქნა სტანდარტული ნიმუშები ამავე ლაბორატორიისათვის.

2025 წლის დეკემბრიდან შესაძლებელია ფიზიკურ - ქიმიურ ლაბორატორიაში გამონაბოლქვი აირის ანალიზატორების დაკალიბრება/დამოწმების სამუშაოების

შესრულება. რადიაციული გაზომვების ეტალონურ განყოფილებას გადმოეცა რენტგენული დანადგარი X80–Ray, რომლის დამონტაჟების სამუშაობი დასრულდა აგვისტოში, ამავე აპარატზე მომუშავე თანამშრომლებს ჩაუტარდათ სწავლებები, გაიცა შესაბამისი სერთიფიკატები, ნოემბრის თვეში სააგენტომ მიიღო ლიცენზია საქმიანობის განხორციელებისათვის, შესაბამისად, 2026 წლიდან იგეგმება აღნიშნულ ხელსაწყოზე სამუშაოების განხორციელება. საერთაშორისო დონეზე მიკვლევადობის მიზნით მომზადდა დასაკალიბრებლად გასაგზავნი ხელსაწყოების სია, რომელთა დაკალიბრება განხორციელდა ჩეხეთის, პოლონეთის და გერმანიის შესაბამის ეროვნული მეტროლოგიის ინსტიტუტებში.

2023-2024 წლებში, შეძენილი და მოწოდებული იქნა ფიზ-ქიმიური გაზომვების განყოფილებისათვის - სტანდარტული ნიმუშები, ეტალონური ლაბორატორიებისათვის შეძენილი იქნა გარემო პირობების ჩამწერი ხელსაწყოები, ალომეტრების დასამოწმებელი ხელსაწყო და ტემპერატურისა და ტენიანობის ეტალონური ლაბორატორიისათვის ეტალონური თერმომეტრი და ტემპერატურული კალიბრატორი.

ამოცანა 4.4. ინვესტიციების და SME-ების კავშირების გაძლიერება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.4.1. პოტენციური ადგილობრივი მეწარმეების/ მომწოდებლების მონაცემთა ბაზა, რომლებიც შეთავაზებულ იქნებიან საქართველოში არსებულ უცხოელ ინვესტორებს.

სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ ამუშავებს ინფორმაციას საქართველოში არსებული სახელმწიფო და კერძო პროექტების შესახებ და კატალოგის სახით უზიარებს პოტენციურ ინვესტორებს.

2025 წლის განმავლობაში, ბიზნეს ასოციაციებთან კონსულტაციების საფუძველზე, შეიქმნა ადგილობრივი მიმწოდებლების ბაზა, რომელიც გაზიარდა დაინტერესებულ ინვესტორებთან.

2024 წელს, ბიზნესასოციაციებთან 2 კონსულტაციის შედეგად, სააგენტომ გამოითხოვა კომპანიებისა და საინტერესო პროექტების შესახებ ინფორმაცია, რომლის ბაზაზეც მომზადდა კატალოგი და მოხდა აღნიშნული კატალოგის გაზიარება ინვესტორებთან.

2023 წელს, გაიმართა 15 შეხვედრა/კონსულტაცია ბიზნეს ასოციაციებთან ბაზაში შესატანი პოტენციალის მქონე კომპანიების გამოსავლენად და შეიქმნა კომპანიების/პროექტების სია, რომლებიც პოტენციურად საინტერესო შეიძლება იყოს ინვესტორებისთვის, რაც შემდგომში ასოციაციებში გასავრცელებლად გაეგზავნა ინვესტორთა საბჭოს.

2022 წელს, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" მიერ შედგა პოტენციური პროექტების სია (70 პროექტი), რომელთა შეთავაზება მოხდა საქართველოში მოქმედი უცხოელი ინვესტორებისთვის.

2021 წელს, კატალოგში შესული იყო 22 კერძო პროექტი, მათ შორის, 20 უძრავი ქონებისა და სტუმარ-მასპინძლობის, ხოლო 2 - წარმოების სექტორში. 2021 წელს, კატალოგის სახით ინფორმაცია პროექტების შესახებ 70 პოტენციურ ინვესტორს დაეგზავნა.

- ✓ **აქტივობა 4.4.1: შეხვედრები/კონსულტაციები ბიზნეს ასოციაციებთან ბაზაში შესატანი პოტენციალის მქონე კომპანიების გამოსავლენად**

2025 წელს, ბიზნეს ასოციაციებთან გაიმართა ორი კონსულტაცია გაიმართა. კონსულტაციის ჩატარების შედეგად სააგენტომ გამოითხოვა კომპანიებისა და საინტერესო პროექტების შესახებ ინფორმაცია, რომლის ბაზაზეც მომზადდა კატალოგი და მოხდა აღნიშნული კატალოგის გაზიარება ინვესტორებთან.

ჯამურად, 2023-2025 წლებში ჩატარდა 19 შეხვედრა/კონსულტაცია.

პრიორიტეტი 5. ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა

ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარება საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი წამყვანი პრიორიტეტია.

ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობის **მიზანს წარმოადგენს** მცირე და საშუალო საწარმოთა კონკურენტუნარიანობისა და პროდუქტიულობის ამაღლება ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობის გზით. აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში განსაზღვრული ამოცანების შესრულება და დასახული მიზნის მიღწევის **გავლენის მაჩვენებელია** - OECD „SME Policy Index" 2024 წლის კვლევაში „SME Innovation Policy" ინდიკატორში საქართველოს შეფასების შენარჩუნება/გაუმჯობესება. 2024 წელს, OECD-ის აღნიშნული კვლევის კომპონენტში „ინოვაციური პოლიტიკა", საქართველოს შეფასება გაუმჯობესდა და 3.44 ქულა შეადგინა, 2020 წელს საქართველოს ქულა 3.27-ს შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა" მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიაში ცალკე პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა, რომლის ფარგლებშიც მთელი რიგი მიზნობრივი აქტივობები განხორციელდა.

მეხუთე პრიორიტეტული მიმართულება - ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა - აერთიანებს 6 ამოცანას და 14 აქტივობას.

ამოცანა 5.1. ინოვაციური დაფინანსების განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.1.1: ინოვაციური დაფინანსების სახელმწიფო პროდუქტების ბენეფიციარების რაოდენობა.

2025 წელს, „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" თანადაფინანსების საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 19 სტარტაპი, ხოლო "ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის" პროგრამის ფარგლებში - 39 სტარტაპი, სულ 58 სტარტაპი.

ჯამურად, 2021-2025 წლებში, თანადაფინანსების საგრანტო პროგრამის და ,,ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის" ფარგლებში დაფინანსდა 351 სტარტაპი.

საბაზისო წელთან შედარებით (164 სტარტაპი), ბენეფიციარი სტარტაპების რაოდენობა გაორმაგდა (114%-იანი ზრდა).

შედეგად, სტატაპებს გააჩნიათ ინოვაციურ ფინანსებზე წვდომის შესაძლებლობა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.1.2: იმ მცირე და საშუალო მეწარმეების რაოდენობა, რომლებმაც შეიმუშავეს ინოვაციური პროდუქტი (პროტოტიპის დონეზე) ან მომსახურება, სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების ბენეფიციართა შორის.

„საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ გრანტების პროგრამების ბენეფიციარებმა 2021-2022 წლებში შეიმუშავეს 124 ახალი პროდუქტი/გაუმჯობესებული მომსახურება.

2023 წელს, 15 000 ლარამდე მცირე გრანტების პროგრამამ მოდიფიცირება განიცადა და აქტივობა ჩანაცვლდა სააგენტოს მიერ 2023 წელს დაწყებული ახალი საგრანტო პროექტით (გაზრდილი დაფინანსებით) – „ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის“.

- ✓ **აქტივობა 5.1.1: 150,000 ლარიანი თანადაფინანსების გრანტების გაცემა სტარტაპებისთვის**

დასრულდა „თანადაფინანსების საგრანტო პროგრამის“ მე-12 და მე-13 რაუნდები, რომლის ფარგლებშიც, სააგენტომ სულ მიიღო 942 განაცხადი (მე-12 რაუნდი - 544 და მე-13 რაუნდი - 398 განაცხადი) და 40 გამარჯვებულ სტარტაპზე გაიცა 150 000 ლარამდე დაფინანსება.

- ✓ **აქტივობა 5.1.2: 15,000 ლარამდე მცირე გრანტების გაცემა**

აქტივობა ჩანაცვლდა სააგენტოს მიერ 2023 წელს დაწყებული ახალი საგრანტო პროექტით (გაზრდილი დაფინანსებით) – „ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის“, რომლის ფარგლებშიც, დაფინანსებულ სტარტაპებს აქვთ შესაძლებლობა მოიპოვონ 25 000 ლარამდე დაფინანსება.

საანგარიშო პერიოდში, პროგრამა განხორციელდა საქართველოს 10 რეგიონში, 11 ლოკაციაზე (სამეგრელო-ზემო სვანეთში პროგრამა ცალ-ცალკე მიმდინარეობს). პროგრამის შედეგები შემდეგია:

- აჭარაში სააგენტომ მიიღო 48 განაცხადი (მათ შორის, 17 ქალი განმცხადებელი) და დაფინანსდა 6 სტარტაპი;
- გურიაში - 34 განაცხადი (9 ქალი) და დაფინანსდა 2 სტარტაპი;
- იმერეთში - 48 განაცხადი (22 ქალი) და დაფინანსდა 6 სტარტაპი;
  სამეგრელოში - 44 განაცხადი (13 ქალი) და დაფინანსდა 5 სტარტაპი;
- სვანეთში - 12 განაცხადი (6 ქალი) და დაფინანსდა 1 სტარტაპი;

- რაჭა-ლეჩხუმში - 23 განაცხადი (13 ქალი) და დაფინანსდა 3 სტარტაპი;
- შიდა ქართლი - 37 განაცხადი (18 ქალი) და დაფინანსდა 4 სტარტაპი;
- მცხეთა-მთიანეთი - 33 განაცხადი (18 ქალი) და დაფინანსდა 2 სტარტაპი;
- სამცხე-ჯავახეთი - 38 განაცხადი (18 ქალი) და დაფინანსდა 2 სტარტაპი;
- ქვემო ქართლი - 41 განაცხადი (17 ქალი) და დაფინანსდა 4 სტარტაპი;
- კახეთი - 56 განაცხადი (22 ქალი) და დაფინანსდა 4 სტარტაპი.

სულ, 10 რეგიონში/11 ლოკაციაზე სააგენტომ მიიღო 414 სააპლიკაციო განცხადება (მათ შორის, 173 ქალი განმცხადებლის) და დაფინანსდა 39 სტარტაპი.
ასევე, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა წინა რაუნდზე დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი.

ჯამურად, 2023-2025 წლებში დაფინანსდა 122 სტარტაპი.

ამოცანა 5.2. ელექტრონული კომერციის განვითარების ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.2.1: დატრენინგებული ბენეფიციარების რაოდენობა.

2025 წელს, ელექტრონული კომერციის მიმართულებით 500-ზე მეტი მეწარმე დატრენინგდა. ჯამურად, 2021-2025 წლებში ელ. კომერციის მიმართულებით 2300-მდე მეწარმე დატრენინგდა.

ამოცანა 5.3. საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.3.1: საკანონმდებლო და ტექნიკური ჩარჩო ფართოზოლოვანი ქსელების განვითარებისთვის.

სატელეკომუნიკაციო უნივერსალური მომსახურების დანერგვის მიზნით, ევროკავშირის ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსის (2018/1972 დირექტივა) საფუძველზე მომზადებულია კანონის პროექტი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე".

სატელეკომუნიკაციო ქსელების განვითარების ხელშეწყობისთვის და საქართველოს კანონით „სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო

მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ“ განსაზღვრული კანონქვემდებარე აქტების მომზადების მიზნით, პროექტ „Log-in Georgia“-ს ფარგლებში, „Grant Thornton“-ის ექსპერტების ჩართულობით, დასრულდა მუშაობა „ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების ხარჯების შემცირებისთვის საკანონმდებლო და ტექნიკური ჩარჩოს შემუშავების“ აქტივობების განხორციელებაზე, რომლის საფუძველზე მომზადდა და დამტკიცებული იქნა ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №257 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილებები (N336 და N337, 07.10.2024).

სატელეკომუნიკაციო ქსელების განვითარების ხელშეწყობისთვის და საქართველოს კანონით „სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ“ განსაზღვრული კანონქვემდებარე აქტების მომზადების მიზნით, პროექტ „Log-in Georgia“-ს ფარგლებში, „Grant Thornton“-ის ექსპერტების ჩართულობით, დასრულდა მუშაობა ,,ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების ხარჯების შემცირებისთვის საკანონმდებლო და ტექნიკური ჩარჩოს შემუშავების“ აქტივობების განხორციელებაზე, რომელიც ითვალისწინებს ფართოზოლოვანი ინტერნეტ ინფრასტრუქტურის, მათ შორის, 5G ქსელების განვითარებისთვის და მშენებლობისათვის ნებართვების გამარტივების საკითხებს.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.3.2: მეწარმეთა რაოდენობა, რომელთაც გაიარეს ტრენინგი ციფრულ უნარებში.

„საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ მიერ „3000 IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამის“ და შემდგომში „5000 IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამის“ ფარგლებში, ასევე, რეგიონალურ ცენტრებსა და ტექნო პარკებში განხორციელებული სხვადასხვა პროექტის/პროგრამის ფარგლებში (მათ შორის, Do IT in Georgia, Code IT ტექნოპარკებში) ჩატარდა მიზნობრივი ტრენინგები. ბენეფიციარები გადამზადდნენ ციფრულ უნარებში შემდეგი მიმართულებებით: 3D მოდელირება & TinkerCad, Corel draw, Front end development, Web Programming, პროგრამირება, დიზაინი&მართვა და ა.შ.

ჯამურად, 2021-2025 წლებში გადამზადდა 10 494 სპეციალისტი.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.3.3: ციფრული უნარების ტრენინგების მიმღებ მეწარმეთა რაოდენობაში იმ მეწარმეთა %-ული წილი, რომლებმაც მიიღეს საერთაშორისო სერთიფიკატი, რაც სამუშაოს მიღების წინაპირობას წარმოადგენს.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს პროგრამა - „Do IT with the EU“, რომელიც შედგება ორი კომპონენტისგან: სერტიფიცირება და დასაქმება.

2025 წლისთვის, “Do IT with the EU“ პროგრამის სერტიფიცირების კომპონენტის ფარგლებში, 32 კურსზე სწავლება წარმატებით დაასრულა 50-მა ჯგუფმა. ჩარიცხული 1,048 მონაწილიდან ტრენინგი წარმატებით გაიარა 887-მა, მათ შორის, 654-მა მიიღო საერთაშორისო სერტიფიცირების გამოცდის ვაუჩერი, ხოლო 579 გავიდა გამოცდაზე. მათგან 340-მა მონაწილემ მიიღო საერთაშორისო სერტიფიკატი.

- ✓ **აქტივობა 5.3.1: ICT ტრენინგების ჩატარება რეგიონებში, მათ შორის ფრონტ- ენდ დეველოპმენტში, სოციალურ მედია მენეჯმენტსა და ქოფირაითინგში, გრაფიკულ დიზაინში და სხვა**

საანგარიშო პერიოდში, ICT მიმართულებით განხორციელებულ კურსებზე (ფინანსური ტექნოლოგიების კვირეული, დრონების ვორქშოფი, DEV FEST ბათუმში და გურჯაანში, ტექნოლოგიური კვირეული "Innovate with Robots", WIX - ვებ საიტების შექმნის ტრენინგ კურსი და სხვ.) გადამზადდა 521 მონაწილე.

ჯამურად, 2023-2025 წლებში გადამზადდა 1920 ბენეფიციარი.

- ✓ **აქტივობა 5.3.3: უნივერსალური მომსახურების ამოქმედების კუთხით საკანომდებლო ცვლილების პროექტის მომზადება**

სატელეკომუნიკაციო უნივერსალური მომსახურების დანერგვის მიზნით, ევროპის ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსის (დირექტივა 2018/1972) საფუძველზე მომზადებულია საქართველოს კანონის პროექტი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე". უნივერსალური მომსახურების დანერგვის მიზანია უზრუნველყოს მოსახლეობისათვის სატელეკომუნიკაციო მომსახურებების ეკონომიკური და ფიზიკური ხელმისაწვდომობა.

- ✓ **აქტივობა 5.3.4: შენობის შიდა ფიზიკური ინფრასტრუქტურისა და შენობაში დაშვების ტექნიკური სპეციფიკაციების განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტის მომზადება**

დამტკიცებულია ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს

მთავრობის 2024 წლის 7 ოქტომბრის N337 და „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №257 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2024 წლის 7 ოქტომბრის N336 დადგენილებები.

- ✓ **აქტივობა 5.3.5: სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობის წესების პროექტის შემუშავება**

პროექტ „ლოგ-ინ ჯორჯიას“ ფარგლებში, „Grant Thornton“-ის ექსპერტების ჩართულობით, დასრულდა მუშაობა “ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების ხარჯების შემცირებისთვის საკანონმდებლო და ტექნიკური ჩარჩოს შემუშავების“ აქტივობების განხორციელებაზე, რომელიც ითვალისწინებს ფართოზოლოვანი ინტერნეტ ინფრასტრუქტურის, მათ შორის 5G ქსელების განვითარებისთვის და მშენებლობისათვის ნებართვების გამარტივების საკითხებს.

ამოცანა 5.4. ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.4.1: ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ინტერნეტ ქსელებით დაფარული დასახლებული პუნქტების რაოდენობა.

2025 წელს, განხორციელდა 115 დასახლებული პუნქტის ჩართვა. სულ, 2025 წლის მდგომარეობით, ჩართულია 390 დასახლებული პუნქტი. მიმდინარეობს მშენებლობა კიდევ 240 დასახლებულ პუნქტში. ამ ეტაპისთვის, დაშვების წერტილი მოწყობილია შემდეგ რეგიონებში: რაჭა, ლეჩხუმი, ჭიათურა-საჩხერე, ოზურგეთი, ქობულეთი-ხელვაჩაური, სამტრედია-ჩოხატაური, ზუგდიდი-ხობი, წყალტუბო-ვარციხე-ხონი, ჭიათურა-საჩხერე და აბაშა-სენაკი.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.4.2: ინტერნეტ ქსელებით დაფარული მაღალმთიანი რეგიონების დასახლებული პუნქტების (<200 მოსახლეობით) რაოდენობა (სათემო ინტერნეტიზაცია).

ფშავ-ხევსურეთში დაიგეგმა და განხორციელდა ოპტიკურ-ბოჭკოვანი გადამზღვევი ქსელის მშენებლობა, რომელმაც დააკავშირა მაღაროსკარის, ჩარგლის და ბარისახოს ანძები. აღნიშნულმა განაპირობა ქსელის მდგრადობისა და აბონენტებისთვის ინტერნეტის სიჩქარის ზრდა. ქსელის დაერთების შედეგად:

- სრულად გადაზღვეულია 3 ძირითადი დასახლებული პუნქტი, რომელიც ქმნის ქსელის ბიზნეს მდგრადობის გარანტიებს;
- თითქმის გაორმაგდა ინტერნეტის სიჩქარე;

- მოიმატა ინტერნეტის საცალო პაკეტების სიჩქარემ 4-5 მეგაბიტ/წამით.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.4.3: ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სოფლად აშენებული ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელების სიგრძე (კმ).

2025 წელს დასრულდა სამუშაოები 600 კმ მონაკვეთზე. პროექტის დასაწყისიდან, მშენებლობა უკვე დასრულებულია 1850 კმ მონაკვეთზე. მშენებლობა მიმდინარეობს დამატებით 1600 კმ მონაკვეთზე. დასრულებული და მიმდინარე მშენებლობების ჯამური მოცულობა შეადგენს 3450 კმ-ს.

✓ **აქტივობა 5.4.1: მაღალმთიან დასახლებებში სათემო ინტერნეტიზაციის ქსელის მშენებლობა**

ფშავ-ხევსურეთში დაიგეგმა და განხორციელდა ოპტიკურ-ბოჭკოვანი გადამზღვევი ქსელის მშენებლობა, რომელმაც დააკავშირა მაღაროსკარის, ჩარგლის და ბარისახოს ანძები. აღნიშნულმა განაპირობა ქსელის მდგრადობისა და აბონენტებისთვის ინტერნეტის სიჩქარის ზრდა. ქსელის დაერთების შედეგად:

- სრულად გადაზღვეულია 3 ძირითადი დასახლებული პუნქტი, რომელიც ქმნის ქსელის ბიზნეს მდგრადობის გარანტიებს;

- თითქმის გაორმაგდა ინტერნეტის სიჩქარე;

- მოიმატა ინტერნეტის საცალო პაკეტების სიჩქარემ 4-5 მეგაბიტ/წამით.

✓ **აქტივობა 5.4.2: საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, სამიზნე გეოგრაფიულ არეალებში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა**

მშენებლობა დასრულებულია შემდეგ მიმართულებებზე: რაჭა, ლეჩხუმი, ჭიათურა-საჩხერე, ოზურგეთი, ქობულეთი-ხელვაჩაური, სამტრედია-ჩოხატაური, ზუგდიდი-ხობი, წყალტუბო-ვარციხე-ხონი, ჭიათურა-საჩხერე და აბაშა-სენაკი. ამ ეტაპზე, პარალელურად მიმდინარეობს მშენებლობა ზესტაფონი-ხარაგაულის, ქედა-შუახევის, ჯვარი-მესტიის, შიდა ქართლის და ხულო-ახალციხე-ბორჯომის მიმართულებებზე. გამოცხადებულია ტენდერები ახალციხე-ახალქალაქი-წალკა და წალკა-მარნეული-თბილისის მიმართულებებზე.

ამოცანა 5.5 მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.5.1: მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების გადაწყვეტილი პრობლემები.

რეგულარულად ხორციელდება შეხვედრები მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების ასოციაციასთან, მათი პრობლემების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრაში დახმარების მიზნით.

2021-2025 წლებში, მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორებისთვის განხორციელდა მათი მხრიდან დასმული პრობლემური საკითხების გადაწყვეტა.

- ✓ **აქტივობა 5.5.1: მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორებთან შეხვედრების ჩატარება, მათ წინაშე არსებული პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით**

საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა შეხვედრები მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების ასოციაციასთან და მათ წევრებთან, მათ შორის, სახელმწიფო ინტერნეტიზაციის ფარგლებში აშენებული ქსელის გამოყენების საკითხებზე. დღეის მდგომარეობით, ოუფენ ნეტი ემსახურება 21 სატელეკომუნიკაციო ოპერატორს და გაცემული აქვს 233 სატელეკომუნიკაციო მომსახურება.

ასევე, მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით, დაიწყო საკონსულტაციო მომსახურება „საქართველოში უნივერსალური ფართოზოლოვანი წვდომის უზრუნველყოფისათვის საინვესტიციო საჭიროებების განსაზღვრა“. საკონსულტაციო მომსახურების მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში უნივერსალური წვდომის უზრუნველყოფას მაღალსიჩქარიან ფართოზოლოვან ინტერნეტზე. აღნიშნულის მიზნით, მიმდინარეობს ქვეყნის მასშტაბით არსებული ფართოზოლოვანი ქსელების (Next Generation Networks) დაფარვის არეალის კვლევა და მისი ვიზუალიზაცია GIS რუკების საშუალებით, წვდომის ხარვეზების იდენტიფიცირება ეროვნული სამიზნე მაჩვენებლების შესაბამისად, ასევე, ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების მიზნით, შესაბამისი საჭიროებების განსაზღვრა როგორც შუა, ისე ბოლო მილის დონეზე. პროექტი ითვალისწინებს შესაბამისი ტექნოლოგიური და საკანონმდებლო გადაწყვეტილებების მომზადებას, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკისა და ევროკავშირის სახელმწიფო დახმარების წესების ანალიზს, რათა შემუშავდეს ბიზნეს და დაფინანსების მოდელები, რომლებიც წაახალისებს კერძო ინვესტიციებს და ხელს შეუწყობს ფართოზოლოვანი ინტერნეტ ქსელების დაფარვის ზრდას ქვეყნის მასშტაბით. ექსპერტების მიერ განხორციელდა შეხვედრები საჯარო და კერძო სექტორთან, მომზადდა შესაბამისი კითხვარები.

2024 წელს, სამინისტროს მონაწილეობით, ქ. თელავში და ციხისძირში (ქობულეთის მუნიციპალიტეტი) გაიმართა მცირე და მიკრო სატელეკომუნიკაციო კომპანიების შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც განხილული იქნა კომპანიების წინაშე მდგარი გამოწვევები და სამომავლო გეგმები. შეხვედრაზე დამსწრეებს მიეწოდათ ინფორმაცია სახელმწიფო ინტერნეტიზაციის პროექტის ფარგლებში აშენებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის და მისი განვითარების სამომავლო გეგმების შესახებ. ასევე, განხორციელდა კომპანიებთან შეხვედრები და მათი ჩართვა ევროკავშირის მხარდაჭერით დაწყებულ პროექტზე - „სოფლის გაძლიერება ციფრული ჩართულობის

გზით“ (REDI), რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს სოფლებსა და ქალაქებს შორის ციფრული განვითარების კუთხით არსებული უთანასწორობის დაძლევის ხელშეწყობას, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ციფრული წიგნიერების ამაღლების გზით. გაიმართა რამდენიმე შეხვედრა.

2023-2025 წლებში, მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორებთან, ჯამურად, გაიმართა 6 შეხვედრა.

ამოცანა 5.6. კვლევასა და ინდუსტრიას შორის კავშირების გაღრმავება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.6.1: ტექნოლოგიური გადაცემების პროექტების რაოდენობა, რომელიც კომერციალიზაციის ეტაპზე გადავიდა.

განხორციელდა ქართული სამეცნიერო პროექტების კომერციალიზაციის მხარდაჭერის ღონისძიებები. ჯამურად, 2025 წლისთვის საბოლოო კომერციალიზაციისთვის შერჩეულია 13 კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე პროექტი.

- ✓ **აქტივობა 5.6.1: ქართული სამეცნიერო პროექტების კომერციალიზაციის მხარდაჭერა**

„ტექნოლოგიების გადაცემის პროგრამის” ფარგლებში, პროგრამის დაწყებიდან დღემდე, კომერციალიზაციისთვის შერჩეულია 13 პროექტი, რომლებზეც აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა. აღნიშნული პროექტებიდან აღსანიშნავია პროექტი - „ფიტოტესტერი". კერძოდ, 2025 წლის ივნისში აღნიშნული პროექტის გამომგონებელი, თავისი ტექნოლოგიისა და ხელსაწყოს გამოცდის მიზნით, პროგრამის გუნდთან ერთად, დანიაში გაემგზავრა, სადაც წარმატებით განხორციელდა მისი ინოვაციური ხელსაწყოს გამოცდა და ვალიდაცია სხვადასხვა ადგილობრივ ფერმერთან, სასათბურე მეურნეობებთან და აგრო-ბიზნესის წარმომადგენლებთან.

ასევე, 2025 წლის იანვარში, სააგენტომ 6 ახალი განაცხადი მიიღო პროგრამის ახალი რაუნდის ფარგლებში.

ჯამურად, 2025 წლისთვის, საბოლოო კომერციალიზაციისთვის შერჩეულია 13 კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე პროექტი.

პრიორიტეტი 6. ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა

ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის **მიზანს წარმოადგენს** მცირე და საშუალო მეწარმე ქალთა ზრდა/განვითარება გლობალური კონკურენციის გათვალისწინებით. აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში განსაზღვრული ამოცანების შესრულება და დასახული მიზნის მიღწევის **გავლენის მაჩვენებელია** - მოქმედ ბიზნეს სუბიექტებში დამფუძნებელ ქალ-მეწარმეთა წილი.

საქსტატის მონაცემების თანახმად, 2025 წლის ბოლოსთვის, მოქმედი ბიზნეს სუბიექტების პროცენტული წილი, რომელშიც ფიგურირებს ქალი დამფუძნებელი, 33%-ს შეადგენს (სულ 281,071 საწარმო, დამფუძნებელი ქალების რაოდენობა 91,406). 2020 წლიდან ყოველწლიურად მზარდია აღნიშნული მონაცემი. კერძოდ, 2021-2025 წლებში, ქალი დამფუძნებლების საშუალო წლიურმა ზრდამ 10% შეადგინა. აღსანიშნავია საანგარიშო წლის ზრდის მონაცემი, კერძოდ, 2025 წლის ბოლოსთვის ქალი დამფუძნებლების რაოდენობა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 19.6%-ით (16 062) არის გაზრდილი (2020 – 61,055, 2021 – 63,779; 2022 – 71,347; 2023 – 76,944: 2024 – 81,870).

აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში, ქალთა სამეწარმეო პოტენციალის ზრდისა და ქალ მეწარმეთა ხელშეწყობის მიმართულებით მთელი რიგი მხარდამჭერი ღონისძიებები და მიზნობრივი პროგრამები განხორციელდა.

მეექვსე პრიორიტეტული მიმართულება - ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა - აერთიანებს 5 ამოცანას და 15 აქტივობას.

ამოცანა 6.1. „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპების" (WEPS) პოპულარიზაცია

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.1.1: საინფორმაციო სესიების რაოდენობა.

ქალ მეწარმეთა მხარდაჭერისა და ეკონომიკური გაძლიერების მიზნით, საანგარიშო წელს, „აწარმოე საქართველოში" სააგენტოს მიერ, სხვადასხვა დონორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, განხორციელდა 17 საინფორმაციო სესია (810 მონაწილე), ასევე, ფორუმი - Ring the Bell: AI AND GENDER EQUALITY: A FAIR FUTURE FOR ALL. (4 სესია, 71 მონაწილე) და მრგვალი მაგიდის დისკუსია - Women in IT Sector, რომლის ფარგლებშიც 24-მა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა.

2021-2024 წლებში, ჯამში, განხორციელდა 50 საინფორმაციო სესია.

ამოცანის ინდიკატორი 6.1.2: ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი, რომელიც

ადასტურებს რომ ტრენინგის შედეგად მიღებული ცოდნა დაეხმარება მათ ხელი შეუწყონ თავიანთ საქმიანობაში გენდერულ თანასწორობის საკითხებთან მიმართებით.

2025 წელს დატრენინგებული 80 კომპანიის წარმომადგენელების 98% ადასტურებს, რომ ტრენინგებმა ხელი შეუწყო მათ საქმიანობაში გენდერული თანასწორობის მიმართულებით შესაბამისი სტანდარტების დანერგვის პროცესს.

✓ აქტივობა 6.1.1: ქალ მეწარმეებთან შეხვედრები „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით

2025 წლის საანგარიშო პერიოდში, ქალ მეწარმეებთან გაიმართა 17 შეხვედრა. აღნიშნულ შეხვედრებს ჯამში დაესწრო 810 მეწარმე.

ჯამურად, 2023-2025 წლებში ჩატარდა 29 შეხვედრა.

შეხვედრები/ღონისძიებები გაიმართა შემდეგი მიმართულებებით:

- „დაფინანსების გაუმჯობესება საერთაშორისო ვაჭრობაში“ – საერთაშორისო სავაჭრო პალატისა და აზიის განვითარების ბანკის პარტნიორობით, სემინარები გაიმართა ქალაქ თბილისსა და დაბა კაჭრეთში;
- საინფორმაციო შეხვედრა ქალებისთვის „ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოში“;
- მეწარმე ქალთა საბჭო საქართველოში (დაესწრო 40-მდე ქართველი და აზერბაიჯანელი ქალი მეწარმე);
- ტერა ბანკის ქალ მეწარმეებთან შეხვედრა (200-მდე ქალი მეწარმე);
- მეწარმე ქალთა მე-5 ბიზნეს ფორუმი (200-მდე ქალი მეწარმე);
- ფედერაციის „ქალები მომავლისთვის“ მიერ ორგანიზებული 2 ონლაინ სესია ქალ მეწარმეებთან - გლობალური 16 დღიანი კამპანია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდე ფარგლებში. ღონისძიებებს, ჯამში, ესწრებოდა 100-მდე ქალი მეწარმე.

ასევე, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, გაიმართა შემდეგი შეხვედრები:

- შეხვედრა ქალ მეწარმეებთან სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულ საკონსულტაციო ცენტრში - დაესწრო 19 ქალი მეწარმე;
- შეხვედრა ბათუმის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით აჭარის რეგიონულ საკონსულტაციო ცენტრში - 17 ქალი მეწარმე;

- შეხვედრა თელავის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით კახეთის რეგიონულ საკონსულტაციო ცენტრში - 19 ქალი მეწარმე;
- შეხვედრა ახმეტაში 19 ქალ მეწარმესთან, KRDF-თან თანამშრომლობით.

✓ **აქტივობა 6.1.2: ქალთა გაძლიერების პრინციპებთან დაკავშირებით საინფორმაციო სესიების ორგანიზება კომპანიების წარმომადგენლებისთვის**

2025 წელს, ჩატარდა ფორუმი - Ring the Bell: AI AND GENDER EQUALITY: A FAIR FUTURE FOR ALL. ღონისძიება შედგებოდა 4 სესიისაგან და დაესწრო 71 მონაწილე, მათ შორის, 90% ქალი. კონფერეციის სპიკერები იყვნენ ქალები კერძო სექტორიდან. ქალთა გაძლიერების პრინციპებთან დაკავშირებით, Target Gender Equality აქსელერაციის პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა 12 ტრენინგი/სესია. ასევე, გაიმართა მრგვალი მაგიდის დისკუსია - Women in IT Sector, რომლის ფარგლებშიც 24 კომპანიამ მიიღო მონაწილეობა.

ჯამურად, 2023-2025 წლებში ჩატარდა 33 ტრენინგი/სესია, მათ შორის, შემდეგ თემატიკაზე:

- ,,ინვესტირება ქალებში: გენდერულად პასუხისმგებლიანი დაფინანსება";
- „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება – სოფლად არსებული შესაძლებლობები“;
- „ქალებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოში“;
- „გენდერულად პასუხისმგებლიანი შესყიდვები“ და სხვ.

✓ **აქტივობა 6.1.4: ქალი მეწარმეებისთვის ინფორმაციის მიწოდება/ შეხვედრების ჩატარება საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებთან/ბიზნეს ფორუმებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდების მიზნით და მათში მონაწილეობის ხელშეწყობა**

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა აქტიურად არის წარმოდგენილი როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო დონეზე. პალატა, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების მიზნით, შეხვედრების ფარგლებში რეგულარულად აწვდის ქართულ კომპანიებს, მათ შორის, ქალი მეწარმის მფლობელობაში არსებულ ბიზნესებს ინფორმაციას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაგეგმილი მნიშვნელოვანი ბიზნეს ღონისძიებების/ბიზნეს ფორუმების თაობაზე. პალატა, ასევე, უზრუნველყოფს ქალი მეწარმეების მონაწილეობას ბიზნეს ფორუმებში. გარდა ამისა, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა აქტიურად ახორციელებს საზღვარგარეთ დაგეგმილ გამოფენებთან დაკავშირებით მეწარმეთა, მათ შორის, ქალ მეწარმეთა ინფორმირებას, როგორც ელ-ფოსტით, ასევე, სხვა ონლაინ სერვისების და პალატის ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებით.

საანგარიშო პერიოდში, სომხეთსა და უზბეკეთში მოეწყო მასშტაბური ბიზნეს ფორუმი საქართველო-სომხეთისა და საქართველო-უზბეკეთის ბიზნეს წრეებს შორის. ასევე, მოეწყო საქართველოსა და ჩინეთს, საქართველოსა და თურქეთს შორის ბიზნეს ფორუმი თბილისში, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს ქართული ბიზნესის წარმომადგენლებმა, მათ შორის, მეწარმე ქალებმა. გარდა ამისა, სავაჭრო პალატის მიერ გავრცელებული იქნა ინფორმაცია სხვადასხვა გამოფენის შესახებ, მათ შორის, თბილისში უზბეკური პროდუქციის სამდღიანი გამოფენის - „Made in Uzbekistan“ შესახებ, რომელიც გაიმართა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მხარდაჭერით. აღნიშნულ გამოფენაში ქართულ ბიზნესებს, მათ შორის ქალ მეწარმეებს, ჰქონდათ შესაძლებლობა, დაემყარებინათ მჭიდრო პარტნიორული კავშირები უზბეკეთის ბიზნეს სექტორთან.

2023-2024 წლებში, ასევე, აქტიურად ხორციელდებოდა შეხვედრები ქალ მეწარმეებთან საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებთან/ბიზნეს ფორუმებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდების და მათში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით. მოეწყო 8 ბიზნეს ფორუმი არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან, სლოვენიასთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, თურქმენეთთან, ჩეხეთთან, უზბეკეთთან და უნგრეთთან.

ამოცანა 6.2. გენდერული ნიშნით სტატისტიკის გაუმჯობესება სახელმწიფო პროგრამებში

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.2.1: სახელმწიფო პროგრამების სტატისტიკა წარმოდგენილია გენდერული ნიშნით.

გენდერული ნიშნით სტატისტიკა იწარმოება სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ ყველა ძირითად პროგრამაზე (7 პროგრამა) და სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მიერ განხორციელებულ 5 პროგრამაში, ჯამში 12 პროგრამაში.

ამოცანა 6.3. სახელმწიფო პროგრამებში ქალთა მონაწილეობის წახალისება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.3.1: „მიკრო გრანტების” სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ქალების წილი.

2025 წელს, „მიკრომეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში დამტკიცებული 1188 სესხიდან 750 - 63% გაცემულია ქალ მეწარმეებზე.

- ✓ **აქტივობა 6.3.1: მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება და მასში ქალ მეწარმეთა პრიორიტეტიზირება**

2025 წელს, მიკრომეწარმეობის მხარდაჭერის ახალი პროგრამის ფარგლებში

დამტკიცებულია 1217 სესხი, მათ შორის, 766 სესხი (63%) გაცემულია ქალ მეწარმეებზე. აღნიშნულმა პროგრამამ (მთავრობის დადგენილება N229, 12.07.2024) 2024 წელს ჩაანაცვლა პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილი, რომლის მსგავსად, მიკრომეწარმეობის მხარდაჭერის ახალი პროგრამაც ითვალისწინებს მეწარმე ქალთა პრიორიტეტიზაციას. კერძოდ, პროგრამის მიხედვით, განსაზღვრულია რამდენიმე კრიტერიუმი, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში სესხის სუბსიდირების მიმართულებით დამატებითი შეღავათია განსაზღვრული (ბანკის მიერ პირველი ტრანშის გაცემის მომენტიდან დარიცხული 5 წლის საპროცენტო განაკვეთის სრული ოდენობის სუბსიდირება).

2023 წელს, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის ფარგლებში მხარდაჭერილია 569 ქალი ბენეფიციარი (ბენეფიციარების 50%).

- ✓ **აქტივობა 6.3.3: ქალებისთვის საინფორმაციო სესიების ორგანიზება ინოვაციებსა და ტექნოლოგიების მიმართულებით არსებულ პროგრამებში მონაწილეობის წახალისების მიზნით**

საანგარიშო პერიოდში, სააგენტოს მხარდაჭერით განხორციელდა AI კვირეული მეწარმე ქალებისა და მოსწავლე გოგონებისთვის, რომლის ფარგლებშიც, 30-მა ქალმა ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით აიმაღლა კვალიფიკაცია. ასევე, კასპის ტექნოპარკის ორგანიზებით ჩატარდა "STEAM Girls კვირეული", რომლის ფარგლებშიც მონაწილეობა მიიღო 52-მა გოგონამ.

მიზნობრივი ღონისძიებები, ასევე, განხორციელდა 2023-2024 წლებში. კერძოდ, ქალთა დასაქმებისა და მათი შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით, ტექნოპარკების ბაზაზე განხორციელდა რიგი ღონისძიებები, მათ შორის, საინფორმაციო სესიები და პროექტები, კერძოდ:

- კახეთის რეგიონის ტექნოპარკებში პროექტი - STEAM გოგონები, რომელშიც ჩაერთო 102 გოგონა; ისინი გადამზადდნენ მეწარმეობისა და ელექტრონიკის მიმართულებით და იმუშავეს პრობლემების ტექნოლოგიური გადაწყვეტის გზებზე;
- ქალთა პროფესიული გადამზადების პროგრამა. პროექტში ჩართულები იყვნენ ახალგაზრდა დედები (5 ქალი), რომელთაც ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი შვილები (ახმეტის ტექნოპარკი).
- პროექტი „STEAM გოგონები 2“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 18-მა ბენეფიციარმა მაღრაანიდან და პანკისის ხეობიდან (ახმეტის ტექნოპარკი).
- STEAM ლაბის ვორქშოფი გოგონებისთვის, რომელიც მიზნად ისახავს გაზარდოს საზოგადოების ინტერესი მეცნიერებისა და STEAM განათლებისადმი; პროექტში ჩაერთო 9 გოგონა (ახმეტის ტექნოპარკი).

- STEAM ლაბის ვორქშოფი პედაგოგებისთვის, რომელთაც პროგრამის ტრენერებთან იმუშავეს STEAM განათლების გზამკვლევის ფორმატის მომზადებაზე; პროექტში ჩაერთო 15 პედაგოგი ქალი.
- პროექტის ,,ახალგაზრდული ინოვაციური ქსელი" ფარგლებში, ჩატარდა პროგრამირება
- პითონის კურსი გოგონებისთვის, სადაც ჩაერთო 12 გოგონა (ახმეტის ტექნოპარკი).
- ხელოვნური ინტელექტის კვირეული მეწარმე ქალებისა და მოსწავლე გოგონებისათვის, რომელიც მიზნად ისახავდა ბენეფიციართათვის ხელოვნური ინტელექტის ხელსაწყოების გამოყენების ათვისებისა და ყოველდღიურ საქმიანობაში თანამედროვე ტექნოლოგიების მეტად ინტეგრაციის სწავლებას. პროექტში ჩაერთო 25 ქალი.
- კასპის ტექნოპარკში საინფორმაციო სესია ქალებისთვის თემაზე - „ეფექტური პრეზენტაცია“, რომელსაც დაესწრო 16 ქალი.
- ახმეტის ტექნოპარკში განხორციელებული პროექტი „გოგონები ტექნოლოგიებში“. პროექტს ჰყავდა 52 ბენეფიციარი.

ამოცანა 6.4. ქალებში ციფრული უნარ-ჩვევების გაძლიერება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.4.1: ქალ-მეწარმეთა რაოდენობა ციფრულ უნარებთან დაკავშირებულ ტრენინგებში.

სავაჭრო-სამრეწველო პალატა საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად არაერთ პროექტს ახორციელებს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობისათვის საქართველოში, მათ შორის, ქალი მეწარმეებისთვის ტარდება საჭიროებებზე მორგებული, სხვადასხვა მიმართულების ტრენინგები თბილისსა და რეგიონებში.

2025 წელს, პალატის ორგანიზებით დატრენინგდა 155 მეწარმე ქალი ელექტრონული კომერციის, მარკეტინგის, ციფრული მარკეტინგის, გაყიდვების მიმართულებით. ასევე, სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ“ განხორციელდა მიზნობრივი აქტივობები ქალ-მეწარმეთა ციფრულ/ტექნოლოგიურ უნარებში გადამზადების მიმართულებიტ (ტექნო-პარკები, ტექნოლოგიური ბანაკები და ა.შ.). გადამზადდა 690 ქალი ბენეფიციარი.

ჯამურად, 2021-2025 წლებში ციფრულ უნარებთან დაკავშირებით გადამზადებულია 2400-მდე ქალი მეწარმე.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.4.2: ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი, რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი ციფრული უნარები დაეხმარება ბიზნეს საქმიანობის გაუმჯობესებაში.

ტრენინგის მონაწილეებთან ჩატარებული უკუკავშირის საფუძველზე გამოვლინდა, რომ მონაწილეთა 95% თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი ციფრული უნარები დაეხმარება მათ ბიზნეს/ტექნოლოგიური მიმართულებით საქმიანობის გაუმჯობესებაში.

ამოცანა 6.5. სახელმწიფო სტრუქტურების შესაძლებლობების გაზრდა გენდერული მიდგომების განვითარებისთვის

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.5.1: გენდერული მიდგომების განვითარებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა.

2021-2025 წლებში, სააგენტოების „აწარმოე საქართველოში“, „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, გენდერული მიდგომების განვითარების მიმართულებით, ჯამურად, 21 ტრენინგი ჩატარდა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.5.2: ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი. რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი უნარები სასარგებლო იქნება მათ საქმიანობაში გენდერზე დაფუძნებული მიდგომის თვალსაზრისით.

ტრენინგის მონაწილეთა 80% აცხადებს, რომ ტრენინგზე მიღებული ცოდნა/უნარები სასარგებლო იქნება მათ საქმიანობაში.

- ✓ **აქტივობა 6.5.1: სსიპ „აწარმოე საქართველოში“ თანამშრომელთა გადამზადება გენდერულ თანასწორობაზე, გენდერული კუთხის გათვალისწინებით პროგრამების ორგანიზებასა და ანალიზის საკითხებში**

საანგარიშო პერიოდში, გენდერულ საკითხებში გადამზადებულია სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს 8 თანამშრომელი.

2023-2025 წლებში, ჯამურად, სხვადასხვა ტრენინგის ფარგლებში გადამზადებულია სააგენტოს 30 თანამშრომელი.

- ✓ **აქტივობა 6.5.2: სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ სისტემაში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის ეფექტიანი მუშაობის მიზნით თანამშრომელთა გადამზადება**

UN Women-თან პარტნიორობით საანგარიშო პერიოდში სააგენტოს 33 თანამშრომელი დატრენინგდა გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის ფორმირებისა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით.

თანამშრომელთა გადამზადება გენდერულ საკითხებში, ასევე, განხორციელდა 2023-2025 წლებში, მათ შორის, გენდერული ბიუჯეტირების მიმართულებით. ასევე, ჩატარდა სამუშაო

შეხვედრა/ტრენინგი სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოში გენდერული მეინსტრიმინგის ხელშეწყობა“,

ჯამურად, 2023-2025 წლებში სააგენტოს მიერ გადამზადდა 78 თანამშრომელი.

პრიორიტეტი 7. მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის **მიზანს** მცირე და საშუალო საწარმოთა მწვანე ეკონომიკაში ჩართულობის ხელშეწყობა **წარმოადგენს**. აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში განსაზღვრული ამოცანების შესრულება და დასახული მიზნის მიღწევის **გავლენის მაჩვენებელია** - OECD "SME Policy Index" კვლევაში „მწვანე ეკონომიკაში მცირე და საშუალო მეწარმეები" ინდიკატორში საქართველოს შეფასების შენარჩუნება/გაუმჯობესება.

საგულისხმოა, რომ OECD-ის **„**SME Policy Index 2024" კვლევაში, ინდიკატორში „მწვანე ეკონომიკა" საქართველოს შეფასება 2020 წლის რეიტინგთან შედარებით გაუმჯობესდა და 3.08 ქულა შეადგინა. საგულისხმოა, რომ მიუხედავად პროგრესისა, მწვანე ეკონომიკის მიმართულებით არსებობს გამოწვევები და შემდგომი გაუმჯობესების მნიშვნელოვანი პოტენციალი.

სტრატეგიაში „მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის" ცალკე პრიორიტეტულ მიმართულებად გამოყოფა, ითვალისწინებს მნიშვნელოვანი ამოცანებისა და მთელი რიგი მიზნობრივი, შედეგზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებას.

მეშვიდე პრიორიტეტული მიმართულება - მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - აერთიანებს 6 ამოცანას და 16 აქტივობას.

ამოცანა 7.1. მწვანე ზრდის სტრატეგიის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.1.1: მწვანე ზრდის 2022-2027 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

ქვეყანაში მწვანე ზრდის, როგორც ზრდის ახალი წყაროს, ხელშეწყობა თანდათან იზრდება და სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. საქართველოში, ბოლო წლების განმავლობაში, სამეწარმეო საქმიანობაში ეტაპობრივად დაიწყო გარემოსადმი მეგობრული ქმედებების დანერგვა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკაში მწვანე ზრდის მიმართულებების გაძლიერებას და გარემოსდაცვითი სტანდარტების განვითარებას. ამ ეტაპზე, ფართოდ არის დანერგილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) მექანიზმი, ასევე, მოქმედებს საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსით განსაზღვრული „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება" (მგვ). მწვანე მიმართულებით საკანონმდებლო ჩარჩო ეტაპობრივად უახლოვდება ევროკავშირის სამართლებრივ ჩარჩოს, მათ შორის, დამტკიცდა საქართველოს კანონები - „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ", „ენერგოეფექტურობის შესახებ", „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ".

აღნიშნული ნაბიჯები და შემდგომი პროგრესული რეფორმები ეტაპობრივად უზრუნველყოფს მწვანე ზრდის ხელშეწყობას და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვით ეკონომიკის მდგრად განვითარებას. ამ მიმართულებით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მწვანე ზრდის სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელზე მუშაობაც მიმდინარეობდა მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით.

- ✓ **აქტივობა 7.1.1: მწვანე ზრდის 2024-2029 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება**

მწვანე ეკონომიკის განვითარება მთავრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, 2022 წლის ბოლოს, ინიცირებული იქნა მწვანე ზრდის სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი. ჩამოყალიბდა მწვანე ზრდის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის უწყებათაშორისი საბჭო და სამუშაო ჯგუფი (მთავრობის განკარგულება N627, 3.04.2023), ხოლო საქართველოს მწვანე ზრდის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის უწყებათაშორისი საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 11 აპრილს შეიქმნა საქართველოს მწვანე ზრდის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის სამუშაო ჯგუფი. ჩატარდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. სტრატეგიის შემუშავების პროცესი მიმდინარეობდა მსოფლიო ბანკთან და საერთაშორისო ექსპერტებთან თანამშრომლობით.

პირველ (მოსამზადებელ) ეტაპზე, მსოფლიო ბანკის მიერ დაქირავებულმა ადგილობრივმა ექსპერტმა მოახდინა იმ ნორმატიული ჩარჩოს იდენტიფიცირება, რომელიც მოქმედია ქვეყანაში. აღნიშნული გათვალისწინებული იქნა მწვანე ზრდის სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში. მომდევნო ეტაპზე, მსოფლიო ბანკის შიდა პროცედურების შესაბამისად, შეირჩა საერთაშორისო ექსპერტი, რომელიც უშუალოდ ჩართული იყო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.

საერთაშორისო ექსპერტის მიერ მომზადებული პირველადი დოკუმენტის პროექტი შენიშვნებისა და კომენტარებისათვის დაეგზავნა მწვანე ზრდის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის სამუშაო ჯგუფის წევრებს, რომელთაგან მიღებული კომენტარები ექსპერტის მიერ გათვალისწინებული იქნა სტრატეგიის პროექტში.

ამ ეტაპზე სტრატეგიაზე მომუშავე ექსპერტის მიერ წარმოდგენილია სტრატეგიის დოკუმენტის საბოლოო ვერსია, რომელშიც ასახულია უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის წევრების შენიშვნები და წინადადებები.

ამოცანა 7.2. ეკო-ინოვაციის[24] მიდგომის პოპულარიზაცია

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.2.1: კომპანიათა რაოდენობა, რომელთანაც შედგა საინფორმაციო შეხვედრები.

2025 წელს ჩატარდა 5 საინფორმაციო სესია რეგიონებში: ზუგდიდი, ბათუმი, რუსთავი, თელავი, მცხეთაში ჯამში 135 მსმენელი. მსმენელებს ჩაუტარდათ მდგრადობის პრიციპებზე საინფორმაციო სეისები, ისევე როგორც შინაროსბირივი ტრენინგები გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მიმართულებით. ჯამში, შეხვედრებში 115-მა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა.

2021-2024 წლებში, ასევე, ინტენსიურად მიმდინარეობდა საინფორმაციო სესიები კომპანიების აქტიური მონაწილეობით, კერძოდ, ჩატარდა:

- ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ფორუმი "ჯანსაღი ქალაქი - მწვანე, ეკოლოგიურად სუფთა გარემო, მოქნილი და მდგრადი ურბანული განვითარება", ორგანიზებული თბილისის მერიის მიერ;

- Climate Ambition Accelerator-ის 5 სესია, რომელსაც დაესწრო 7 კომპანია;

- SME სექტორში ეკო ინოვაციური მიდგომების პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის ჭრილში - 8 შეხვედრა/სესია, რომელშიც 156-მა ბიზნესმა მიიღო მონაწილეობა.

- მდგრადი განვითარების მიზნების ხელშეწყობისადმი მიძღვნილი ორ დღიანი სამუშაო შეხვედრა. ღონისძიება მოიცავდა როგორც მრგვალი მაგიდის ფორმატს, ასევე, პანელურ დისკუსიას. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ჯამში 50-მდე მცირე და საშუალო კომპანიამ. დისკუსიები შეეხო მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში ეკო-ინოვაციური მიდგომის პოპულარიზაციას, ხელშეწყობას და სამომავლო გეგმებზე მსჯელობას;

- 4 სამუშაო შეხვედრა, რომელშიც 31 კომპანიის წარმომადგენელი მონაწილეობდა;

- პარტნიორობის ფორუმი, რომელშიც მონაწილეობა 40-ზე მეტმა ბიზნესმა მიიღო;

- ეკო-ინოვაციური მიდგომების პოპულარიზაციის მიმართულებით, საინფორმაციო სესიები 106-მა კომპანიასთან.

ჯამურად, სესიებში 800-მდე კომპანია მონაწილეობდა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.2.2: მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობა, რომელშიც ეკო-ინოვაციური მიდგომა დანერგილია.

2021-2025 წლებში, კომპანიების აქტიური მონაწილეობით, ინტენსიურად მიმდინარეობდა საინფორმაციო სესიები/ტრენინგები მდგრადობის პრიციპებზე. სესიები/ტრენინგები ეხებოდა მათ შორის, მდგრადი განვითარების მიზნების, ESG (გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მიმართულება) პრინციპების, ეკო-ინოვაციური მიდგომების პოპულარიზაციას.

2025 წლისთვის, ეკო-ინოვაციური მიდგომა დანერგილია 40-მდე კომპანიაში.

- ✓ **აქტივობა 7.2.1: მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში ეკო-ინოვაციური მიდგომის პოპულარიზაციის მიზნით საინფორმაციო სესიების ორგანიზება კომპანიების, საჯარო სექტორისა და ბიზნეს ასოციაციებისთვის**

საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა მდგრადი განვითარების მიზნების ხელშეწყობისადმი მიძღვნილი 5 საინფორმაციო სესია, ხოლო რეგიონებში, მდგრად დაფინანსებასთან და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებით, ჩატარდა 3 შეხვედრა.

შეხვედრებზე დისკუსიები შეეხო მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში ეკო-ინოვაციური მიდგომის პოპულარიზაციას, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) მიმართულებების მნიშვნელობას მდგრადი დაფინანსებისთვის. საინფორმაციო სესიებს დაესწრო 102 მონაწილე და 85 კომპანია, ხოლო რეგიონებში ჩატარებულ შეხვედრებს - 87 მონაწილე და 75 კომპანია.

ასევე, ქ. ბათუმში, მსოფლიო ბანკთან და ADB-თან თანამშრომლობით გაიმართა მწვანე დაფინანსება, ენერგო ეფექტური მომავლის ფორუმი, რომელიც 4 სესიისგან შედგებოდა. აღნიშნულ ფორუმს 71 კომპანია დაესწრო.

2025 წელს, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში ეკო-ინოვაციური მიდგომის პოპულარიზაციის მიზნით, კომპანიების, საჯარო სექტორისა და ბიზნეს ასოციაციებისთვის გაიმართა 2 საინფორმაციო სესია.

ჯამურად, 2023-2025 წლებში გაიმართა 29 საინფორმაციო სესია.

ამოცანა 7.3. მწვანე დაფინანსების განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.3.1: „მწვანე" ფინანსური პროდუქტების არსებობა.

მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანია იმგვარი რეფორმების

გატარება, რომლებიც ხელს შეუწყობენ ფინანსური რესურსების მწვანე, სტაბილური და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის მობილიზებას. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ფინანსურ სისტემას აკისრია, რადგან მდგრადი განვითარება არ არსებობს მდგრადი დაფინანსების გარეშე - იქნება ეს საჯარო თუ კერძო.

ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია ცენტრალური ბანკების პოლიტიკაში გარემოსდაცვითი, სოციალური და სხვა მდგრადი განვითარების საკითხების გათვალისწინება. საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც ქვეყნის ცენტრალური ბანკი, ქვეყნის მდგრად განვითარებაში ფინანსური სექტორის როლის გაძლიერებას უწყობს ხელს და ამ მიზნით მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს ავითარებს. ეს ჩარჩო ფინანსური სექტორის მონაწილეების მიერ ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების გათვალისწინებას, ESG საკითხებთან დაკავშირებული რისკების მართვასა და ფინანსური ნაკადების ისეთი პროექტებისკენ მიმართვას გულისხმობს, რომლებსაც დადებითი გარემოსდაცვითი ან/და სოციალური ეფექტი გააჩნიათ. ყოველივე ეს ხელს უწყობს გრძელვადიან ეკონომიკურ მდგრადობას, ფინანსურ სტაბილურობასა და პირდაპირ კავშირშია „მწვანე" ფინანსური პროდუქტების შექმნასთან.

2025 წელს, ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნდა ანგარიში „მდგრადი დაფინანსება საქართველოში", რომელშიც მოცემულია მდგრადი დაფინანსების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები, მათ შორის „მწვანე" ფინანსური პროდუქტების მიმართულებით არსებული სტატისტიკა.[23]

2024 წელს, ტაქსონომიასთან შესაბამისი მწვანე საფინანსო პროდუქტების (სესხების, მწვანე აკრედიტივებისა და გარანტიების ჩათვლით) მთლიანმა მოცულობამ დაახლოებით 473 მილიონი ლარი (169 მილიონი აშშ დოლარი) შეადგინა. რაც შეეხება მხოლოდ სესხებს, ბანკებმა 2024 წელს დაახლოებით 309 მილიონი ლარის ტაქსონომიასთან შესაბამისი მწვანე სესხი გასცეს. წინა წელთან შედარებით დაფიქსირებული კლება ძირითადად მეთოდოლოგიურ ცვლილებას უკავშირდება, რადგან 2024 წლისთვის მხოლოდ ტაქსონომიასთან შესაბამისი მწვანე სესხების გამჟღავნება იყო დაშვებული. 2024 წელს გაცემული მწვანე სესხების ძირითადი ნაწილი კვლავ აშშ დოლარში იყო დენომინირებული. 2024 წელს გაცემულ საერთო სესხებში მწვანე სესხების წილი 1%-ს შეადგენდა. აღნიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 0.8 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული, რაც კვლავ მეთოდოლოგიურ ცვლილებას უკავშირდება. იმ ბანკებს შორის, რომლებმაც მწვანე სესხების მონაცემები წარმოადგინეს, 2024 წელს გაცემულ საერთო სესხებში მწვანე სესხების წილი საშუალოდ 0.3% იყო, ხოლო ცალკეულ ინსტიტუტებში ეს მაჩვენებელი 0.1%-დან 4.5%-მდე მერყეობდა.

[23] წყარო: მდგრადი დაფინანსების ანგარიში 2025: https://nbg.gov.ge/page/mdgradi-dapinansebis-angarishi

2023 წელს გაცემული მწვანე სესხების მოცულობამ 843 მილიონი ლარი შეადგინა (313 მლნ აშშ დოლარი). გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, ეს 2022 წელს გაცემული მწვანე სესხების მოცულობასთან შედარებით 73%-იან ზრდას წარმოადგენს (2022 წელს 17%-იან ზრდასთან შედარებით). 2023 წელს გაცემული მწვანე სესხების უმეტესი ნაწილი კვლავ აშშ დოლარშია დენომინირებული. მწვანე სესხების წილი 2023 წელს გაცემულ მთლიან სესხებში 1.8%-ს შეადგენდა, რაც წინა წლის მონაცემს 0.6 პროცენტული პუნქტით აღემატება. იმ ბანკებისთვის, რომლებმაც მწვანე სესხების შესახებ ინფორმაცია გაამჟღავნეს, 2023 წელს გაცემულ მთლიან სესხებში მწვანე სესხების წილი საშუალოდ 2.7%-ს შეადგენდა.

რაც შეეხება 2023 წლის ბოლოსთვის არსებული მწვანე სესხების მთლიან მოცულობას, აღნიშნულმა 1.9 მილიარდი ლარი (694 მილიონი აშშ დოლარი) შეადგინა. 2023 წელს, წინა წელთან შედარებით მწვანე სესხების მთლიანი მოცულობა, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, 30%-ით გაიზარდა (2022 წლის 15%-იან ზრდასთან შედარებით). 2023 წლის ბოლოსთვის, მწვანე სესხებმა მთლიანი პორტფელის 3.5% შეადგინა. ეს მაჩვენებელი 2022 წელს 3.2%, ხოლო 2021 წელს 2.9%-ს შეადგენდა. ბანკების დონეზე მწვანე სესხების წილი მთლიან პორტფელში საშუალოდ, 6% იყო, ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი დაახლოებით 14%-ს აღწევდა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.3.2. მდგრადი ფინანსების ტაქსონომიის არსებობა.

მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია წარმოადგენს კლასიფიკაციის სისტემას, რომელიც ეკონომიკურ აქტივობებს გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში მწვანე, სოციალურ ან/და მდგრად სტატუსს ანიჭებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 3 აგვისტოს N93/04 ბრძანებით დამტკიცებულია მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია და ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესი. ტაქსონომიის მთავარი მიზანი საქართველოში მდგრადი დაფინანსების ბაზრის განვითარება და შედეგად, ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის ხელშეწყობაა.

- ✓ **აქტივობა 7.3.1: მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარების ფარგლებში ახალი გზამკვლევის შემუშავება**

ეროვნულმა ბანკმა, დაინტერესებულ მხარეებთან აქტიური თანამშრომლობით, მდგრადი დაფინანსების ახალი გზამკვლევი შეიმუშავა, რომელიც დაამტკიცა ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა.

- ✓ **აქტივობა 7.3.2: მდგრადი ფინანსების ტაქსონომიის შესახებ მიღებული რეგულაციის დანერგვა**

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია და ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესი დამტკიცდა, რომელიც ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვარს. ტაქსონომიის მთავარი მიზანი საქართველოში მდგრადი დაფინანსების ბაზრის განვითარება და შედეგად, ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის ხელშეწყობაა.

ამოცანა 7.4. საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.4.1: საკანონმდებლო ჩარჩო დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობას.

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულებითა და ენერგეტიკული გაერთიანების წევრობით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში მიღებული საკანონმდებლო აქტების შესაბამისად (საქართველოს კანონები - „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“, „ენერგოეფექტურობის შესახებ“, „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“), ამ ეტაპზე, მიმდინარეობს დარჩენილი კანონქვემდებარე აქტების შემუშავების და დამტკიცების პროცესი. აღსანიშნავია, რომ 2024 წელს, დამტკიცდა „ენერგოეტიკეტირების შესახებ“ კანონით განსაზღვრული 14-ვე ტექნიკური რეგლამენტი. ასევე, "ენერგოეფექტურობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, 19-დან დამტკიცდა კანონით განსაზღვრული 18 კანონქვემდებარე აქტი (1 აქტის სამუსაო ვერსია მომზადებულია).

- ✓ **აქტივობა 7.4.5: კანონქვემდებარე აქტების შემუშავება „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად**

მეოთხე ენერგეტიკული პაკეტის საფუძველზე, 2021 წელს, ენერგეტიკული გაერთიანების მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული 2021/14/MC-EnC გადაწყვეტილებით, 2009/28/EC დირექტივა (RED I) ჩანაცვლდა განახლებული 2018/2001 (EU) დირექტივით (RED II). საქართველომ აიღო განახლებული დირექტივით გათვალისწინებული დებულებების ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოტანის ვალდებულება.

ამ ეტაპისთვის 19 კანონქვემდებარე აქტიდან დამტკიცებულია 8 აქტი. მომზადებულია დარჩენილი კანონქვემდებარე აქტების სამუშაო ვერსიები.

- ✓ **აქტივობა 7.4.6: კანონქვემდებარე აქტების შემუშავება „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად**

დამტკიცებულია 6 კანონქვემდებარე აქტი, დარჩენილია 5 აქტი. მომზადებულია მათი სამუშაო ვერსიები.

ამოცანა 7.5. ეკოტურიზმის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.5.1: საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინიციატივით, ეროვნული სატყეო სააგენტოს, დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ეკოტურიზმის ასოციაციის ჩართულობით დამტკიცებულია „საქართველოს ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგია 2020-2030“ და 3 წლიანი სამოქმედო გეგმა (2021-2023).

„საქართველოს ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგია“ შეესაბამება საქართველოს ტურიზმის ეროვნულ სტრატეგიას (2025), დაცული ტერიტორიებისა და ეროვნული სატყეო სააგენტოების ეკოტურიზმის განვითარების ხედვასა და სტრატეგიებს. სტრატეგიაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „ეკოტურიზმი ხალხზე, თემზე ორიენტირებული და ადგილობრივ რესურსებზე დაფუძნებული მახასიათებლებით მჭიდრო კავშირშია აგრო და თემზე დაფუძნებულ ტურიზმთან და მდგრადი განვითარების მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს“.[24]

3-წლიანი სამოქმედო გეგმის (2021-2023) დასრულების შემდგომ, შემუშავებულია სტრატეგიის 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.5.2: ეკოტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით კეთილმოწყობილი ბილიკები.

2025 წელს, 4 დაცულ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა 287კმ საფეხმავლო ბილიკების ქსელის მოწყობა:

- თბილისის ეროვნული პარკი (160კმ) - დასრულებულია.

- ფშავ-ხევსურეთის, თუშეთისა და ყაზბეგის დაცული ტერიტორიების დამაკავშირებელი ბილიკები (127კმ) - უმეტესი ნაწილი დასრულებილია.

ჯამში, 2021-2025 წლებში მოეწყო 29 ახალი ბილიკი/ბილიკების ქსელი, ხოლო რეაბილიტაცია ჩაუტარდა 25 ბილიკს.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.5.3: დაცული ტერიტორიების გაზრდილი ფართობი.

---

[24] შენიშვნა: **ეკოტურიზმი - „მწვანე ტურიზმის“ სახეობა**, რომელიც ხელს უწყობს მოწყვლადი რეგიონების, გარემოსა და თემების შენარჩუნებას. ეს ნიშნავს პასუხისმგებლიან მოგზაურობას ბუნებაში, გარემოს დაცვასა და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ეკოტურიზმი წარმოადგენს დაბალი ზემოქმედების მქონე და ხშირად, სტანდარტული, მასობრივი ტურიზმის ალტერნატივას. ეს არის მდგრადი ტურიზმის ფორმა, რომელსაც გაცილებით გრძელვადიანი მიზნები აქვს, ვიდრე უბრალოდ დანიშნულების ადგილზე მოგზაურობა. ეკოტურიზმი არის მოგზაურობა, ტურისტული აქტივობები და სერვისები, რომელიც ორიენტირებულია დაცულ ტერიტორიებზე და მის გარეთ ბუნებისა და ცოცხალი კულტურის შენარჩუნებასა და გამოცდილებების მისაღებად სათანადო პირობების შექმნაზე ადგილობრივი მოსახლეობისა და ქვეყნის სასარგებლოდ.

ეკოტურიზმის განვითარებისთვის დაცული ტერიტორიების გაზრდა და პოპულარიზაცია ქვეყანაში მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს, რომელსაც [საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია](#) ერთ-ერთ პრიორიტეტულ ქმედებად განსაზღვრავს.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი „თუშეთის დაცული ლანდშაფტის გაფართოების შესახებ“ და დაცული ტერიტორიების ფართობი 2245 ჰა-თი გაიზარდა.

2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ჯამურად, საქართველოს დაცული ტერიტორიების ფართობი შეადგენს 929 996 ჰექტარს.

✓ აქტივობა 7.5.1: ბილიკების კეთილმოწყობა

2025 წელს, 4 დაცულ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა 287კმ საფეხმავლო ბილიკების ქსელის მოწყობა:

- თბილისის ეროვნული პარკი (160კმ) - დასრულებულია.
- ფშავ-ხევსურეთის, თუშეთისა და ყაზბეგის დაცული ტერიტორიების დამაკავშირებელი ბილიკები (127კმ) - უმეტესი ნაწილი დასრულებილია.

2024 წელს 4 დაცულ ტერიტორიაზე მოეწყო 13 ახალი ბილიკი (ჯამში 223 კმ):

- ერუშეთის ეროვნულ პარკში 7 ბილიკი (115 კმ);
- ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე 1 ბილიკი (54 კმ);
- მტირალას ეროვნული პარკი 1 ბილიკი - 27 კმ;
- კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე 4 ბილიკი (27 კმ).

ასევე, 3 დაცულ ტერიტორიაზე რეაბილიტაცია ჩაუტარდა 18 ბილიკს (ჯამში 253 კმ):

- ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე 1 ბილიკი (700 მ);
- ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე 14 ბილიკი (196 კმ);
- მტირალას ეროვნულ პარკში 3 ბილიკი (56 კმ).

2023 წელს, ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 7 დაცულ ტერიტორიაზე მოეწყო 369 კმ სიგრძის ეკოტურისტული ბილიკების ქსელი:

- ბაწარა-ბაბანეურის დაცულ ტერიტორიაზე მოეწყო 18 კმ სიგრძის ეკოსაგანმანათლებლო ბილიკი;
- მარიამჯვრის დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო 25 კმ საფეხმავლო ბილიკების ქსელი;
- თეთრობის აღკვეთილში მოეწყო 50 კმ სიგრძის საფეხმავლო ბილიკების ქსელი;
- მოეწყო იმერეთს მღვიმეების დაცული ტერიტორიებისა და სამეგრელოს ბუნების ძეგლების კომპლექსის დამაკავშირებელი ბილიკების ქსელი (58 კმ), (იმერეთი 11 კმ, სამეგრელო - 47 კმ);
- ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო 118 კმ სიგრის ბილიკების ქსელი;

- ერუშეთის ეროვნულ პარკში მოეწყო 100 კმ სიგრძის ბილიკების ქსელი.

✓ აქტივობა 7.5.2: დაცული ტერიტორიების დაარსება და/ან გაფართოება

ეკოტურიზმის განვითარებისთვის დაცული ტერიტორიების გაზრდა და პოპულარიზაცია ქვეყანაში მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს, რომელსაც საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია ერთ-ერთ პრიორიტეტულ ქმედებად განსაზღვრავს.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი „თუშეთის დაცული ლანდშაფტის გაფართოების შესახებ“ და დაცული ტერიტორიების ფართობი 2245 ჰა-თი გაიზარდა.

2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ჯამურად, საქართველოს დაცული ტერიტორიების ფართობი შეადგენს 929 996 ჰექტარს.

✓ აქტივობა 7.5.3: სამთო-საფეხმავლო ბილიკების მოწყობა

2025 წელს, მოინიშნა ჯამურად 74.4 კმ. სიგრძის 12 ბილიკი - რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის, მცხეთა-მთიანეთის, იმერეთის, ქვემო ქართლის რეგიონებში და თბილისის შემოგარენში.

2024 წელს, 200 კმ-დე სიგრძის 10 საფეხმავლო ბილიკი მონიშვნა განხორციელდა კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში. ასევე, უკვე მონიშნული ბილიკების 24 კმ-იანი მონაკვეთი ინფრასტრუქტურულად განახლდა.

2023 წელს, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხრიდან სამ რეგიონში - იმერეთში, მცხეთა-მთიანეთსა და სამეგრელოში მოინიშნა 11 სამთო-საფეხმავლო ბილიკი, ბილიკების ჯამური სიგრძე შეადგენს 185 კმ.

2023-2025 წლების საანგარიშო პერიოდში, ჯამურად მონიშნულია 33 ბილიკი.

✓ აქტივობა 7.5.4: აგროტურიზმის გზამკვლევისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის პოლიტიკის დეპარტამენტის, სოფლის განვითარების სააგენტოს და ასევე, დარგობრივი ასოციაციების ჩართულობით, შემუშავდა აგროტურიზმის გზამკვლევი და შესაბამისი სამოქმედო გეგმა (2023-2026).

ამოცანა 7.6. გარემოსდაცვით საკითხებზე მცირე და საშუალო მეწარმეების ცნობიერების ამაღლება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.6.1: ტრენინგების იმ კურსდამთავრებულთა

პროცენტული წილი, ვისაც მიაჩნია, რომ შეძენილი ცოდნა დაეხმარება გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებაში.

გარემოსდაცვით საკითხებზე განხორციელდა მცირე და საშუალო მეწარმეების ცნობიერების ამაღლება. ასევე, გარემოსდაცვითი მიმართულებით მიღებული ახალი საკანონმდებლო რეგულაციების გაცნობის მიზნით, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები.

იმ პირთა წილი, რომელიც თვლის, რომ გარემოსდაცვით საკითხებზე შეძენილი ცოდნა დაეხმარება გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებაში 70%-ს შეადგენს.

- ✓ **აქტივობა 7.6.1: მწვანე მიდგომების შესახებ ტრენინგების განხორციელება მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის**

საანგარიშო პერიოდში, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ მცირე და საშუალო მეწარმეთათვის განხორციელდა მწვანე მიდგომებზე დაფუძნებული ტრენინგები და საგანმანათლებლო აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავდა გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის განმტკიცებას, პროფესიული უნარების განვითარებასა და მდგრადი ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობას. აქტივობები მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს:

1. პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები: 2025 წელს განხორციელდა პროფესიული მომზადების პროგრამა „გარემოსდაცვითი მმართველი“, რომლის ფარგლებში გადამზადდა 12 პირი (7 ქალი; 5 კაცი). პროგრამის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატები.

2. სერტიფიცირება: ცენტრი 2017 წლიდან ახორციელებს მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე პირების სერტიფიცირებას.
2024 წლის 1 იანვრიდან სერტიფიცირება მოიცავს როგორც ფიზიკურ პირებს, ისე ინდივიდუალურ მეწარმეებსა და იურიდიულ პირებს.

2025 წელს:

- სერტიფიცირება გაიარა 135-მა ფიზიკურმა პირმა (სერტიფიკატის მოქმედების ვადა – 5 წელი);
- 61-მა ინდივიდუალურმა მეწარმემ და იურიდიულმა პირმა (სერტიფიკატის მოქმედების ვადა – 3 წელი).

3. აგრარული მიმართულებით ჩატარებული ტრენინგები: განხორციელდა აგრარული მიმართულების ტრენინგები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 293-მა პირმა, მათ შორის (134 ქალი; 159 კაცი).

ტრენინგების თემატიკა მოიცავდა:

- კენკროვანი კულტურების აგროტექნოლოგია — ჟოლოსა და მარწყვის მოვლა-მოყვანა;
- კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვას ფერმერთათვის
- მეფუტკრეობა;
- აგრარული ცოდნისა და ინოვაციების ხელშეწყობა — გურიისა და იმერეთის მუნიციპალიტეტებში ექსტენციონისტებისთვის, აგრარული სფეროს სპეციალისტებისთვის, განათლების სფეროს წარმომადგენლებისთვის, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და სოფლის განვითარების სააგენტოს თანამშრომლებისთვის;
- „ქარსაფარი ზოლების მართვა და მენეჯმენტი“ — ფერმერებისთვის;
- მესაქონლეობის ფერმის მართვა და მენეჯმენტი — GEOGAP-ის სტანდარტების შესაბამისად;
- Home-Based Learning (HBL) (სამიზნე ჯგუფი: ფერმერები);
- „კივის წარმოების აგროტექნოლოგია“ — ექსტენციონისტებისთვის.

2023-2024 წლებში, ასევე, ჩატარდა სხვადასხვა თემატიკის მიზნობრივი ტრენინგები მწვანე მიდგომების შესახებ.

✓ აქტივობა 7.6.2: საინფორმაციო შეხვედრების გამართვა გარემოსდაცვითი მიმართულებით მიღებული ახალი საკანონმდებლო რეგულაციების გაცნობის მიზნით

საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა საინფორმაციო, საკონსულტაციო და სამუშაო შეხვედრები, რომლებიც მიზნად ისახავდა გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაძლიერებას და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ამაღლებას. შეხვედრები მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს:

1. შავი ზღვის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2025–2027 წლების გეგმის საჯარო განხილვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 11-მა პირმა (10 ქალი; 1 კაცი).

2. დასავლეთის ზონის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 19-მა პირმა (9 ქალი; 10 კაცი).

3. ორჰუსის კონვენციის განხორციელების 2021–2024 წლების მეშვიდე ეროვნული ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 18-მა პირმა (14 ქალი; 4 კაცი).

4. სამუშაო/საინფორმაციო შეხვედრა პროექტის „ბიომრავალფეროვნების გლობალური ჩარჩო – ადრეული ქმედების მხარდაჭერა“ ფარგლებში, რომლის მიზანი იყო

ბიომრავალფეროვნების გლობალური ჩარჩოს (GBF – Global Biodiversity Framework) და ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის (NBSAP – National Biodiversity Strategy and Action Plan) განახლების პროცესის შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირება და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა.

ჯამურად, 2023-2025 წლებში, ჩატარდა 30 შეხვედრა.

რისკები და გამოწვევები

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების ფარგლებში, აქტივობების შესრულების შეფასებისას, **2025 წლის ჭრილში** განხორციელების ვადის დარღვევა გამოვლინდა **6 აქტივობის შემთხვევაში.** აღნიშნული აქტივობებიდან:

- ✓ 3 აქტივობა - არ დაწყებულა
- ✓ 1 აქტივობა - გაუქმებულია
- ✓ 2 აქტივობა - შეჩერებულია

არ დაწყებულა - 3 აქტივობა

3 აქტივობიდან - 1 აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2025 წელი, 2 აქტივობის ვადად - 2024 წელი.

აღნიშნული აქტივობებია:

- ✓ **გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა კატეგორიების (რომლებიც დაშვებული იქნებიან სხვადასხვა ტიპის გადახდისუუნარობის საქმეებზე, მათი სირთულის გათვალისწინებით) განსაზღვრის მიზნით სამართლებრივი ბაზის შექმნა -** 2024 წელი (ამოცანა 1.7);

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი საქართველოს იუსტიციის მინისტრს განუსაზღვრავს უფლებამოსილებას ბრძანებით განსაზღვროს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა კატეგორიები, რომლებიც დაშვებული იქნებიან სხვადასხვა ტიპის გადახდისუუნარობის საქმეებზე, მათი სირთულის გათვალისწინებით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან, სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროდან“ და ბიზნეს რეაბილიტაციისა და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ასოციაციიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ამ ეტაპზე, მიმდინარე საქმეთა სიმცირიდან გამომდინარე, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა კატეგორიზაციისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნის აუცილებლობა არ გამოკვეთილა.

- ✓ **მენეჯმენტის და აუდიტის სისტემების სერტიფიცირების სფეროში EA-სგან (European cooperation for Accreditation) მიღებული აღიარების საფუძველზე საერთაშორისო აღიარების გაფართოება IAF-ში (International Accreditation Forum) -** 2024 წელი (ამოცანა 4.3).

აკრედიტაციის ცენტრი მოახდენს განაცხადის წარდგენას IAF-ში სფეროს გაფართოების

მიზნით, თუ ამ პერიოდისთვის მინიმუმ 1 ორგანიზაცია მაინც იქნება აკრედიტებული მენეჯმენტისა და აუდიტის სერტიფიკაციის სქემის შესაბამისად.

- ✓ **ევროპული აკრედიტაციის ორგანიზაციის EA-ს აღიარების გაფართოება მენეჯმენტისა და აუდიტის სისტემების სერტიფიკაციის ორგანოების სფეროში -** 2025 წელი (ამოცანა 4.3).

EA-ში შესაბამისი მიმართვა გაიგზავნება მას შემდეგ, რაც აკრედიტაციის ცენტრი გასცემს მინიმუმ ერთ აკრედიტაციას მენეჯმენტისა და აუდიტის სისტემების სერტიფიკაციის ორგანოების სფეროში.

შეჩერებულია - 2 აქტივობა

- ✓ **სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს და DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრების ორგანიზება -** 2025 წელი (ამოცანა - 1.8);

2023-2025 წლებში, სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს და DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრები არ ჩატარებულა

- ✓ **ლიზინგთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესების მიზნით ცვლილებების პროექტის შემუშავება -** 2024 წელი (ამოცანა 3.2).

ლიზინგის ასოციაციის მიერ განხორციელდა ქმედებები, რომელთაც ხელი შეუწყვეს აღნიშნული ბაზრის დინამიურ ზრდას. ასევე, აღსანიშნავია ისეთი რეფორმები, როგორიცაა კაპიტალის ბაზრის რეფორმა, უზრუნველყოფილი ტრანზაქციების რეფორმა და ა.შ. რომლებიც ხელს უწყობენ ლიზინგის ბაზრის განვითარებას. შესაბამისად, ლიზინგის მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ქმედებების აქტუალობა, რომელიც მიზნად ისახავდა აღნიშნული ბაზრის განვითარებას, დიდწილად შემცირდა, რამდენადაც ჩანაცვლდა იმ ღონისძიებებით, რომლებიც განხორციელდა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში.

გაუქმებულია - 1 აქტივობა

- ✓ **ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების პროგრამის განხორციელება -** 2025 წელი (ამოცანა 3.1).

2023 წელს, განხორციელდა არსებული თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ანალიზი, რომლის საფუძველზეც დაიგეგმა ცვლილებების განხორციელება აღნიშნულ სქემაში. შესაბამისად, წინამდებარე აქტივობა გაუქმებულია. ასევე, აღსანიშნავია, რომ სააგენტოში შეიქმნა 2 ახალი პროგრამა "ინოვაციური სტარტაპების აქსელერაციის პროგრამა"; ასევე, განისაზღვრა ახალი - ინოვაციური სტატუსების განსაზღვრის სქემა ინოვაციური სტარტაპების, ინოვაციური SME და R&D კომპანიებისთვის.

2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულება

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პასუხისმგებელი უწყებების მიერ შესაბამისი აქტივობების შესრულების პროგრესს 2025 წლის მდგომარეობით.

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიით და 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული, შვიდივე პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში გათვალისწინებული 145 აქტივობიდან 2025 წლის ჭრილში მდგომარეობით **113 აქტივობა - განხორციელდა სრულად, 17 აქტივობა - შესრულდა მეტწილად, 9 აქტივობა - შესრულდა ნაწილობრივ, 3 აქტივობის შესრულება - არ დაწყებულა, 1 აქტივობა - გაუქმებულია, 2 აქტივობა - შეჩერებულია.**

აღნიშნული ანგარიში მომზადებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებების/დეპარტამენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

დანართი - კონსოლიდირებული სტატუსანგარიში

დანართი: ექსელის ფაილი.